არჩევნები და მუდმივი საფრთხოებელა
იგორ გიორგაძე A2

ენერგოაბლაბუდა A2

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 11 აპრილი, 2003 წელი. №99 (311)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ჟორბენაძის რჩევა: ისარგებლეთ ხელისუფლების ლმობიერებით!

სახელმწიფო მინისტრი საარჩევნოდ ძველ მეგობრებს იხსენებს. გუშინ ავთანდილ ჯორბენაძე მეწარმეებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალები დააზუსტა. პროფკავშირები ჯორბენაძეს სრულ მხარდაჭერას ჰპირდებიან.

A3

## ეკონომიკა

### ფოთის ნავსადგურის სამი ტერმინალი იჯარით გაიცემა

გუშინ ფოთში ნავსადგურის ცალკეული ტერმინალების გრძელვადიანი იჯარით ან მართვის უფლებით გაცემისათვის შექმნილმა კომისიამ სატენდერო წინადადებები გახსნა.

A4

## უცხოეთი

### არაბული რეაქცია ბაღდადის დაცემაზე

"ეს მიწისძვრაა. არა მხოლოდ ერაყისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. მე თვალებს არ ვუჯერებ. ამის დაჯერება შეუძლებელია. ამერიკული ტანკები არაბულ სამყაროს ცვლიან," - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ "ალ-ჯაზირამ".

A5

## საზოგადოება

### ქალალდთა ღაღადი

ბოლო პერიოდში მოვლენები ისე განვითარდა, რომ, ერთ დროს ყველაზე სტაბილური, სამედიცინო საზოგადოება სასამართლო დარბაზებიდან არ გამოდის. ექიმები უჩივიან ყველას, ყველაფერს და ერთმანეთს მაშინაც კი, როცა სადაო, თითქოს, არაფერია.

A6

## სამართალი

### ხანძარი მკვლელობის დასაფარად

4 მარტს, ღამის 10 საათზე, ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის პირველი შესახვევის ერთ-ერთ სახლში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც 15 წლის თეონა ლორთქიფანიძის სიცოცხლე შეიწირა. ხალხმა ხანძარი, რატომღაც მოწყობილად მიიჩნია.

A7

## სპორტი

### მაგის რაინდობა სად თქმულა?..

რაც დრო გადის, ალექს ფერგიუსონის ავტორიტეტი საფეხბურთო სამყაროში მით უფრო ეცემა. ბოლო ხანს "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, რბილად რომ ვთქვათ, რაინდის ტიტულის მქონე ადამიანისთვის შეფერებლად იქცევა.

B4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 10 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 11 | |
| თელავი | 9 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 10 | |
| ახმეტა | 10 | |
| ჭიათურა | 12 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1699 |
| ევრო | 2.3220 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3725 |
| რუბლი | 0.0694 |

# დიპლომატიური უთანხმოება გრძელდება

ანგლო-ამერიკულ სამიტზე გაკეთებული განცხადებები, რომ ომისშემდგომ ერაყში გაერო წამყვან როლს შეასრულებდა, ანტისაომარი კოალიციისათვის აშკარად არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

საფრანგეთმა, რუსეთმა და გერმანიამ კონტრ-სამიტის მოწვევის შესახებ განაცხადეს, რომელიც ამ უქმეებზე სანკტ-პეტერბურგში უნდა გაიმართოს.

სავარაუდოდ, ისინი ომისშემდგომი ერაყის მოწყობაში გაერო-სათვის მთავარ როლს მოითხოვენ. ამან, შეიძლება, უშიშროების საბჭოში კიდევ ერთ დიპლომატიურ შეხლა-შემოხლას დაუდოს სათავე.

"უკვე ჩამოყალიბდა ტენდენციები, რომელთა შეცვლაც რთული იქნება. დღეს საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ ბანაკთან, რომლებიც ერთმანეთს არ ენდობიან. ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, ეს ახალი დაპირისპირება ისეთივე მწვავე იქნება, როგორც ომის წინ იყო, თუ უფრო მსუბუქ ფორმას მიიღებს," – ამბობს ჯეფრი გედმინი, ბერლინის "ასპენ ინსტიტუტის" წარმომადგენელი.

ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს ახლა ყველაზე ნაკლებად ახალი დიპლომატიური დავა სჭირდებათ. მაგრამ, ტონი ბლერის მცდელობა, შეერიგებინა ორი ბანაკი, აშკარად მარცხით დამთავრდა. "ახლა საჭიროა არა დიპლომატიური დავა, არამედ ერაყის მომავალზე ზრუნვა," – ამაოდ არწმუნებდა იგი როგორც ანტისაომარი კოალიციის ლიდერებს, ისე პრეზიდენტ ბუშს. ეს უკანასკნელი ტრანსატლანტიკური სოლიდარობის აღდგენას გაცილებით უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მისი ბრიტანელი კოლეგა.

მიმომხილველები შიშობენ, რომ ერაყის ომისშემდგომ მოწყობაში აშშ კიდევ ერთხელ აუვლის გვერდს გაერო-ს. ახლანდელი გეგმა სამ ფაზას ითვალისწინებს: სამხედრო ოკუპაცია, ამერიკელებისაგან და ერაყელი ემიგრანტებისაგან შედგენილი დროებითი ადმინისტრაცია და ბოლოს, არჩეული მთავრობა.

ამ გეგმას არ ეთანხმებიან საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია. მათ სურთ, რომ ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევამდე, ერაყი გაერო-მ მართოს.

გაგრძელება A5 გვერდზე




## შევარდნაძე "ელექტროკავშირის" "გამჭვირვალე" პრივატიზებას ითხოვს

*"კომპანიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საკითხი სერიოზული განსჯისა და ფართო განხილვის საგანი უნდა გახდეს," – ასეთ რეზოლუციას ადებს პრეზიდენტი შევარდნაძე ქონების მართვის მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის წერილს, სადაც "საქართველოს ელექტროკავშირის" მართვაში გადაცემაზეა საუბარი. პრეზიდენტი საკუთარი მთავრობისგან კატეგორიულად მოითხოვს, რომ "ელექტროკავშირის" გასხვისებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები "საზოგადოებისთვის ღია და გამჭვირვალე იყოს."*

გიორგი კალანდაძე

პრეზიდენტ შევარდნაძის რეზოლუციაში ოთხ თანამდებობის პირზეა საუბარი. ესენი არიან: ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე, რომლის უწყებასაც, დე-იურე, გადაეცა ქონების მართვის სამინისტროს ფუნქციათა ნაწილი; ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება "ელექტროკავშირით" ნორვეგიულ-ბრიტანული ტანდემის

გაგრძელება A3 გვერდზე

## „მამები და შვილები"

ოღონდ არა ტურგენევის მიხედვით

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

ზუსტად ომის დაწყების წინ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საკუთარ დიქტოფონს, რომელიც ამავე დროს პირადი დღიურის როლსაც ასრულებდა, შემდეგი სიტყვები მიანდო: **"ასეთი დღე ცხოვრებაში არასდროს მქონია. დავიღალე, ცუდად მეძინა. ეს კი ძალიან მადარდებს, რადგან საღამოს ცხრა საათზე ჩემს ერს უნდა მივმართო. ვგრძნობ ტკივილს მუცლის არეში, ამიტომაც "მაიოლიტის" ორი აბი დავლიე. ვცდილობ წარმოვიდგინო, რას გრძნობდნენ სხვა პრეზიდენტები ომის აგონიის თაობაზე"**

რაღაც არ ჰგავს ეს ყოველივე საკუთარ თავში დარწმუნებულ ჯორჯ ბუშს, რომელსაც ახალშობილივით სძინავს ხოლმე და სულაც არ ფიქრობს ომის აგონიაზე; არ ჰგავს ადამიანს, რომელსაც არ აწუხებს არანაირი ეჭვი, მით უფრო, სინდისის ქენჯნა. არ ჰგავს იმიტომ, რომ მას ეს სიტყვები დიქტოფონში არასდროს უთქვამს.

გაგრძელება A8 გვერდზე


REUTERS

*მამა-შვილი - მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები.*

## საქართველოს ამერიკისთვის ისევ მოუწევს პარტნიორობის დამტკიცება

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*ანტიერაყული კოალიციის მომხრე საქართველოს ხელისუფლებას, მოკავშირეებისადმი ერთგულების დამტკიცება კიდევ ერთი საკანონმდებლო გადაწყვეტილებით მოუხდება - საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ორმაგი დანიშნულების სამხედრო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტ-იმპორტის განსაკუთრებულ კონტროლზე აყვანა სთხოვა. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ამ საკითხით ამერიკის მთავრობის დაინტერესება ერაყში მიმდინარე ომით იყოს გამოწვეული. უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ მოწყვლადი საქართველოს გავლით ხომ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის, მათ შორის ფეთქებადსაშიში და რადიაქტიული ნივთიერებების მეზობელ სახელმწიფოებში მოხვედრის მაღალი ალბათობა არსებობს.*

გასული წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა, სპეციალური ბრძანებულებით, ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის წესის შემუშავება მოითხოვა. მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ "ბალანსირების ტარდიციას" არც ამჯერად უღალატა. პრობლემის გადაწყვეტა ერთბაშად ორ უწყებას დაავალა: იარაღისა და საბრძოლო მასალების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი უნდა მოემზადებინა იუსტიციის სამინისტროს, ხოლო ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის სფეროში - ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტროს. ორივე უწყებამ შეთანხმებულად იმუშავა და, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში აცხადებენ, შესაბამის ცვლილებათა პაკეტი უკვე პარლამენტში შევიდა განსახილველად.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პროკურატურის საპარლამენტო გზავნილი

რევაზ საყევარიშვილი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*გენერალურ პროკურატურას პარლამენტისთვის მისი წევრის იმუნეტეტის მოხსნის მოთხოვნით არაერთხელ მიუმართავს. როგორც წესი, ყველა ეს მცდელობა უშედეგოდ მთავრდება ხოლმე. კოლეგებმა ერთადერთ ბორის კაკუბავას მოუხსნეს იმუნიტეტი, მაგრამ შემდეგ უკანვე "დაუბრუნეს".*
*ამჯერად პროკურატურას მორიგი მცდელობა აქვს: პროკურორები პარლამენტარ ბეჟუაშვილის დატუსაღებას აპირებენ.*
*კანონმდებლები ამ ამბავს უკვე ოლიმპიური სიმშვიდით ხვდებიან, რადგან ეს არც პირველი შემთხვევაა და, რაღა თქმა უნდა, არც უკანასკნელი.*
*გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ვისაც პარლამენტარისთვის იმუნიტეტის მოხსნის პროკურორების დაწერილი მოთხოვნა არ წაუკითხავს, ძალიან ბევრი აქვს დაკარგული. ამის დასტურად ნუგზარ გაბრიჩიძის ბოლო უსტარიც კმარა, რომელიც ბეჟუაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნას ითხოვს. 10 გვერდზე განფენილი საპროკურორო გზავნილი მასზე ხელისმომწერს, ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეს წარმოგვიდგენს, როგორც თანაბრად სწორუპოვარ პროფესიონალს ერთდროულად რამდენიმე დისციპლინაში - იურისპრუდენციაში, ეკონომიკაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფილოლოგიაშიც კი.*

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

# ედპ-ში ხელისუფლებასთან ალიანსს არ გამორიცხავენ

მერაბ მეტრეველი

რამდენიმე წელიწადია ეროვნულ დემოკრატიული პარტია ძველი დიდების დაბრუნებას ცდილობს, თუმცა, ჯერჯერობით, არც თუ შთამბეჭდავი შედეგით. ზაფხულში ედპ-ს ოფისში დაწყებული ოპოზიციის გაერთიანების პროცესშიც დიდი წინსვლა არ შეინიშნება. სარიშვილის მთავარი მოკავშირები - ჟვანია და ასათიანი, "ნაციონალებისკენ" არიან ორიენტირებული. "ნაცმოძრაობაში" კი ედპ-სთან ალიანსი არ სურთ (განსაკუთრებულ ანტაგონიზმს ზვიად ძიძიგური იჩენს).

პარტია კი თავის ადგილს ეძებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ედპ-ს თბილისის ორგანიზაციამ ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. ეს არასამთავრობოებია: "მესაკუთრეთა უფლებების დაცვის კავშირი", "სრულიად საქართველოს პედაგოგებისა და მოზარდი ახალგაზრდობის დახმარების საქველმოქმედო ფონდი", "კავშირი ახალგაზრდა ინტელექტუალები დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის" და "დემოკრატ იურისტთა ასოციაცია". ხელშეკრულებით, ედპ კისრულობს ვალდებულებას, ამ არასამთავრობოებს დაეხმაროს მათი მიზნების და ამოცანების განხორციელებაში; ხოლო არასამთავრობოები, თავის მხრივ, პარტიისთვის არჩევნებში მხარდაჭერას კისრულობენ.

ედპ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ ყველას ერთიანობისკენ მოუწოდა. ჩვენთან საუბარში კი, შეკითხვაზე სახელისუფლებო ძალებთან თანამშრომლობის შესახებ, ქარდავამ უპასუხა: **"ჩვენ კონსულტაციებს ყველასთან ვაწარმოებთ. ჩვენთვის მთავარია, ვინ გაიზიარებს ჩვენს შეხედულებებს. პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია".**


*ბაჩუკი ქარდავა: გამორიცხული არაფერია.*

# სამაჩაბლო - შარაძის მომავალი ასპარეზი

ლენა მიქაძე

**"დავიბადე ოზურგეთში, ვცხოვრობ ვაკეში, სერიოზული მხარდაჭერა მაქვს გლდანში, ყვარელში ლამის ქვა არ დამიტოვებია, ხელი რომ არ მქონდეს შენავლები,"** - მიუხედავად პოპულარობის ასეთი გეოგრაფიისა, შარაძემ პარლამენტში დაბრუნება სამაჩაბლოს სენატორად გადაწყვიტა.

**"სამაჩაბლოში პირველი დარტყმის ტალღამ ჩემსა და ჩემს პარტიაზე გადაიარა. საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სამაჩაბლოდან შემოსულ ყველა საჩივარს ჩემთან, ივანე მაჩაბლის გამგეობაში აგზავნიდა",** - ამგვარი არგუმენტი ჰქონდა მომარჯვებული გუშინ ჯერ ისევ "მრეწველ" შარაძეს იმის დასამტკიცებლად, რომ ლიახვის ხეობის მოსახლეობაზე გარკვეული ამაგი მიუძღვის, რომელიც, წესით, უნდა დაუფასდეს. მით უმეტეს, რომ მისივე შეფასებით, მისმა წინამორბედებმა **"ალბათ, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში რაც შეძლეს, ის გააკეთეს. მაგრამ, თუ აფხაზეთიდან დევნილებს თავისი ხელისუფლებაც ჰყავთ და ორი საპარლამენტო ფრაქციაც, გასაცოდავებული სამაჩაბლო ერთი დეპუტატისა და ცხინვალის საკითხების შემსწავლელი კომისიის ამარაა დარჩენილი."**

გურამ შარაძეს ლიახვის ხეობაში ვითარების გამოსასწორებლად უკვე გარკვეული ზომების მიღება გადაუწყვეტია, მათ შორის ისეთისაც, რაც სამაჩაბლოს მაჟორიტარი დეპუტატის უფლებამოსილებას აშკარად სცილდება. შიდა ქართლის გამგებელს რომ ვეღარ გაუბედა, შარაძე მის მოადგილეს მისწვდა: **"ვალიკო რაზმაძეს ვაკისრებ, გააკონტროლოს მაჩაბლების სასახლის აღსადგენად ყოველი აგურის, ტომარა ცემენტის ყიდვა-დახარჯვა. ყურადღება მიაქციოს იმას, რომ აღსადგენ სამუშაოებზე ხალხი თბილისიდან არ ჩაიყვანონ და ადგილობრივი მუშახელი დაასაქმონ".**

აღსანიშნავი ის არის, რომ სამაჩაბლოში არსებული მდგომარეობის გამო, ლამის მთელი პასუხისმგებლობა შარაძემ ვიცე-სპიკერ ელდარ შენგელაიასა და მაჟორიტარ დეპუტატს დააკისრა. ვახტანგ რჩეულიშვილის მოღვაწეობაზე საუბარს კი მოერიდა. **"ვახტანგ რჩეულიშვილამდე ირაკლი მაჭავარიანი უნდა გაგხსენებოდათ, რომელიც პრეზიდენტის მარადმწვანე წარმომადგენელია ოსეთის საკითხებში და რომელსაც ამ კონფლიქტის მოგვარება ევალება. მას განუსაზღვრელი უფლებები აქვს. თუმცა, მაჭავარიანი თავად არის კონფლიქტური პიროვნება. მოწმენდილ ცაზე მეხს მოიყვანს. რაც შეეხება რჩეულიშვილს, მას გარკვეული გეგმები აქვს, რომლებშიც არ ჩამიხედავს. ამის თაობაზე მაშინ ვიმსჯელებთ, ცხინვალის კომისიის ახალი თავმჯდომარის არჩევა თუ გვეღირსება, არა მხოლოდ რჩეულიშვილზე, არამედ, საერთოდ - ხელისუფლებაში და საზოგადოებაში არსებულ პოზიციაზე",** - განმარტავს შარაძე.


*ოზურგეთში დაბადებული და გლდანში პოპულარული სამაჩაბლოს ქომაგი.*

# ორსახოვანი პარლამენტი: უმცირესობა უმრავლესობად იქცა, უმრავლესობა - უმცირესობად

## "შესაკრებთა" გადანაცვლებით კი მუშაობა იშლება

გიორგი ასანიშვილი

*თუ საპარლამენტო უმრავლესობის რომელიმე წევრმა გუშინ, დღის პირველ ნახევარში, რაიმე სახის დანაშაული ჩაიდინა, ალიბი მას ნამდვილად არ ექნება და იმის მტკიცებას ვერ დაიწყებს, რომ ამ დროს სამსახურში იმყოფებოდა. პლენარული სხდომის სტენოგრამა დაადასტურებს, რომ სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები 10 აპრილს პარლამენტში მხოლოდ საღამო ხანს, სულ რამდენიმე წუთით გამოჩნდნენ და მალევე გაუჩინარდნენ. შედეგად, პარლამენტში ძალთა უცნაური ბალანსი ჩამოყალიბდა: თითქმის მთელი დღის განმავლობაში ოპოზიცია უმრავლესობას წარმოადგენდა, უმრავლესობა კი უმცირესობად იქცა. პროსამთავრობო ფრაქციების არაოფიციალური "გაფიცვის" თაობაზე, რამაც გუშინდელი პლენარული სხდომის პარალიზება განაპირობა, რამდენიმე მოსაზრება არსებობს.*

ფრაქციის - "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის" - თავმჯდომარე კოტე კემულარია ვარაუდობს, რომ უმრავლესობის წევრებმა სახელმწიფო მინისტრის განცხადება პარლამენტის არალეგიტიმურობის შესახებ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად მიიღეს და აქედან გამომდინარე, თავს საკანონმდებლო ორგანოში ყოფნის ღირსად არ მიიჩნევენ.

კემულარიას ეს "ჰიპოთეზა" მსუბუქი იუმორის ჩარჩოებს არ სცდება: ოპოზიციას კარგად მოეხსენება, უმრავლესობა არც ისეთი სენტიმენტალურია, რომ გრძნობებს აჰყვეს და მორალური პრინციპების გამო, პარლამენტში ყოფნაზე უარი თქვას. ამიტომ, ამ შემთხვევაში, რეალობასთან უფრო ახლოს ის მოსაზრება დგას, რომელიც ოპოზიციამ გუშინ არაერთხელ გაახმოვანა.

"აღორძინების" წარმომადგენლები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ პლენარული სხდომის ბოიკოტირება პრეზიდენტის მიერ ზეპირად გაცემული მითითების საფუძველზე განხორციელდა. მართლაც, თუ გუშინ განსახილველად ნავარაუდევი საკითხების ნუსხას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებას მრავალ უსიამოვნებას უქადდა.

"აღორძინების" მიერ ინიცირებული კანონპროექტი სპეციალური ეკონომიკური ზონების (სეზ) შესახებ; "გაერთიანებული დემოკრატების" დაჟინებული მოთხოვნით, დღის წესრიგში შეტანილი აფხაზეთის საკითხი; საარჩევნო კოდექსზე მსჯელობის დაწყება; ავთანდილ ჯორბენაძის ინფორმაციის მოსმენა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით - ამ თემებზე დებატების გამართვა უმრავლესობის პოლიტიკური ინტერესების სფეროში რომ არ შედის, საკამათო არ უნდა იყოს. სხვათა შორის, დილის სხდომაზე მყოფ უმრავლესობის ორიოდე წარმომადგენელს (ისინი, ეტყობა, დარბაზში "დამკვირვებლისა" და "ამბის გამტანის" სტატუსით იმყოფებოდნენ) ოპოზიციის მხრიდან წამოსულ ბრალდებებზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია და არ უარყვია, რომ სხდომის ჩაშლის "იდეა" კანცელარიიდან მოდიოდა.

ერთადერთი, რითიც ისინი უმრავლესობის "გაუჩინარების" ახსნას შეეცადნენ, ის იყო, რომ გუშინდელ "შატალოსა" და ცოტა ხნის წინათ მიმდინარე "საპროცედურო ომის" დროს ოპოზიციის მიერ არჩეულ ტაქტიკას შორის (მაშინ უმცირესობა შეგნებულად არ გადიოდა რეგისტრაციას და ამით ხელს უშლიდა პლენარული სხდომის გახსნას) პარალელების გავლება დაიწყეს. ასეთი შედარება გიორგი ბარამიძეს აბსურდულად მიაჩნია.

**"როდესაც პლენარულ სხდომებზე რეგისტრაციას არ გავდიოდით, ამას არ ვმალავდით და ორმაგ თამაშს არ ვეწეოდით. მაშინ ჩვენ ანგარიშგასაწევი არგუმენტაცია გვქონდა: მინიმალური ხელფასის კანონპროექტს უმრავლესობის ძალადობისგან ვიცავდით. დღეს კი უმრავლესობას იმის ახსნაც არ უნდა, თუ რატომ არ ესწრება სხდომას",** - ასე განმარტა ორ შემთხვევას შორის არსებული განსხვავება ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა.

ოპოზიციისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა ის ამბავი, რომ საღამოს სხდომაზე დარბაზში უმრავლესობის დიდი "კოლონა" გამოჩნდა. თუმცა, მოულოდნელობა ამით არ დამთავრებულა: ხელისუფლების მხარდამჭერი ფრაქციების წევრებმა რეგისტრაცია გაიარეს, რითაც სხდომის გახსნის პრობლემა მოხსნეს, მერე ოპოზიცია გაკიცხეს: ჩვენს არყოფნაში რა ცილი დაგვწამეთო და... ისევ გაუჩინარდნენ. დარბაზში მათი მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელი დარჩა, რომლებმაც სხდომის 21 საათამდე გაგრძელებაზე უარი თქვეს და ხაზგასმით და ხელოვნურად შეუდგნენ დროის გაყვანას, რითაც ოპოზიციონერთა რისხვა და დაცინვა უხვად მოიმკეს.

უმრავლესობის გათვლა ყველასთვის გასაგები გახდა: არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაწყებულიყო ოპოზიციისთვის სასურველი ზემოთნახსენები საკითხების განხილვა. ამ მიზანს მათ იმის წყალობით მიაღწიეს, რომ პროცედურულ ნორმებზე დაყრდნობით, აიძულეს პარლამენტი, ზაქარია ქუცნაშვილის დროებითი კომისიის დასკვნის "ვიდეოჩანაწერისთვის" ედევნებინა თვალი. ამასობაში სხდომისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა და კანცელარიის წინაშე ვალმოხდილმა უმრავლესობის წევრებმა დამშვიდებული სინდისით გაიხურეს პარლამენტის კარი.

ასეთმა მოქმედებამ ზოგიერთი არაოპოზიციონერი დეპუტატიც კი აღაშფოთა. **"რითი გადაიღალეთ? რატომ არ გინდათ გვიანობამდე მუშაობა? ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები მაქვს გამოსატანი, თქვენ კი სახლებში გარბიხართ!"** - ამაოდ ამუნათებდა ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კაპანაძე იმით გახარებულ უმრავლესობას, რომ ოპოზიცია "დაიბოლმა" - სეზ-ი, აფხაზეთის თემა, საარჩევნო კოდექსი დროებით თაროზე შემოიდო, ხოლო ავთანდილ ჯორბენაძე პარლამენტში სტუმრობას გადარჩა.

ოპოზიცია ვარაუდობს, რომ დღესაც იგივე სცენარი გათამაშდება: სახელისუფლებო ფრაქციები სხდომაზე არ მივლენ, ოპოზიციას "უმრავლესობად აქცევენ" და ამით სასესიო კვირას გადააგორებენ. რა მოხდება შემდეგ, ხომ კიდევ მოვა პლენარული სხდომების კვირა? ეს, ეტყობა, უკვე ნაკლებად აინტერესებთ - ხელისუფლება და მისი "თაყვანისმცემლები", როგორც წესი, მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობენ.


*უმცირესობა ამაოდ ელოდა უმრავლესობის სკამების შევსებას.*

# არჩევნები და მუდმივი საფრთხობელა იგორ გიორგაძე

თამარ ასათიანი

*როგორც წესი, ყოველი არჩევნების წინ საქართველოს საზღვრებთან იგორ გიორგაძის აჩრდილი იწყებს ხეტიალს. მის დაუდგრომელ და მოუსვენარ სულს ხან თბილისის მერობა სურს, ხან ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარეობა და ხანაც პრეზიდენტობა (გააჩნია, რომელი არჩევნები უფორიაქებს სულს დიდ მამულიშვილს). ამ დროს მისი თაყვანისმცემლები სრულ ეიფორიაში არიან: უშიშროების ექსმინისტრის იგორ გიორგაძის სახელით ხან გვემუქრებიან, ხანაც გვამშვიდებენ – გააჩნია, კონკრეტულად რომელ აუდიტორიაზეა გათვლილი მათი საჯარო გამოსვლები.*

ყოველი არჩევნების წინ პოლიტტექნოლოგიურ თამაშებს ტექნიკური სიახლეებიც ახლავს. ამჯერად, ეს სიახლე კონსერვატორ-მონარქისტ თემურ ჟორჟოლიანს უკავშირდება, რომლის თაოსნობით უკვე შეიქმნა პოლიტიკური ალიანსი "სამშობლო," რომლის თავმჯდომარეც, როგორც უკვე მიხვდით, ტერორიზმის ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძეა.

გუშინ თემურ ჟორჟოლიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ **"ალიანსი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას და, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იგორ გიორგაძე თავად ჩაუდგება სათავეში წინასაარჩევნო მზადებას".** ჟორჟოლიანი დარწმუნებულია, რომ **"ალიანსი, რომელიც 12 ათასამდე წევრს აერთიანებს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს".**

დღეს პოლიტიკოს ჟორჟოლიანს გვერდით უდგანან ვეტერანი გვარდიელები, თუმცა მათ, პოლიტიკურ თამაშებზე მეტად, საკუთარი პრობლემები და დღევანდელი ხელისუფლების უმადურობა აწუხებთ. შესაბამისად, გუშინ პოლიტიკოს ჟორჟოლიანისა და მეომართა გამოსვლები ერთმანეთს არ ჰგავდა – ვეტერანები საკუთარ ბედზე საუბრობდნენ, ჟორჟოლიანი კი გიორგაძეს მისტიროდა.

ამ ალიანსში ვეტერან გვარდიელთა საბჭოს წევრების გამოჩენა, ალბათ, სწორედ მათი დღევანდელი მდგომარეობით არის განპირობებული, რომელსაც შესანიშნავად იყენებენ პოლიტიკური პარტიები. შეგახსენებთ, რომ სწორედ ვეტერანი გვარდიელების სახელს უკავშირდება 24 მარტის ისნის ე.წ. ამბოხება. ვეტერანები კვლავ და კვლავ იმეორებენ, რომ ეს ინციდენტი **"მთავრობის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო"** და მათი მიზანი ხელისუფლების დამხობა არ ყოფილა.

გუშინ ვეტერანი გვარდიელები აცხადებდნენ, რომ **"გამოძიება ტენდენციურად წარიმართა. აჯანყებულებს აზრადაც არ მოსვლიათ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა".** მეტიც: ისინი აღშფოთებულები არიან იმ ბრალდებით, რომელიც ხელისულების მხრიდან ისმის, რომ თითქოს მათ გარეშე ძალები მართავდნენ.

სხვათა შორის, გუშინ ერთ-ერთი დაკავებული გვარდიელის - ვალერი გალდავას დამ, ნანა გალდავამ განაცხადა, რომ პროკურატურის ბრალდება, თითქოს ვეტერანებმა სტრატეგიული ობიექტი დაიკავეს, სრული სიცრუეა, **რადგან "ეს ობიექტი უკვე დიდი ხანია, რაც კერძო პირების მიერაა პრივატიზებული".** მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც ჰქონია. მანვე განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, ნაწილში არსებული გაუმართავი ტექნიკა ვეტერანი გვარდიელების შესვლის შემდეგ ვილაცას შეგნებულად და გამიზნულად მოემართა.

ვეტერანთა გამოსვლების შემდგომ, თემურ ჟორჟოლიანი კვლავ დიდ პოლიტიკას დაუბრუნდა და იგორ გიორგაძეზე ისაუბრა. მისი თქმით, ალიანსი პერმანენტული აქციების გამართვას გეგმავს გიორგაძის დაბრუნების მოთხოვნით.

ასე რომ, გიორგაძის სახელს, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გავიგონებთ. სხვა საქმეა, რამდენად "გაჭრის" დღეს ათასგზის ნაცადი და უკვე გვარიანად გაცვეთილი ხერხი...

# აღიძრა სისხლის სამართლის საქმე

სოხუმის ხელისუფლების პროკურატურამ სოხუმის იზოლატორის ყოფილი უფროსის ოთარ დელბას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. დელბას 7 აპრილს 9 პატიმრის გაქცევის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ.

**"პროკურატურა დელბას ბრალეულობისა და პატიმართა გაქცევაში მისი თანამონაწილეობის საკითხს სერიოზულად სწავლობს და იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში თავხედური გაქცევის ორგანიზატორებისა და შემკვეთების კვალს მიაგნებს"** - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების პროკურორმა რაუფ კორუამ.

მისივე თქმით, 7 აპრილს დაკავებული იზოლატორის 4 თანამშრომელი ჯერჯერობით დუმილს არჩევს, მაგრამ არსებობს ყველა წინაპირობა, რომ სოხუმის იზოლატორის 4 თანამშრომლის გარდა, კიდევ რამდენიმე ეჭვმიტანილი მილიციელი დააკავონ.

სოხუმის იზოლატორში პატიმართა გაქცევის საკითხი სოხუმის ხელისუფლების შს სამინისტროს კოლეგიამ განიხილა და წინადადებით მიმართა აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პერსონალურად განიხილოს შს მინისტრის მოადგილეების ვალერი ლაგვილავას, ლეონიდ გაბლიას, ვიტალი დარნავას თანამდებობებზე დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხი. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა სულ 15 წუთს გაგრძელდა. ამის მიზეზი აფხაზეთში მიმდინარე მწვავე სახელისუფლებო კრიზისი გახდა. აფხაზური მხარე მშვიდად იყო და ტრადიციული ბრალდებებისგან თავი შეიკავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის ირაკლი მაჭავარიანის განცხადებით, კომისიის მორიგი სხდომის ჩატარება 23-25 აპრილისთვის არის დაგეგმილი. იგი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას სხდომის შესაძლო ჩაშლის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი გია ყარყარაშვილი არ ადასტურებს ინფორმაციას მოქკავშირის ახალ საარჩევნო ბლოკში "ახალი საქართველოსთვის" მის შესაძლო გაერთიანების შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები", რომელიც საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა სიების დაზუსტების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს, ეჭვობს, რომ ხელისუფლება დათქმულ ვადაში შეძლებს ამ ამოცანის გადაწყვეტას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ხელისუფლების საარჩევნო ბლოკის გამარჯვებაში დარწმუნებულია. მისი თქმით, მათ ბლოკში უკვე ბევრი პოლიტიკური პარტიაა გაერთიანებული, რომელთა სახელებს საზოგადოება თავის დროზე თვით პარტიის ლიდერებისგან გაიგებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ეროვნული-დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ირაკლი წერეთელი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას კიდევ ერთი ინიციატივით მიმართავს. იგი აშშ-ს ხელისუფალთ ახალი, უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეას აწვდის და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ს სამთავრობო მისამართებზე შესაბამისი შინაარსის მიმართვას აგზავნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ საქართველოში ქურთული დიასპორის წარმომადგენლებმა ბერძნული ვიზების მოთხოვნით, საბერძნეთის საკონსულოს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს. **პრაიმ-ნიუსი**

# ენერგოაბლაბუდა

მაია მოსიაშვილი

ორიოდე დღის წინ რუსთავს ნორმალური ენერგომომარაგება აღუდგა. რუსთავის მთავრობამაც არ დააყოვნა და გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას (გსკ) "რელასის" დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა. ქალაქის მთავრობის სხდომაზე მოწვეულ გსკ-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გია ადეიშვილს მერიამ და საკრებულომ დირექტორის, გია ენდელაძის მაკომპრომეტირებელი ვიდეომასალა წარუდგინა. **"რუსთავი აბლაბუდას დაემსგავსა გადაყვანილი ხაზების გამო. ეს არის ჩვენი ქალაქი - ობობას ქსელი,"** - განმარტა რუსთავის მერმა. "ბრალდებულ" ენდელაძის პასუხი თავდაპირველად ასეთი იყო: **"არ მინდა წამომცდეს რამე და საკრებულოს ან მერიის წევრებს შეურაცხყოფა მივაყენო."**

**"პასუხი გაეცით, ეს უფრო ეჭვებს იწვევს, სიმართლე თქვით,"** - შეუტია თავის თანამშრომელს ადეიშვილმა.

**"გადაყვანილი ხაზები ყველგან არის, მთელს საქართველოში. ერთი კი ფაქტია, თუ "რელასთან" ის ურთიერთობა გაგრძელდა, რაც დღეს არის, რამდენიმე თვეში მას არც ერთი გადამხდელი აღარ ეყოლება,"** - ენდელაძის ნახევრად ნათქვამი ადეიშვილმა განავრცო: **"გასარკვევია, აქ ნაჩვენებ ქსელებში რა არის "რელასის" და რა სხვა კომპანიის. იქ ისეთი სიმძლავრის კაბელია, რომ ჩვენი არ შეიძლება იყოს. გავარკვიოთ, რომელი კომპანიები მუშაობენ რუსთავში. ახლა მოდაში შემოვიდა დენის გაყიდვა და ყველა ცდილობს, "რელასს" მხოლოდ არგადამხდელი აბონენტები დარჩეს."**

ასეთი მინიშნების შემდეგ მთავრობა მოლბა და ენდელაძეც დირექტორის სკამზე დარჩა. არავინ დაინტერესებულა, მათ შორის რუსთავის მერიც, რომელ კომპანიაზე აკეთებდა მინიშნებას "რელასის" მხარე. უფრო სწორედ, ამაზე საუბარი ჟურნალისტების თანდასწრებით არავის აძლევდა ხელს.

რუსთავში დღეისათვის ორი ლიცენზირებული ენერგოგამანაწილებელი კომპანია არსებობს - "რელასი" და "რუსთავმშენი - 2000".

**"ყველა ლიცენზიანტს სემეკი უსაზღვრავს მოქმედების არეალს. "რუსთავმშენს" დარღვეული აქვს ის და "რელასის" არეალშია შემოჭრილი. მათ აქვთ მხოლოდ პროექტი, არ აქვთ თანხმობა სემეკ-იდან და "რელასიდან". ახლახან შუა ქალაქში 10 კილოვოლტიანი საჰაერო შიშველი ხაზი გაჭიმეს. ამის გაკეთება, ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, მიუღებელია,"** - განუცხადა "24 საათს" "რელასის" დირექტორის პირველმა მოადგილემ რეზო კლდიაშვილმა.

**"რელასისთვის" არც ერთი მომხმარებელი არ წაგვირთმევია. ჩვენი ხაზი ალტერნატიული, სარეზერვო ხაზია, რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა ქალაქს ელექტროენერგია არ მიეწოდება,"** - ამტკიცებს "რუსთავმშენი-2000"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კარლო ლეკვეიშვილი. მისი თქმით, ისინი დენს მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციას აწვდიან, თუმცა არ უარყოფს, რომ ეს ორგანიზაციები შემდეგ ელექტროენერგიით უკანონოდ ვაჭრობენ და მას 12-14 თეთრად ჰყიდიან. **"ეს არის კრიმინალი, კომერციული დენი არ არსებობს, ფასის მომატება არ შეიძლება. ჩვენ გავაფრთხილეთ ისინი, შეეწყვიტათ ასეთი საქმიანობა, წინააღდეგ შემთხვევაში, გავთიშავდით,"** - აცხადებს ლეკვეიშვილი. გათიშვით, რა თქმა უნდა, არავინ გაუთიშავთ და შედეგიც ის იყო, რომ მთელი ზამთარი თითქმის ნახევარი ქალაქი კომერციული შუქით იკვებებოდა. 12, 14, 15-თეთრიანი ელექტროენერგია საქართველოში არ არსებობს, ამიტომ ხალხის მიერ გადახდილი ასეთი საფასური, რა თქმა უნდა, არსად ფიქსირდებოდა. რუსთავში ბავშვმაც კი იცის, რომ კომერციული დენის გასაყვანად თავდაპირველი გადასახადი დაახლოებით 100 დოლარია, ათასობით აბონენტს ის გადახდილი აქვს, თუმცა სად ან ვისთან მიდის ფული, არ იციან.

"რელასში" ამბობენ, რომ "რუსთავმშენის" მხრიდან ასეთმა საქციელმა მათ უამრავი გადამხდელი ორგანიზაცია წაართვა, რაც პირდაპირ აისახა ფინანსებზე და კიდევ უფრო გააძნელა "რელასისათვის" საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიის მოპოვება.

"24 საათი" ერთ-ერთი გადამყიდველი საწარმოს დირექტორს ესაუბრა, რომელმაც განაცხადა: **"თუ ისინი ამბობენ, რომ ეს კრიმინალია, ესე იგი ასეც არის და დამნაშავე ვარ, თუმცა მე ვთვლი, რომ ქველმოქმედი ვარ და ხალხს ვეხმარები."**

კომერციული დენი რუსთავში რომ წმინდა წყლის კრიმინალია, ამას ვიცემერი ლევან დუგლაძეც ადასტურებს, რომელიც ქალაქის ენერგომომარაგებას კურირებს. მიუხედავად ამისა, არც ის და არც ქალაქის მერი ერთხელაც არ გამოსულან ამ უკანონობის წინააღმდეგ, რასაც ისინი მოსახლეობის ინტერესებით ხსნიან. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, არსებობს სხვა ინტერესიც - "რუსთავმშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ამ ორგანიზაციის აქციათა 14 პროცენტი ვიცე-მერ დუგლაძეს ეკუთვნის...


*რუსთავის „ენერგომეურნეობა"*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ჯორბენაძის რჩევა: ისარგებლეთ ხელისუფლების ლმობიერებით!

სოფო ბუკია

*სახელმწიფო მინისტრი საარჩევნოდ ძველ მეგობრებს იხსენებს. გუშინ ავთანდილ ჯორბენაძე მეწარმეებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალები დააზუსტა. პროფკავშირები ჯორბენაძეს სრულ მხარდაჭერას ჰპირდებიან.*

**"ხელისუფლება, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში არჩევნების წინ უფრო ლმობიერი და დამთმობი ხდება. აქედან გამომდინარე, ჩემი კოლეგებიც უფრო მეტად შეეცდებიან ვალდებულებების შესრულებას. თქვენ გეძლევათ შანსი, რომ ხელისუფლების ეს მდგომარეობა გამოიყენოთ,"** – ასე დაარიგა სახელმწიფო მინისტრმა მეწარმეები და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები და, უნებურად, საკუთარი გააქტიურების მიზეზიც გაამჟღავნა.

პროფკავშირებისა და ჯორბენაძის მეგობრობა, როგორც იტყვიან, უხსოვარი დროიდან იწყება. 2001 წელს, მაშინ, როცა დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი ქვეყნის "მთავარი ექიმი" გახლდათ, პროფკავშირებს, მეწარმეებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის გენერალური ხელშეკრულება დაიდო. შეიქმნა სამმხრივი კომისია, რომელსაც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, შრომის ანაზღაურების საკითხების მოწესრიგება და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მუშაობა დაევალა. ვალდებულებები სამივე მხარემ გაინაწილა. თუმცა, როგორც გუშინდელ შეხვედრაზე გაირკვა, ვალდებულებების ყველაზე ურჩი შემსრულებელი სწორედ ხელშეკრულების ინიციატორი აღმასრულებელი ხელისუფლება გამოდგა.


შეხვედრაზე ედპ-ს გამოჩენა მოულოდნელი იყო.

მაგრამ ხელისუფლების გულგრილობა პროფკავშირებისთვის დიდი ვერაფერი ჭკუის სასწავლებელი გამოდგა. **"მჯერა, რომ ყველა ის საკითხი, რაც ჩვენ გვაწუხებს, მხოლოდ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით მოგვარდება,"** – ჯიუტად იმეორებს პროფკავშირების შეფი ირაკლი ტუღუში. ასე რომ, ხელშეკრულებას, რომელსაც ვადა 2002 წელს ამოეწურა და რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე თითქმის არავითარი ფუნქცია არ შეუსრულებია, პროფკავშირები, მეწარმეები და ხელისუფლება ხელახლა მოაწერენ ხელს.

მეწარმეებმა, რომელთაც, თურმე, "ხელისუფლებასთან დიალოგის დეფიციტი" აწუხებთ, სახელმწიფო მინისტრს გადასახადების შემცირება, კანონპროექტების შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა მსგავსი წვრილმანების შესრულება მოსთხოვეს.

პროფკავშირების წარმომადგენლებმა შემცირებები და დაბალი ხელფასები გააპროტესტეს.

ბატონმა ჯორბენაძემ ყველანი დაამშვიდა და შევარდნაძისებურად გაიკვირვა: ნუთუ ბოლო წელს "ქვეყანაში მიღწეული ეკონომიკური ზრდა" ვერ შეამჩნიეთო? სახელმწიფო მინისტრმა ინატრა ისეთი ქვეყანა, რომელსაც ძლიერი ხელისუფლება, წელგამართული მეწარმეები და ჯანსაღი პროფკავშირები ჰყავს. თურმე, ასეთი სამოთხის მშენებლობა უკვე დაწყებული გვაქვს და სანადელსაც სულ მალე მივაღწევთ.

ხელშეკრულებაზე ხელი გუშინ არ მოუწერიათ, რადგან ჯერ იგი უნდა დახვეწონ და იდეალური სახე მიაღებინონ.

# საქართველოს ამერიკისთვის ისევ მოუწევს პარტნიორობის დამტკიცება

პირველი გვერდიდან

თუმცა, ქართველ კანონმდებლებზე ადრე, ამგვარი პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირების წესით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო დაინტერესდა.

გავრცელებული ინფორმაციით, პირველ აპრილს საელჩოს მრჩეველმა კეიტ პოლიაჩიკმა სპეციალური აუდიენცია სთხოვა ეკონომიკის მინისტრს გიორგი გაჩეჩილაძეს და, კანონპროექტის დეტალურად შესწავლის შემდეგ, დაპირდა მას, რომ ორმაგი დანიშნულების მქონე პროდუქციის ( მათ ჩამონათვალში კი შედის პიროტექნიკური საშუალებები, ბირთვული რეაქტორები, რადიოლოკაციური აპარატურა, იზოტოპების დამშლელი მოწყობილობები, სითბოს გამომყოფი ელემენტები) ექსპორტზე კონტროლის განხორციელებაში ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას გაუწევს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის ზურაბ ეზუგბაიას განმარტებით, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ მოქმედ კანონში ამგვარი ცვლილებების აუცილებლობა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა ეკონომიკური საქმიანობის ლიცენზირების შესახებ ახალი ჩარჩო-კანონი მიიღო. აღნიშნული კანონი ძალაში პირველ იანვარს უნდა შესულიყო, მაგრამ იმ პირობით, თუკი ცვლილებები ყველა შესაბამის სპეციალურ კანონში მოხდებოდა. მაგრამ ბევრი უწყება დადგენილ ვადებში ვერ ჩაეტია, რის გამოც კანონპროექტის შესამუშავებლად ახალი, ორთვიანი ვადა განისაზღვრა, რომელიც პირველ აპრილს ამოიწურა.

რაც შეეხება კანონპროექტით ამერიკის მხარის დაინტერესებას: საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზურაბ ეზუგბაია ამ ფაქტს ასე ხსნის: ***"რამდენადაც ვიცი, ეკონომიკის სამინისტრო სარგებლობს იმ ნორმატიული, პრაქტიკული და მეთოდური მასალებით, რაც ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით არის გაკეთებული პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის. მათ შორის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეჯერებული ჩამონათვლები. მიდგომა ეკონომიკის სამინისტროსი საკამოდ ლიბერალურია - ნაწილი ამ ნუსხისა იქნება სრულიად თავისუფალი, ხოლო ნაწილი ნუსხისა, რომელიც დადგენილია ევროპასა და აშშ -ში მოქმედი სტანდარტებით, დაექვემდებარება საექსპორტო კონტროლს."***

მაგრამ, ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ამერიკის დაინტერესება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ექსპორტ-იმპორტის რეჟიმით საქართველოში, მხოლოდ მეთოდოლოგიური დახმარების სურვილით არ აიხსნება და იგი ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებსაც უკავშირდება. მეტიც, არსებობს მოსაზრება, თითქოს ის თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, რომელიც, "თეთრი სახლის" მტკიცებით, სადამ ჰუსეინს რუსეთისგან უნდა მიეღო, ერაყში სატრანზიტო გზით, სწორედ საქართველო-სომხეთ-ირანის გავლით მოხვდა.

ამ ინფორმაციას დამაჯერებლად არ მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი. თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მოძრაობით ამერიკის დაინტერესებას, ისიც "გლობალურ პროცესებს" უკავშირებს და საკანონმდებლო ცვლილების მიღებას პარლამენტში უპრობლემოდ ვარაუდობს.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი საშიში პროდუქციის უკანონოდ გატანის შესახებ, საკუთრივ საქართველოში ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. მხოლოდ შარშან, ისიც დასავლეთის პრესაში, გაჟონა ინფორმაციამ პანკისის ხეობაში წარმოებული "რიცინის" შესახებ, რომლითაც ტერორისტები "ბინძური ბომბების" დამზადებას ცდილობდნენ. 17 თებერვალს კი ვაზიანის სამხედრო ნაწილიდან რადიაქტიური ნივთირება ცეზიუმ 137-ით დატვირთული სამი კონტეინერი დაიკარგა, რომლის კვალს საქართველოს სამართალდამცველები დღემდე უშედეგოდ ეძებენ. თუმცა, არსებობს ვარაუდიც, რომ ცეზიუმიანმა კონტეინერებმა, რომელიც ზემოხსენებული კანონპროექტის მიხედვით, სითბოსგამომყოფ ნივთიერებათა სახეობას განეკუთვნება, უკვე დატოვეს საქართველოს საზღვრები ახალი თავგადასავლების საძებნელად.

# შევარდნაძე "ელექტროკავშირის" "გამჭვირვალე" პრივატიზებას ითხოვს

პირველი გვერდიდან

– "ტელენორისა" და "სელფორდის" დაინტერესება; კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე და სოლომონ პავლიაშვილი, რომლის გვარიც რეზოლუციაზე პრეზიდენტმა საკუთარი ხელით მიაწერა.

შევარდნაძემ რეზოლუცია ქონების მართვის აწ უკვე გაუქმებული სამინისტროს ხელმძღვანელის, სოლომონ პავლიაშვილის წერილს დაადო, რომელშიც მინისტრი "ელექტროკავშირის" "ტელენორისა" და "სელფორდისთვის" გასხვისების მიზანშეწონილობაზე საუბრობს. ეს წერილი ერთადერთი ღია წყაროა, რომელიც შეიცავს ცნობებს ადგილობრივ ბაზარზე "ტელენორისა" და "სელფორდის" მიზნებთან დაკავშირებით. წერილის თანახმად, "ტელენორი" მზადაა, განახორციელოს "ელექტროკავშირის" მოკლევადიანი (სამწლიანი) მენეჯმენტი, რომლის დროსაც მის მიერვე შემუშავებული ბიზნეს-გეგმით იმოქმედებს. პავლიაშვილი აუწყებს პრეზიდენტს, რომ სააქციო საზოგადოება "საქართველოს ელექტროკავშირში", ასევე ქონების მართვისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროებში "ტელენორისა" და "სელფორდის" ექსპერტების მიერ მომზადებული ბიზნეს-გეგმა განიხილეს და მოიწონეს. განხილვის შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო არა მარტო მასმედიისთვის და არასამთავრობო სექტორისთვის, არამედ დაინტერესებული სამთავრობო წრეებისთვისაც.

სხვათა შორის, ქონების მართვის სამინისტრო კვლავ მალავს როგორც ბიზნეს-გეგმას, ასევე მენეჯმენტ-კონტრაქტის პროექტს. სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს "ტელენორისა" და "სელფორდის" მოთხოვნით კეთდება. ქართველ ექსპერტთა შეფასებით კი, ამით პავლიაშვილის უწყებაში საქართველოს კანონებს არღვევენ, რადგან საჯარო ინფორმაციის დამალვა დაუშვებელია. იგივე შეიძლება ითქვას მერაბ ადეიშვილის სამინისტროზეც.


საქართველოს პრეზიდენტი

ბატონებს: გ. გაჩეჩილაძეს,
მ. ადეიშვილს,
ვ. აბაშიძეს
2. [illegible]

კომპანიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საკითხი სერიოზული განსჯის და ფართო განხილვის საგანი უნდა გახდეს.

წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები სს "საქართველოს ელექტროკავშირის" განვითარების პერსპექტივებისა და წერილში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გაითვალისწინოთ როგორც ფირმის სპეციალისტების, ასევე მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები.

განხილვის შედეგები მომახსენეთ.

2003 წ. 1 აპრილი

№ 675/8

№3

რეზოლუციის მიხედვით, წარმოდგენილი უნდა იყოს **"მოსაზრებები "საქართველოს ელექტროკავშირის" განვითარების პერსპექტივებისა და სოლომონ პავლიაშვილის წერილში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით".** პრეზიდენტი ასევე მოითხოვს "ელექტროკავშირთან" დაკავშირებული მოლაპარაკების პროცესში მსოფლიო ბანკის ჩართვას.

**"პრეზიდენტის რეზოლუციას შესრულება სჭირდება. ჩვენ ქონების მართვისა და ტრანსპორტის სამინისტროებისა და კომპანია "საქართველოს ელექტროკავშირის" ხელმძღვანელებისგან სათანადო დოკუმენტაცია – ბიზნეს-გეგმა და მენეჯმენტ-კონტრაქტი - მოვითხოვეთ. მათ ჩვენი კომისიის საკონსულტაციო საბჭოზე განვიხილავთ, რის შემდეგაც პრეზიდენტს ჩვენს მოსაზრებებს წარვუდგენთ,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბარში კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ. მისი თქმით, "ელექტროკავშირთან" დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს მსოფლიო ბანკშიც. **"ბანკში უნდა იცოდნენ საქართველოს მთავრობის ოფიციალური პოზიცია,"** – დასძინა აბაშიძემ.

მსოფლიო ბანკი სატელეკომუნიკაციო სექტორის რესტრუქტურიზაციის პროცესში საქართველოს მთავრობის მთავარი პარტნიორია. ბანკის მხარდაჭერით, თბილისმა ერთხელ უკვე სცადა "საქართველოს ელექტროკავშირის" პრივატიზება. სწორედ გადაწყვეტილების მიღების საჯაროობაზეა საუბარი ბანკის "ტელეკომუნიკაციების კომპონენტის საზედამხედველო მისიის" მოხსენებაშიც, რომელიც ბანკის ექსპერტებმა ქართველ მინისტრებს ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დაუტოვეს. საქართველოში მათი ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ადგილობრივი მთავრობის წევრებთან ორი ქართული კომპანიის - "საქართველოს ტელეკომისა" და "საქართველოს ელექტროკავშირის" პრივატიზების საკითხის განხილვა წარმოადგენდა. ექსპერტებმა საქართველოს მთავრობას ურჩიეს, თავი შეეკავებინა, **"გამჭვირვალე და ღია კონკურსის ჩატარების გარეშე"** "ელექტროკავშირის" მართვის კონტრაქტის გაფორმებისგან.

მთავრობა კი იმ კედელს ჰგავს, რომელსაც ცერცვს აყრიან - არც მსოფლიო ბანკის რეკომენდაციას ასრულებს და არც - პრეზიდენტის რეზოლუციას.

# პროკურატურის საპარლამენტო გზავნილი

პირველი გვერდიდან

## ფილოლოგი

გაბრიჩიძის უსტარიდან წყობილი მარგალიტების ამოლაგებას სწორედ ყველაზე "უწყინარი" - ფილოლოგიური სივრციდან დავიწყებთ. პირველი "გასროლა" გენერალური პროკურორის მიმართვის პირველივე აბზაცში ხდება: "2000 წლის 29 ნოემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოება "საქგაზის" მუშაკთა მიმართ". აქამდე ტერმინი "მუშაკი", რომელიც სიტყვა "მუშიდან" მომდინარე კნინობით-ალერსობითი ფორმაა, უპირატესად მხოლოდ მილიცია-პოლიციის, უშიშროების, პროკურატურის თუ სხვა მრისხანე უწყებების თანამშრომელთა მისამართით გამოიყენებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, ბატონ გაბრიჩიძეს უკვე იმდენად ღრმად აქვს გამჯდარი პროფესიული ტერმინოლოგია, რომ ყველას საკუთარი თუ მოძმე ძალოვანების თანამშრომელთა "სტატუსით" შემკულს აღიქვამს.

თუმცა, ეს უწყინარი ხუმრობაა იმასთან შედარებით, რაც წერილში მერე მოდის. გენერალური პროკურორი საქმის მსვლელობის აღწერას იწყებს და სუნთქვის შემკვრელ დეტალებს გვაცნობს. თხრობის კვალდაკვალ სიტუაცია იძაბება, სიუჟეტი მძაფრდება და მთავარი უარყოფითი გმირის დასრულებული სახეც ყალიბდება. ეს მთავარი გმირი, უკვე გითხარით, "საქგაზის" ყოფილი შეფი და ამჟამინდელი პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილია, რომელიც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, თემურ გიორგაძის N78 ბრძანების ბოროტად გამოყენებაში იმხილება. მეტიც: ბეჟუაშვილს ამ ბრძანების მიმართ ყოვლად ამაზრზენი საქციელი აქვს ჩადენილი. როგორც გენერალური პროკურორი მოგვითხრობს: "N78 ბრძანების ქსეროასლი შეუფერხებლად გავრცელდა და მას სააქციო საზოგადოება "საქგაზის" გენერალური დირექტორი დავით ბეჟუაშვილი დაეუფლა". რაღა დაგიმალოთ და მსგავს გაუკუღმართებულ ქცევებში პროკურორებს პარლამენტარები ასე საჯაროდ ჯერ არ დაუდანაშაულებიათ. ამ მხრივ, ბეჟუაშვილი, ალბათ, ნოვატორია: შეგიძლიათ, თავად წარმოიდგინოთ, როგორ საწყალობლად ფართხალებდა უბედური N78 ბრძანება მის მოძალადე მკლავებში!

შემდეგ კიდევ უფრო საშინელი რამეები ხდება: დაეუფლა რა ამ ბრძანებას, "დავით ბეჟუაშვილმა ასევე ჩაიდინა დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდება". ამ წინადადების შეფასების კომპეტენცია ყველა უბრალო მოკვდავს ნამდვილად არ გააჩნია. ამიტომ ვისარგებლოთ შემთხვევით და მისი ექსპერტიზა ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ღვინჯილიას მივანდოთ, რომელიც, იმედია, დაადგენს, ენათა რომელ ჯგუფს ან დიალექტს განეკუთვნება გენპროკურორის ეს გამონათქვამი. და საერთოდ: ბატონი ლევანის უწყება ამ დოკუმენტს დეტალურად თუ შეისწავლის, ქართული აფორიზმებისა და ნეოლოგიზმების სერიოზულ მარაგს შეიძენს.

## იურისტი

ცხადია, მთელი წარმოდგენილი ლირიკა გაბრიჩიძეს ბეჟუაშვილის ბრალის დასამტკიცებლად სჭირდება. ამდენად, ალბათ, უნდა მივუტევოთ მას უნებლიე ფილოლოგიური გადაცდომები და საქმის იურიდიულ მხარეს ჩავუღრმავდეთ.

თუმცა, ზოგიერთ ეპიზოდში ბატონი ნუგზარი ამის საშუალებას თვითონვე გვისპობს. თვით იმ ყველაზე დრამატულ ეპიზოდშიც კი, სადაც ბეჟუაშვილი ვიღაცას დაეუფლა, რაღაც ჩაიდინა და, თან, თავიც აარიდა, ბატონი ნუგზარი თავადვე ასკვნის, რომ: "აღნიშნულში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო თავისუფლდება ამ ქმედების ჩამდენი პირი". ანუ მნიშვნელობა არა აქვს, ბეჟუაშვილმა მოკლა, შემოაკვდა თუ სულაც ცოცხალი დატოვა - ის ცამდე მართალია და აქ მას ადვოკატიც კი არ სჭირდება, რადგან თვით გენერალურმა პროკურორმა გაამართლა! დასკვნის სახით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპიზოდს პარლამენტში წარდგენილი 10-გვერდიანი საპროკურორო უსტარის მესამედი უკავია ანუ მთელი ეს სივრცე გენპროკურორს სულ ტყუილად აქვს გახარჯული.

რაც შეეხება სხვა ბრალდებებს, არც მათზე დახარჯული სივრცეა გამოყენებული უფრო დამაჯერებლად. ბევრი მაგალითებით არ გადაგღლით და მხოლოდ ორიოდეს მოგიტანთ: გენპროკურორს თავის გზავნილში მთელი თეორია აქვს აგებული იმ მოტივზე, რომ ბეჟუაშვილის "საქგაზმა" გაზის ტრანსპორტირების საფასურად ნატურით დატოვებული აირის 10% შემოსავლად არ აღრიცხა, არ განაბაჟა და ეს უფლება სხვა კონტრაგენტს გადაულოცა. თუმცა, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა - სამოქალაქო, საბაჟო და საგადასახადო კოდექსები და მეწარმეთა შესახებ კანონი ასეთ შეზღუდვას არ აწესებს. პირიქით: ნებისმიერ კონტრაგენტს უფლება აქვს, თავად მიიღოს საქონელი და თავად განაბაჟოს. ასე რომ, გენპროკურორს აქაც "პრაკოლი" მოუვიდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მაგალითს, ის უსაფუძვლობასთან ერთად შესაძლოა, საკმაოდ ძვირადღირებულიც აღმოჩნდეს. პროკურატურა "საქგაზის" მხრიდან ბიუჯეტში სამეწარმეო გადასახადის გადაუხდელობას დავობს და აცხადებს, რომ ბეჟუაშვილმა "საჭირო რაოდენობას" 130 ათასი დააკლო. ცხადია, ამ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ, რეალურად პროკურატურა საკმაოდ უხერხულ ვითარებაში იგდებს თავს. თავად განსაჯეთ: სამეწარმეო გადასახადს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აწესებენ. "საქგაზს" ეს გადასახადი იქაური ორგანოს დადგენილებით უნდა გადაეხადა, სადაც რეგისტრირებულია - თეთრიწყაროში. გადასახადის ოდენობა თეთრიწყაროელმა "ადგილობრივებმა" კი დააწესეს, მაგრამ ყველა ნორმატიული აქტის ძალაში შესასვლელად აუცილებელი პროცედურა დაავიწყდათ - დადგენილება იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ. შესაბამისად, საქმე სულ ყირაზე დგება: "საქგაზს" არათუ დაუკლია, სრულიად ზედმეტად გადაუხდია ეს გადასახადი და მისმა დღევანდელმა მეპატრონემ - რუსულმა "იტერამ" ეს საკითხი კარგად რომ მოქექოს, ბიუჯეტიდან იქით წაიღებს ფულს. თან, არა სადავო 130 ათასს, არამედ გაცილებით მეტს.

დაახლოებით, ასეთ შედეგებამდე მოვყავართ გენპროკურორის იურიდიულ ლოგიკას. ლოგიკას იმ ადამიანისა, რომელიც თანამდებობრივად ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური იურისტია.

## ეკონომისტი

გენპროკურორის საპარლამენტო გზავნილში მისი ნოვატორული ეკონომიკური ხედვის არაერთი მაგალითიც გამოსჭვივის. ზედმეტად რომ არ გადაგღალოთ, აქაც ორიოდე მაგალითით შემოვიფარგლებით. ბეჟუაშვილის ძირითად დანაშაულად პროკურატურა მისი მხრიდან გადასახადების დამალვას ასახელებს. ამ მოტივით, ბეჟუაშვილს, მაგალითად, 6 ათასი ლარის საბაჟო მოსაკრებლის გადაუხდელობას ედავებიან. რა უნდა ითქვას? მხოლოდ ის, რომ საბაჟო მოსაკრებელი არანაირად არ განეკუთვნება გადასახადების რიცხვს და, შესაბამისად, ვერ დარეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში მოქმედებს. სიტუაცია იმდენად მარტივი და გენიალურია, რომ მეტს ვეღარაფერს დავამატებთ.

სხვა მაგალითი გნებავთ? ინებეთ: ბუნებრივი აირის ტექნოლოგიური დანაკარგების ასანაზღაურებლად გადაცემული რესურსი, გენპროკურორის შეფასებით, უნდა აღირიცხოს, როგორც შემოსავალი. ამ დროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით, დანაკარგები სრულიად საპირისპირო - ხარჯების კატეგორიას მიეკუთვნება, ერთობლივი შემოსავლიდან იქვითება და დასაბეგრ მოგებას ამცირებს. გენპროკურორი კი ამ დანაკარგებზე ჯიუტად ითხოვს მოგების გადასახადის დარიცხვას მთელი 300 ათასი ლარის ოდენობით.

ისე, დანაკარგების მოგებად გარდასახვის იდეა ნამდვილად ეკონომიკური პროცესების ნოვატორული ხედვის ნაწილია და, ვაღიაროთ, რომ თავისი მნიშვნელობით 300 ათასი ლარი ნამდვილად ღირს. ზოგიერთები, გვერწმუნეთ, ბევრად მეტსაც გადაიხდიან, თუ გაბრიჩიძე ყველას დეტალურად აუხსნის, ეს მანიპულაციები როგორ უნდა გაახერხონ.

## ეპიტაფია

ცნობილი ფაქტია: არსებობს დემაგოგია, რომელიც შეიძლება ლამაზად გადმოსცე და სიმართლეს მიამსგავსო. მეორე მხრივ, არსებობს სიმართლე, რომელიც ყოველთვის ლამაზად არ გამოიყურება, მაგრამ მისი ძირითადი ღირსება სწორედ ის არის, რომ სიმართლეა.

ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძის წინამდებარე საპარლამენტო გზავნილი, სამწუხაროდ, არც ერთია და არც მეორე. ის მხოლოდ ნათელი მაგალითია იმ უნმიშვნელოვანესი უწყების სრული დეგრადაციისა და უსუსურობისა, რომელსაც საქართველოს გენერალური პროკურატურა ჰქვია. როდესაც თავად გენერალური პროკურორი ასეთი ხარისხის დოკუმენტით წარსდგება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს, თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაასკვნათ, რა ხდება ამ უწყების შედარებით ქვედა დონეებზე. ამიტომ ძნელია, გახმაურებული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გახსნა და ბოლომდე მიყვანა მოითხოვო.

## თვალსაზრისი

# ენერგოსექტორის შეღავათიანი დაბეგვრა ღარიბების ხარჯზე მოხდება

ზურაბ ნოღაიდელი

რამდენიმე ხნის წინ პარლამენტის წევრი, ბატონი ფრიდონ ინჯია და ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" პარლამენტის წინაშე წარდგნენ პრაქტიკულად იდენტური საკანონმდებლო ინიციატივით: ელექტროენერგიის მიწოდება საბოლოო მომხმარებლისათვის დაიბეგროს დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი განაკვეთით.

იმავდროულად ბატონი ფრიდონ ინჯია გვთავაზობს, ელექტროენერგიის მიწოდება საბოლოო მომხმარებელზე გათავისუფლდეს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან, რაც, ალბათ, მექანიკური შეცდომაა, ხოლო ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" მოითხოვს, შეღავათის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2006 წლის 1 იანვრამდე.

ავტორები შემოთავაზებულ საკანონმდებლო ინიციატივას ამართლებენ არგუმენტებით, რომ ამ საგადასახადო შეღავათის შედეგად შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება.

მარტივი გათვლები გვიჩვენებს, რომ ეს მართლაც ასე იქნება და შესაძლებელი გახდება დღის წესრიგში დაისვას ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების საკითხი.

მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ:

- ცენტრალურ ბიუჯეტს ამ გადაწყვეტილებით დააკლდება უკვე დაგეგმილი და რეალურად მიღებადი შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილი, დაახლოებით 35-40 მილიონი ლარი;

- შესაბამისად მთავრობა ცენტრალური ბიუჯეტიდან ამ რაოდენობის ხარჯების (მათ შორის - მნიშვნელოვანი სოციალური ხარჯების) გაწევას ვერ შეძლებს;

- გასარკვევი იქნება, კონკრეტულად რა ხარჯები შეიკვეცება ცენტრალურ ბიუჯეტში;

შემოთავაზებული შეღავათი უსამართლოა, რადგან ამ მექანიზმით მდიდრები მიიღებენ უფრო მეტ შეღავათს, ვიდრე ღარიბები. პრაქტიკულად ისე გამოვა, რომ ნაკლებად შემოსავლიანი ფენები, მარტივად რომ ვთქვათ – ღარიბები, დაასპონსორებენ საკმაოდ დიდი მოცულობის შეღავათებს მდიდრებისათვის, მთავრობის არაეფექტურ მუშაობას ენერგოსექტორში და თვით ენერგოსექტორის არაეფექტურ მართვას.

ჩვენ ანალოგიურ საკითხებზე უკვე გვქონდა საუბარი და კვლავ გავიმეორებთ, რომ ერთადერთი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება:

- ენერგოსექტორის ჩვეულებრივ რეჟიმში დაბეგვრა, რაც ნიშნავს არა მარტო შემოთავაზებულ შეღავათებზე უარის თქმას, არამედ უკვე დაწესებული შეღავათების გაუქმებასაც;

- მობილიზებული შემოსავლების (დამატებით მობილიზებული შემოსავლების ჩათვლით) პრიორიტეტულად მიმართვა ნაკლებშემოსავლიანი ჩვენი თანამოქალაქეების (და მხოლოდ მათთვის) პირდაპირი სოციალური დახმარებისა და ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაციისათვის.

## მოკლედ

**თბილისი.** ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში 5-წლიანი მართვის უფლებით შესული ესპანური კონსორციუმი "იბედროლა" საქართველოში ერთწლიანი მუშაობის შესახებ დღეს "შერატონ მეტეხი-პალასში" ანგარიშს წარმოადგენს. გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენებას ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი გააკეთებს. კონფერენციაზე ალბერტო სოლისი 2002 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის გარდა, 2003 წლის ბიზნეს-გეგმასაც წარმოადგენს. ესპანელი მენეჯერი იმ ხელისშემშლელ ფაქტორებზეც ისაუბრებს, რომელიც კონსორციუმს ერთი წლის განმავლობაში ბაზარში მუშაობის დროს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქონების მართვის სამინისტროს მიერ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" მმართველის შესარჩევად გამოცხადებულ საკვალიფიკაციო ტენდერს 8 კომპანია გამოეხმაურა. როგორც ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ გენო მალაზონიამ განაცხადა, "გაერთიანებული ენერგოკომპანიით" საკმაოდ სერიოზული კომპანიები დაინტერესდნენ. მათი მონაცემები სამინისტრომ ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის ოფისში უკვე გადააგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარდაბნის რაიონის სოფელ "ახალი სამგორის" მოსახლეობის საჩივარი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გავლისას ადგილობრივი და რაიონული ხელისუფლების ჩინოვნიკების მხრიდან სოფლის საკუთრებაში არსებული მიწების გადაფორმებასთან და თანხების მითვისებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო ფრაქცია 21-ე საუკუნემ განიხილა. მოსახლეობამ დღეს შეხვედრაზე დაასახელა სოფელ "ახალი სამგორის" ყოფილი გამგებელი გოჩა თეგეტაშვილი, რომელმაც სოფლის საძოვრები გადაიფორმა. ასევე პრეტენზიები გამოთქვეს ახლანდელი გამგებლის გურამ ქავთარაძის მიმართ. ფრაქციამ გადაწყვიტა, რომ ადგილზე ვითარების გასაცნობად 2 კვირაში ჩავა, მანამდე კი მოსახლეობას კონკრეტული ფაქტების მოგროვება სთხოვა, რომელიც მოგვიანებით პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას გადაეცემა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს "თბილგაზმა" მუქარა შეასრულა და გუშინ 12 საათიდან, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის არგადახდის გამო, გაზის მიწოდება შეუწყდა პარლამენტს, კანცელარიას, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციებს. ბუნებრივი აირის გარეშე გუშინ არგადამხდელთა "შავი სიის" 60 პროცენტი დარჩა, დანარჩენები კი დღეს გაითიშება. პრეტენდენტებს შორის არიან უშიშროების სამინისტრო, ქონების მართვის სამინისტრო, უზენაესი სასამართლო, კონტროლის პალატა, საბაჟო დეპარტამენტი, ნავთობკომპანია და სხვა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტის სანდრო თვალჭრელიძის აზრით, მთავრობაში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დამატებით პრივატიზების შესახებ", ქვეყანაში ფერმერული მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც თვალჭრელიძემ განაცხადა, ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწიდან, 360 ათასი ჰექტარის პრივატიზებით შესაძლებელი გახდება მიწის მესაკუთრეთა გამსხვილება და ბიუჯეტი მიწების პრივატიზების ამ პროცესის დასრულებისას, დაახლოებით, 42 მილიონ ლარს მიიღებს. მისი თქმით, ის მოიჯარეები, რომლებსაც მიწის ნაკვეთები ამჟამად იჯარით აქვთ აღებული, უპირატესი უფლებით ისარგებლებენ, რათა პირველად მიწა მათ გამოისყიდონ. **ინტერ-პრესი**

# ფოთის ნავსადგურის სამი ტერმინალი იჯარით გაიცემა

სოფო კვინტრაძე

გუშინ ფოთში ნავსადგურის ცალკეული ტერმინალების გრძელვადიანი იჯარით ან მართვის უფლებით გაცემისათვის შექმნილმა კომისიამ სატენდერო წინადადებები გახსნა. როგორც ცნობილია, ფოთის საზღვაო ნავსადგურის ოთხი ტერმინალის 10 წლით იჯარით გაცემაზე საერთაშორისო ტენდერია გამოცხადებული. მესამე და მეოთხე ტერმინალები ტენდერში ერთ ლოტად არის წარმოდგენილი, ხოლო მეხუთე და მერვე – ცალ-ცალკე. სატენდერო პირობების თანახმად, ერთი ლოტის ღირებულება 100 ათასი აშშ დოლარს შეადგენს. ტერმინალის იჯარით აღების მსურველ კომპანიას უნდა გააჩნდეს საბანკო გარანტია პირველი კლასის ბანკისაგან.

როგორც სატენდერო კომისიის წევრმა, ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ ზურაბ გარაყანიძემ შეგვატყობინა, ყველა ლოტზე თითო განაცხადი იყო შეტანილი, სამივე მსურველი ქართული ფირმაა. მესამე და მეოთხე ტერმინალების იჯარით აღების სურვილი თბილისში რეგისტრირებულმა ფირმამ "პრომეთ კო ჯორჯიამ" გამოთქვა, მეხუთე ტერმინალის - ფოთში რეგისტრირებულმა შპს-მ "მეტალ ექსმა", ხოლო მერვე ტერმინალის - ფირმამ "ბი ენდ პიმ", რომელიც ასევე ფოთშია რეგისტრირებული.



ფოთის ტერმინალებს ახალი მფლობელები ეყოლებათ.

ზურაბ გარაყანიძის ინფორმაციით, ტენდერის გამოცხადების შემდეგ რამდენიმე უცხოურმა ფირმამ, მათ შორის, ბერძნულმა და თურქულმა ფირმებმაც გამოთქვეს სურვილი ტერმინალების იჯარით აღებაზე, თუმცა, მათ სატენდერო კომისიისათვის განაცხადი არ წარმოუდგენიათ. კომისიის წევრებმა გუშინ ზემოთჩამოთვლილი ფირმების საკვალიფიკაციო და ტექნიკური წინადადებების პაკეტები გახსნეს. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი - ფინანსური წინადადებები, ჯერჯერობით, ისევ გაუხსნელად რჩება. ერთი თვის მანძილზე სამინისტროები საკვალიფიკაციო და ტექნიკურ წინადადებებს შეისწავლიან და ფინანსური წინადადებების გახსნა მხოლოდ ამის შემდეგ, სავარაუდოდ, მაისის დასაწყისისათვის მოხდება. აღნიშნული საერთაშორისო ტენდერი არის ფოთის ნავსადგურის რესტრუქტურიზებისა და მოდერნიზების სტრატეგიის ერთ-ერთი ეტაპი, რომელსაც შემდგომში დანარჩენი ტერმინალების იჯარით გაცემაც მოჰყვება. როგორც ცნობილია, ფოთის ნავსადგურის რესტრუქტურიზებისა და მოდერნიზების სტრატეგია შემუშავებულია ევროკავშირისა და აშშ-ს განვითარების სააგენტოს ექსპერტთა რჩევებით და იგი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულების შემადგენელი ნაწილია.

# "ანადარკო" შავ ზღვაზე დიდ იმედს ამყარებს

ამერიკული კომპანია "ანადარკო პეტროლიუმ კორპორეიშენის" ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმზ ემი გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია "ანადარკო" უკვე ორი წელია, რაც შავი ზღვის შელფს იკვლევს ნავთობის საბადოს აღმოსაჩენად. კომპანია საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზებს გამოთქვამს, რის საფუძველსაც მოპოვებული მასალების დამუშავების შედეგები აძლევს.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ჯეიმს ემმა სწორედ ამ მასალების ამსახველი დეტალური კარტოგრაფიული და აეროფოტომასალა წარმოადგინა. კომპანიას შავი ზღვის შელფზე უკვე 2000 კვადრატულ კილომეტრზე აქვს ჩატარებული სეისმური გამოკვლევა. როგორც "ანადარკოს" წარმომადგენელი საქართველოში ვანო ლობჟანიძე აცხადებს, კვლევები ჩატარდა აჭარის, სამეგრელოსა და გურიის სანაპიროებზე. რადგან საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთში არ ვრცელდება, "ანადარკომ" ვერ შეძლო ზღვის ამ მონაკვეთის გამოკვლევა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ



თითო ასეთი ჭაბურღილი 35 მილიონი აშშ დოლარი ჯდება.

კომპანიის საქმიანობა დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პროცესებში ქართველი მეცნიერებიც ჩაერთვებიან.

ჯეიმს ემის ინფორმაციით, უკვე აღმოჩენილია რამდენიმე პერსპექტიული სტრუქტურა, სადაც ზოგადად დასტურდება, რომ შავი ზღვის აუზის საკვლევ ზონაში ნავთობისა და გაზის მოპოვების საკმაოდ დიდი პოტენციალი არსებობს. **"კომპანია სეისმურ კვლევას აგრძელებს, რათა ბურღვის დაწყებისათვის მაქსიმალურად ზუსტი მონაცემები გააჩნდეს,"** - განაცხადა ემმა. დამატებითი კვლევების შემდეგ გადაწყდება, სად გაიჭრას პირველი ნავთობსაძიებელი ჭაბურღილი, რაც 2004 წლისათვის იგეგმება. ვანო ლობჟანიძის განცხადებით, ერთი ჭაბურღილის დადგმა 35 მილიონი დოლარი ჯდება, მთლიანად კომპანიას კი განზრახული აქვს სამი-ოთხი ჭაბურღილის დადგმა. წელს დაგეგმილია კონსორციუმის შექმნა, სადაც "ანადარკოს" პარტნიორი კომპანიები გაერთიანდებიან. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საბადოების ბურღვის პროცესში და "ანადარკოსთან" ერთად გაიზიარებენ შესაძლო რისკებს.

"ანადარკო პეტროლიუმ კორპორეიშენი" მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობმომპოვებელი კომპანიაა, რომელიც ყოველწლიურად 250 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებს, ხოლო მისი რეზერვები 2 მილიარდ ბარელს აჭარბებს. ჯეიმზ ემის განაცხადებით, კომპანიას სურს, ამ მაჩვენებლებს საქართველოს პოტენციალიც შეჰმატოს.

*„24 საათი"*

# მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე დიდი დანაკარგებია

სოფო კვინტრაძე

11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ზარალის ანაზღაურება, სადაზღვევო კომპანიებს უდიდესი თანხების გაცემა უხდებათ. ამას დაემატა სტიქიური უბედურებების მთელი სერია ევროპის ქვეყნებში და საომარი მოქმედებები ერაყში. ცნობილი გახდა, რომ უმსხვილესმა სადაზღვევო კომპანიამ "ლოიდსმა" სამ მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი ნახა. "ლოიდსს" არც "მიუნიჰ რე" და "სვიზ რე" ჩამოუვარდებიან. ამ ევროპული სადაზღვევო კომპანიების ზარალი უკვე ორ ნახევარ მილიარდ დოლარს აჭარბებს. ზემოაღნიშნული სამივე კომპანია ქართულ სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობს. ისინი დიდი რისკების გადაზღვევას ეწევიან საქართველოში. თუმცა, ბოლო პერიოდში უცხოური სადაზღვევო კომპანიები გადაზღვევებისაგან თავს იკავებენ. როგორც სადაზღვევო კომპანია "იმედი L"–ის მმართველმა დირექტორმა ალექსანდრე ლორთქიფანიძემ გვითხრა ზოგიერთი რისკის გადაზღვევაზე ისინი საერთოდ უარს ამბობენ. **"ამას გარდა, მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე გაჩნდა კიდევ ერთი მზარდი ტენდენცია, რაც ფასების მკვეთრ ზრდას ეხება. ქართველ კლიენტებს კი ძალიან უჭირთ სამჯერ და ოთხჯერ იმაზე მეტი გადაიხადონ, ვიდრე ადრე იხდიდნენ,"** – განაცხადა ალექსანდრე ლორთქიფანიძემ "24 საათთან" საუბარში. მისი თქმით, მსოფლიო სადაზღვევო ბაზარს, რომელმაც უმოკლეს ხანებში ამხელა ზარალი განიცადა, გარკვეული დრო სჭირდება აღდგენისათვის.

*„24 საათი"*

## მონიტორინგი

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მილიონ ლარებში

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 10 აპრილი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 1127.40 | 235.88 | 21% | 1.39 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.70 | 169.36 | 20% | 0.93 |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.90 | 137.58 | 21% | 0.58 |
| სოციალური ფონდი | 244.20 | 57.51 | 24% | 0.43 |
| საგზაო ფონდი | 49.50 | 9.01 | 18% | 0.03 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 239.8 | 58.12 | 24% | 0.00 |

### სახელმწიფო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 10.04.03

| აუქციონის N | 14 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 126 დღე |
| ემისიის ოდენობა | 3,000,000 |
| მოთხოვნა | 7,222,300 |
| დისკონტის პროცენტი | 32.50% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 2,656,173 |
| დასაფარი თანხა | 0 |
| ბალანსი | 2,656,173 |

სას „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები
ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

# ბიუჯეტიდან გაცემული და „ამოუღებელი" სესხები

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 აგვისტოს N1019 განკარგულებით, ყურძნის შესასყიდად ღვინის მწარმოებელ კომპანიებს გამოეყოთ ორი მილიონ 850 ათასი ლარის ოდენობის სესხი.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 29 ოქტომბრის N1123 განკარგულებით, ყურძნის შესასყიდად ს/ს "ბზვანს" გამოეყო 200 ათასი ლარის ოდენობის სესხი.

ამ სესხებს ფინანსთა სამინისტროს სახელით ზედამხედველობს და მართავს სატრასტო-საინვესტიციო კორპორაცია.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 18 სექტემბრის N1150 განკარგულებით, სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციას სამართავად გადაეცა ე.წ. სოიოს ზეთის გრანტი და შესაბამისად სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციასა და ს/ს "საქცივპროდუქტს" შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება მილიონ 543 ათას 190 აშშ დოლარზე.

ინფორმაცია სესხების შესახებ 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, სესხის ძირითადი თანხა დააბრუნეს მხოლოდ: შპს "მალგინომ" და ს/ს "ობჩამ".

ს/ს "საქცივპროდუქტსაც" აღარ ერიცხება დავალიანება ძირითად თანხაზე, თუმცა დაფარული აქვს მხოლოდ 73 ათას აშშ დოლარზე ოდნავ მეტი.

ს/ს "ბზვანს" სესხის დაფარვის ვადა ჯერ არ დადგომია.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შპს "მალგინოსა" და ს/ს "ობჩას" ჯერ კიდევ ერიცხებათ სასესხო დავალიანება საურავის სახით, ხოლო ს/ს "საქცივპროდუქტს" კი სარგებლის პროცენტისა და საურავის სახით.

ცხრილში წარმოდგენილ 20 საწარმოს ჯამში გადახდილი აქვს დაახლოებით 890 ათასი ლარი და ერიცხება სამი მილიონ 820 ათას ლარზე მეტი დავალიანება. მათ შორის უდიდესი ნაწილი (200 ათასი ლარის გარდა) ვადაგადაცილებული.

ასეთ პირობებში სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკა წარმატებულად ვერ ჩაითვლება და გასესხებული თანხების დაბრუნების ეს მაჩვენებლები სახელმწიფოს სურვილს უკარგავს, მომავალშიც გასცეს სესხები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებზე.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციამ ურჩი მსესხებლების მიმართ აღძრა სარჩელი და ისინი განხილვის სხვადასხვა სტადიაშია. მოგვიანებით შემოგთავაზებთ დეტალურ ინფორმაციას სასამართლო განხილვების მიმდინარეობისა და გაცემული სესხების დაბრუნების მდგომარეობის შესახებ.

*საკონსულტაციო ფირმა „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

### ბიუჯეტიდან გაცემული სესხები

სატრასტო-საინვესტიციო კორპორაციის მართვაში არსებული სესხები

| № | საწარმოს დასახელება | სესხის ვალუტა | ძირითადი თანხის სახით გადაცემული თანხა | სესხის გაცემის თარიღი | ძირითადი თანხის დაბრუნების ვადა | გადახდილი თანხა | 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: სახელმწიფო დავალიანება — სულ | მათ შორის: ძირითადი | მათ შორის: სარგ. % | მათ შორის: საურავი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | შპს [illegible] | ლარი | 250 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 2 300,00 | 396 100,51 | 247 700,00 | 24 300,51 | 124 100,00 |
| 2 | შპს [illegible] | ლარი | 250 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | | 323 645,86 | 250 000,00 | 23 645,86 | 50 000,00 |
| 3 | შპს [illegible] | ლარი | 100 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | | 205 128,84 | 100 000,00 | 9 589,41 | 95 539,43 |
| 4 | შპს [illegible] | ლარი | 300 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 11 876,36 | 559 316,69 | 300 000,00 | 17 779,55 | 241 537,14 |
| 5 | შპს [illegible] | ლარი | 200 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 191 763,17 | 69 389,10 | 47 422,72 | | 21 966,38 |
| 6 | შპს [illegible] | ლარი | 300 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 258 859,24 | 127 090,28 | 100 785,31 | | 26 304,97 |
| 7 | ს/ს [illegible] | ლარი | 200 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | | 351 201,77 | 200 000,00 | 19 190,18 | 132 011,59 |
| 8 | შპს [illegible] | ლარი | 50 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | | 101 999,00 | 50 000,00 | 4 811,92 | 47 187,08 |
| 9 | ს/ს [illegible] | ლარი | 200 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 46 211,40 | 304 504,12 | 200 000,00 | 5 358,91 | 99 145,21 |
| 10 | შპს [illegible] | ლარი | 50 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | | 102 267,19 | 50 000,00 | 4 805,28 | 47 461,91 |
| 11 | ს/ს [illegible] | ლარი | 200 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 19 074,00 | 350 219,12 | 200 000,00 | 5 358,91 | 144 860,21 |
| 12 | შპს „მალგინო" | ლარი | 50 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | 54 725,66 | 3 669,14 | | | 3 669,14 |
| 13 | შპს [illegible] | ლარი | 150 000,00 | 30.09.99წ. | 30.09.01წ. | | 304 882,38 | 150 000,00 | 14 282,53 | 140 599,85 |
| 14 | შპს [illegible] | ლარი | 100 000,00 | 30.09.99წ. | 04.10.01წ. | 21 926,68 | 166 780,62 | 87 602,47 | | 79 178,15 |
| 15 | შპს [illegible] | ლარი | 50 000,00 | 30.09.99წ. | 04.10.01წ. | 43 155,52 | 23 796,66 | 17 111,21 | 184,93 | 6 500,52 |
| 16 | ს/ს [illegible] | ლარი | 50 000,00 | 30.09.99წ. | 13.10.01წ. | 22 202,08 | 48 546,60 | 31 994,80 | 554,80 | 15 997,00 |
| 17 | ს/ს „ობჩა" | ლარი | 150 000,00 | 30.09.99წ. | 13.10.01წ. | 163 810,69 | 50 877,58 | | | 50 877,58 |
| 18 | ს/ს [illegible] | ლარი | 200 000,00 | 30.09.99წ. | 13.10.01წ. | 13 340,18 | 330 852,03 | 200 000,00 | 5819,18 | 125 032,85 |
| 19 | ს/ს „საქცივპროდუქტი" | აშშ დოლ. | 1 543 190,0 | 15.10.99წ. | 15.10.09წ. | 73 081,27 | 311 925,8 | | 300 589,9 | 11 335,9 |
| 20 | ს/ს „ბზვანი" | ლარი | 200 000,00 | 12.12.01წ. | 01.05.03წ. | 40 364,00 | | | | |
| | სულ | | | | | 889 609,17 | 3 820 267,47 | 2 232 616,51 | 135 681,95 | 1 451 969,01 |




# დიპლომატიური უთანხმოება გრძელდება


სადამის რეჟიმი დაემხო.

პირველი გვერდიდან

"ის დრო, როდესაც ერთ ან ორ ქვეყანას შეეძლო მესამე ქვეყნის ბედი გადაეწყვიტა, წარსულს ჩაბარდა," – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა.

სპეციალისტების განცხადებით, თავად გაერო-ს ერაყში შედარებით მოკრძალებული როლი უფრო აძლევს ხელს. ერაყის ექსპერტის, ტობი როჯის განცხადებით, გაერო-ს ბიუროკრატებს აშინებთ როგორც ერაყში გამეფებული სრული ქაოსი, ისე უზარმაზარი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის შესრულებაცაა საჭირო.

მოსალოდნელია, რომ საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია, რომელთა მოსაზრებაც ომის შესახებ კოალიციამ უგულებელყო, ამჯერად "შურისძიებას" შეეცდებიან და პრინციპულ პოზიციას დაიკავებენ.

"პაციფისტებს" რამდენიმე სერიოზული ბერკეტი აქვთ ხელთ. ჯერ ერთი, გაერო-ს თანხმობის გარეშე ერაყს ნავთობის გაყიდვის უფლება არა აქვს, მეორეც, გაერო აკონტროლებს იმ ფონდს, რომელშიც ერაყული ნავთობის გაყიდვიდან მიღებული სახსრებია დაგროვილი.

*როიტერი*

# ომების გამომწვევი მიზეზები უცნობია

## ომი კაცობრიობის ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

თეორია იმის შესახებ, რომ ომები ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა, სიმართლეს არ შეესაბამება. არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ პირველი ომები 12 ათასი წლის წინ მოხდა, როდესაც ადამიანთა საზოგადოება ყალიბდებოდა და მკვეთრად გამიჯნული საკუთრება და ტერიტორია არ არსებობდა, რომლის გულისთვის, შესაძლოა, ომი დაწყებულიყო. ომები ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ყველა ეტაპზე აბსოლუტურად ყველა ცივილიზაციისათვის იყო დამახასიათებელი.

ვესლის კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ჩვ.წ.აღ-მდე 3 600 წლიდან დღემდე, დაახლოებით, 14 600 ომი მოხდა. ამ ომების შედეგად 3 მილიარდ ადამიანზე მეტი დაიღუპა. შედარებისათვის - 2001 წელს მოსახლეობის რაოდენობა 6.2 მილიარდს შეადგენდა. კაცობრიობის ისტორიას უომრად გატარებული მხოლოდ 292 წელი ახსოვს, თუმცა, სერიოზული ეჭვები არსებობს, რომ ზოგიერთი შეიარაღებული კონფლიქტი ისტორიკოსების მიერ უბრალოდ დაფიქსირებული არ ყოფილა.

დედამიწაზე არსებული ცოცხალი არსებებიდან მხოლოდ სამი სახეობა ომობს თავისსავე მსგავსთან – ჭიანჭველები, შიმპანზეები და ადამიანები. ზოგიერთი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, არსებობს ერთგვარი "გენი ან ჰორმონი", რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ადამიანთა ქცევას განსაზღვრავს. ამერიკელი მკვლევარის ბარბარა ერენრეიხის აზრით, ომის საწარმოებლად ცოცხალ არსებას ორი მახასიათებელი უნდა ჰქონდეს. პირველ რიგში, ეს არის აგრესიულობა, რომელიც შეიძლება, გენეტიკურად იყოს განსაზღვრული. მეორე, ეს არის ომისათვის მზადების სურვილი – საბრძოლო შეიარაღების დამზადება, სიმაგრეების მშენებლობა, ვარჯიში, მარაგების შექმნა და სხვა, რისი ახსნა მემკვიდრეობის თეორიით შეუძლებელია.

ამას გარდა, ადამიანის საომრად წაყვანა ძალზე რთული ამოცანაა. პაციფისტური მოძრაობა, სავარაუდოდ, პირველი არმიების შექმნისთანავე დაიწყო. მსოფლიოს ყველა არმიებში არსებობდნენ დეზერტირები. ეს ახასიათებდათ თავისი დროის საუკეთესო არმიებს, რომელთაც ჟანდარმთა საგანგებო დანაყოფების შექმნა უწევდათ, რათა მშიშრები და დეზერტირები დაეჭირათ. მაგალითად, მე-17 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო, პრუსიის არმია ცდილობდა, რომ ომი ტყის მახლობლად არ გაემართა, რათა ჯარისკაცები ადვილად არ გაქცეულიყვნენ. აშშ-ს არმიის გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი დეივ გროსმანი თავის წიგნში ამტკიცებს, რომ მსოფლიოში სამხედრო მომზადების უმთავრეს ამოცანას ადამიანისათვის იმ ფსიქოლოგიური ბარიერის მოხსნა წარმოადგენს, რომელიც ყველას გააჩნია.

სოციოლოგი ჰენკ ჰოველინგი მიიჩნევს, რომ საომარი განწყობა საზოგადოებაში ინფექციურ დაავადებასავით ვრცელდება. საზოგადოების მცირე ჯგუფის საომარი განწყობა გარკვეულ პირობებში მათ გარშემომყოფთ გადაედებათ და, საბოლოო ჯამში, საომარი მოქმედებების დაწყებას იწვევს. ლოგიკური, მორალური, პოლიტიკური და რელიგიური პრინციპები ამ პროცესში დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. ომის დაწყების საბაბი, შესაძლოა, ნაკლებნიშვნელოვანი მოვლენა გახდეს, რომელიც სხვა შემთხვევაში ამგვარ სერიოზულ შედეგებს არ გამოიწვევდა. "სავარაუდოდ, ომის გამომწვევი მთავარი მიზეზი თავად ომია", - წერს ჰოველინგი. ომი საზოგადოების მილიტარიზებას განაპირობებს. ისინი, ვინც საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობენ, თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ და ხშირად თავად არიან "ომის გამჩაღებლები". ამგვარი "ეპიდემიები" აბსოლუტურად ყველა ტიპის საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი.

კაცობრიობის ისტორიამ დაგვანახა, რომ ყველა ტიპის ცივილიზაციაში მოვლენები ერთი და იგივე სცენარით მეორდება: ადრე თუ გვიან, ადამიანთა ჯგუფი წარმოიქმნება, რომელიც ომის საწარმოებლად ემზადება (მაგალითად, იაპონელი სამურაები და ევროპელი რაინდები) და მეორე ჯგუფი, რომელიც პირველ ჯგუფს მხარს უჭერს და ამარაგებს. ამერიკელი ისტორიკოსი ვიქტორ ჰენსენი თვლის, რომ ომის წარმოების ტაქტიკა ხშირად საზოგადოების კონკრეტული ტიპით იყო განპირობებული. მაგალითად, ძველი ბერძნული ქალაქების მოქალაქეებმა ფეხოსანთა ფალანგები შექმნეს, რომელიც მათ თანასწორუფლებიანობას უსვამდა ხაზს. რაინდები და სამურაები ერთი-ერთზე ცდილობდნენ ბრძოლის გამართვას, რითაც თავიანთ დამოუკიდებლობასა და საკუთარი თავისადმი რწმენაზე აკეთებდნენ აქცენტს. მე-17 საუკუნიდან არმიები დაქირავებული ჯარისკაცებით კომპლექტდება, რასაც ბურჟუაზიისა და ძლიერი ბიუროკრატიის ჩამოყალიბება განაპირობებს, რომელსაც გადასახადების მოკრება და რეგულარული არმიის შენახვა შეუძლია.

ტერმინი – "გამალებული შეიარაღება" პირველად აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის დაწყებისას გაჩნდა, მაგრამ ეს მოვლენა, თავისი არსით, ახალი სულაც არ არის. ერთი სახელმწიფოს მიერ არმიის ან ფლოტის გაძლიერება ანალოგიურ ქმედებას იწვევდა მის მეზობელ სახელმწიფოში. ომების აღმოფხვრა ვერც მასობრივი განადგურების იარაღმა შეძლო. პირიქით, ბირთვული იარაღის შექმნის გამო, ბევრმა სახელმწიფომ ანალოგიური იარაღის დასამზადებლად უზარმაზარი თანხების დახარჯვა დაიწყო. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად სახელმწიფოები თავიანთ სამხედრო ბიუჯეტებს განუხრელად ზრდიან. უზარმაზარი პროგრესის მიუხედავად, ფაქტია, რომ კაცობრიობამ ომის სენისაგან განკურნება დღემდე ვერ შეძლო.

*"ვაშინგტონ პროფაილი"*

# არაბული რეაქცია ბაღდადის დაცემაზე


„ამერიკული ტანკები არაბულ სამყაროს ცვლიან"

შოთა უტიაშვილი

"ეს მიწისძვრაა. არა მხოლოდ ერაყისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. მე თვალებს არ ვუჯერებ. ამის დაჯერება შეუძლებელია. ამერიკული ტანკები არაბულ სამყაროს ცვლიან," - ასეთი კომენტარი გაუკეთა გუშინ "ალ-ჯაზირამ" ბაღდადის დაცემის კადრებს, რომელმაც მთელი მსოფლიო შემოიარა.

რეაქცია სადამის დამხობაზე სხვა არაბულ ქვეყნებში გაცილებით უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე თავად ბაღდადში, სადაც ქალაქის დაცემა ერაყელებისთვის, დამარცხების სიმწარესთან ერთად, დიქტატურისგან გათავისუფლებასთანაც ასოცირდება. "ჩვენ გვიხარია, რომ უსამართლობის ხანა დასრულდა, მაგრამ ამერიკელების ზრახვებისაც გვეშინია," – ამბობს საიდ ალ-იასირი, ერაყელი შიიტი.

არაბულ ქვეყნებში ბევრმა ვერ გაუძლო იმ კადრების ყურებას, სადაც ამერიკელი საზღვაო-ქვეითი სადამის ძეგლს სახეზე ამერიკულ დროშას ახვევს და ტელევიზორი გამორთო. "ჩემთვის, როგორც არაბისათვის, ეს ტრაგედიაა, – ამბობს 28 წლის მოჰამად მააბრეჰი, – ნეტა, სხვა არაბულ ქვეყნებს ერაყისათვის დაეჭირათ მხარი. ამერიკელებმა ამდენი ხალხი დახოცეს."

"მე ძალიან დამწუხრებული ვარ, მთელი ეგვიპტე დამწუხრებულია. წუხელ ჩემი ცოლი მთელი ღამე ტიროდა," – ამბობს 45 წლის აბდელ ფარუკი, ეგვიპტელი ტაქსისტი.

"ბაღდადი და არაბული ცივილიზაცია სინონიმებია, იმიტომ, რომ არაბული რენესანსი სწორედ ბაღდადიდან დაიწყო, – ამბობს ადნან აბუ-ოდე, იორდანიის მეფის ყოფილი მრჩეველი, – ბაღდადის ოკუპირება ჩვენთვის ნამდვილი ტრაგედიაა, რადგან იმ დროს გვახსენებს, როდესაც მონღოლებმა სახალიფო დაიპყრეს,"

ბაღდადის დაცემისა და მოზეიმე ერაყელების კადრებს არაბულ ქვეყნებში ბევრი უნდობლობით შეხვდა. "რატომ დათმეს უბრძოლველად ბაღდადი, სად არის სადამის არმია, ხომ არ აორთქლდებოდა?" - კითხულობენ არაბულ ქვეყნებში და ათასგვარ კონსპირაციულ თეორიას თხზავენ.

არაბულ თავმოყვარეობაზე განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა მოზეიმე ერაყელების დანახვამ. მაშინვე გავრცელდა ვერსია, რომ ეს ამერიკელების დადგმული სპექტაკლი იყო. თუ ბაღდადელებს ასე უხარიათ, რატომ არის ქალაქის ქუჩები უკაცრიელი? – კითხულობენ არაბები. არაბული ტელეარხები კი, ძირითადად, მაროდიორობისა და ძარცვა-გლეჯის კადრებს აჩვენებენ.

თუმცა, არის სხვა ვერსიაც: "ეგენი ასეთები არიან. როდესაც მათი მეფე დაამხეს, ერაყელები მაშინაც ქუჩაში იდგნენ და ტაშს უკრავდნენ; როდესაც აბდელ კარიმ კასემი დაამხეს – მაშინაც," – ამბობს ერთ-ერთი არაბი ისტორიკოსი.

არაბებს სჯერათ, რომ ამერიკელები არა ერაყის გასათავისუფლებლად, არამედ ერაყის დასაპყრობად და მისი ნავთობის ხელში ჩასაგდებად მოვიდნენ. "ეს სამარცხვინო დღეა. ეს არაბების დამონების დღეა. ერთადერთი კაცი, ვინც ამერიკელებისათვის "არა"-ს თქმას ბედავდა, აღარ არის. დანარჩენი არაბი ლიდერები კი მხოლოდ ლაქიები არიან," – ამბობს ალი ჯადა, იორდანელი ინჟინერი. "ეს ახალი კოლონიალიზმია," – კვერს უკრავს პალესტინელი გამყიდველი.

ფუნდამენტალისტები ამტკიცებენ, რომ ერაყი მხოლოდ პირველი ნაბიჯია და ამერიკას მთელი არაბი ხალხის დამორჩილება აქვს განზრახული. ისინი მორწმუნეებს წმინდა ომისაკენ მოუწოდებენ. მუსლიმი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ხალიფების ქალაქის ურჯულოთა მიერ ოკუპაცია, ძირს გამოუთხრის ზომიერ ისლამურ მოძღვრებას და რადიკალებს საბოლოოდ გაუხსნის გზას.

ზოგიერთი არაბი ინტელექტუალი და ჟურნალისტი განსხვავებული აზრისაა. ისინი ფიქრობენ, რომ არაბული რეჟიმებისათვის ერაყი კარგი მაგალითი იქნება. "ის, რაც ბაღდადში მოხდა, სხვა არაბმა ლიდერებმა კარგად უნდა გაიაზრონ. იმიტომ, რომ ქვეყანა ხალხმა უნდა დაიცვას. თუ შენ საკუთარ ხალხს აწამებ და მათ ღირსებას შეურაცხყოფ, მაშინ ისინი კი არ დაგიცავენ, მიგატოვებენ," – ამბობს ბიზნესმენი საუდის არაბეთიდან.

"არაბ ხალხსა და არაბ მმართველებს შორის უზარმაზარი უფსკრული არსებობს, – ამბობს ეგვიპტელი პოლიტოლოგი აჰმედ სალამა, - სწორედ ამან გამოიწვია ჰუსეინის რეჟიმის სწრაფი ნგრევა. მაგრამ, ისწავლიან თუ არა ისინი ჭკუას, ამას ვერავინ იტყვის". ასევე ძნელი სათქმელია, "არაბული ქუჩის" რისხვა საბოლოოდ ჯამში ვის წინააღმდეგ აღმოჩნდება მიმართული.

# ახალი სამიზნე: ტიქრითი

ლევან ღირსიაშვილი

ბაღდადში სადამ ჰუსეინის ძეგლის ჩამოგდებამ კოალიციის საბოლოო წარმატება ცხადი გახადა. ამის მიუხედავად, ერაყის დედაქალაქში დარჩენილი სადამის არმიის მებრძოლები მოკავშირეთა სამხედრო დანაყოფებს კვლავ საგრძნობ, მაგრამ ქაოტურ წინააღმდეგობას უწევენ.

გუშინ დილით, მდინარე ტიგროსის სანაპიროზე, სადამის ერთ-ერთი სასახლის მახლობლად, აშშ-ს საზღვაო ქვეითის დანაყოფი ერაყელ მებრძოლთა მსხვილი შენაერთის მასირებული ცეცხლის ქვეშ მოჰყვა. ვარაუდობენ, რომ ისინი ელიტარული რესპუბლიკური გვარდიის რაზმები არიან. ერაყელებმა პოზიციები ბაღდადის მეჩეთთან გაამაგრეს, რომელშიც ზოგიერთი მონაცემებით, შესაძლოა, თავად სადამ ჰუსეინი იმალებოდეს. ამჟამად, საზღვაო ქვეითებს მიცემული აქვთ დავალება, გაანადგურონ ერაყელთა რაზმები და გულდასმით შეამოწმონ მეჩეთის ტერიტორია. ამ ბრძოლებს ერთი საზღვაო ქვეითის სიცოცხლე შეეწირა და 20 დაიჭრა.

კოალიციის ძალებს ბაღდადის სხვა რაიონებშიც ასევე არაორგანიზებული წინააღმდეგობა ხვდებათ . **"ბაღდადსა და ერაყის სხვა ქალაქებში ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას ერაყის არმიის მებრძოლებთან,"** - განაცხადა კატარში ბაზირებული მოკავშირეთა ცენტრალური სარდლობის წარმომადგენელმა კაპიტანმა ფრენკ ტორპმა. **"ჩვენი კოალიციის ძალები ბაღდადში პოზიციების გაფართოებას განაგრძობენ და სადაც კი გვხვდება ერაყელთა წინააღმდეგობა, მაშინვე მათ ლიკვიდაციას ვიწყებთ,"** - დასძინა მან. გუშინ დილით, მეჩეთის ტერიტორიაზე დაწყებული ბრძოლების შესახებ კაპიტანმა ტორპმა განაცხადა: **"ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ რეჟიმის ლიდერები მეჩეთში შეხვედრის ჩატარებას გეგმავდნენ. მეჩეთის კომპლექსის ტერიტორიაზე ბრძოლის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, რადგან პირველი ცეცხლი თავად ერაყელებმა გახსნეს."** მან აქვე დასძინა, რომ ბაღდადიდან 64 კილომეტრით დაშორებული ქალაქ ქერბალას მიდამოებში კოალიციის ძალებმა მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ტანკი ჩაიგდეს ხელთ.

## ჩრდილოეთის ფრონტი - კირკუკი აღებულია

ბაღდადის პარალელურად, კოალიციის ძალები ქურთული სამხედრო დაჯგუფებების აქტიური მხარდაჭერით ჩრდილოეთ ერაყის ქალაქებზე შეტევას წარმატებით განაგრძობენ. ჩრდილოეთის ფრონტზე პირველი შედეგი უკვე გუშინვე იყო მიღწეული, როდესაც ამერიკელებმა და ქურთებმა ქალაქ მოსულთან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაღლობი დაიკავეს. ხოლო გუშინ, ერაყის ჩრდილოეთში კოალიციის წარმატება ყველასათვის თვალსაჩინო გახდა – ანტისადამურმა კოალიციამ უმნიშვნელოვანესი ქალაქი კირკუკი აიღო. კირკუკს ჩრდილოეთ ერაყის ნავთობის დედაქალაქსაც უწოდებენ. სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, გუშინ ქურთული სამხედრო ფორმირებები ამერიკელთა მხარდაჭერით ქალაქში შევიდნენ. სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით კი, ქურთულ-ამერიკული გაერთიანების დანაყოფებმა კირკუკის ნავთობსაბადოები და გადამამუშავებლი ობიექტები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაიგდეს ხელში. ნავთობსაბადოებზე ხანძრის გაჩენის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

გარდა ამისა, ქურთების წარმომადგენლის ცნობით, კირკუკის პარალელურად, ჩრდილოეთ ერაყში აღებულია ქალაქი ხანაკინი, რომელიც ირანის საზღვართან ახლოს მდებარეობს. მანამდე კი, ამერიკული ტანკები ქალაქ ერბილში შევიდნენ, რომელსაც ახლა უკვე მთლიანად ქურთები აკონტროლებენ. ერბილიდან 80 კილომეტრში ერაყის, სიდიდით მესამე, ქალაქი მოსული მდებარეობს. აქ, ჯერჯერობით, კვლავაც სადამის მმართველობაა. კოალიციის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ მოსულის აღება რამდენიმე დღეში გახდება შესაძლებლი.

საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს სადამის მშობლიური ქალაქი ტიქრითი. მის მახლობლად განთავსებული ამერიკული შენაერთები არტილერიით მთელი ღამის განმავლობაში ბომბავდნენ ტიქრითს. კოალიციის დაზვერვა არ გამორიცხავს, რომ თუ სადამი ჯერ კიდევ ცოცხალია, ბაღდადის დატოვების შემდეგ მან თავი სწორედ თავის მშობლიურ ქალაქს შეაფარა.

## ომი ჯერ არ დასრულებულა

**"ცხადია, რომ რთული და სახიფათო დღეები ჯერ კიდევ წინ არის და ომი კიდევ გარკვეულ ხანს გაგრძელდება,"** - განაცხადა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა. ამერიკელი გენერლის ბაფორდ ბლანტის აზრით კი, **"ბრძოლები ჩრდილოეთ ერაყში, შესაძლოა, დროში გაიწელოს, ხოლო ბაღდადსა და სამხრეთ ერაყში ომის აქტიური ფაზა რამდენიმე დღეში დასრულდება."**

თავდაცვის მინისტრმა რამსფელდმა თავის გამოსვლაში ოფიციალურად დაადანაშაულა სირია და განაცხადა, რომ დამასკო სადამის მომხრეებს ერაყის დატოვებაში ეხმარება. მისი თქმით, ამ ხალხს **"ერთ შემთხვევაში ეძლევათ სირიაში დარჩენის და იქ თავშესაფრის მიღების შესაძლებლობები, ხოლო მეორე მხრივ, მათ ასევე სირიიდან სხვა ქვეყნებში გადასვლა შეუძლიათ."**

დონალდ რამსფელდის თქმით, მთავარი ჯერ კიდევ წინ არის: კოალიციამ სადამი უნდა იპოვოს, მაგრამ აქვე დასძინა, რომ არ იციან, თუ სად უნდა ეძებონ ერაყის დიქტატორი.

რამსფელდმა ოთხშაბათს ბაღდადში დატრიალებული მოვლენები 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემას შეადარა. აქვე მან დასძინა, რომ ბაღდადის აღების შემდეგ ამერიკელთა ძირითად სამიზნედ სადამის მშობლიური ქალაქი ტიქრითი იქცა. კოალიციის ჯარების კონცენტრაცია უკვე ჩრდილოეთ ერაყში, ამ ქალაქის მიმართულებით მოხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოალიცია, ჯერჯერობით, სრულად ვერ აკონტროლებს სამხრეთ ერაყს. ბაღდადიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი ქუთი კვლავ სადამის რეჟიმის ხელში იმყოფება. ამის მიუხედავად, პენტაგონის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ბაღდადში მომხდარი მოვლენები ბაასის პარტიის მმართველებს დაარწმუნებს, რომ მათთვის ყველაფერი უკვე დასრულებულია.


ომი გრძელდება.

რასაკვირველია, ყველასათვის ცხადია, რომ ერაყში სადამის რეჟიმი დასრულდა, მაგრამ ბრძოლების გაგრძელების აუცილებლობაში თავად ამერიკელები დარწმუნებულნი არიან. კოალიციამ ერაყის სრული გაკონტროლება ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დაისახა მიზნად. ამისათვის კი, ამერიკელებმა ჩრდილოეთში მდებარე ქალაქები - მოსული და ტიქრითი უნდა აიღონ.

**"ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ გააფთრებული ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის. ჩვენ დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდება და ჯერჯერობით, რეჟიმის დამხობის საბოლოო მიზანი მიღწეული არ არის, მაგრამ ჩვენ ამას შევძლებთ,"** - განაცხადა კაპიტანმა ტორპმა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბაღდადის აღებამდეც კოალიცია მასშტაბური და რთული ბრძოლების თაობაზე აკეთებდა პროგნოზს, მაგრამ ერაყის დედაქალაქის აღება, ყველასათვის მოულოდნელად, ძალზე იოლად განხორციელდა. შეიძლება, იგივე მოხდეს ტიქრითსა და მოსულშიც. თუ კოალიცია მოსალოდნელი შედეგებისგან თავს წინასწარ იზღვევს, დარჩენილი ქალაქების უპრობლემოდ აღებას ეს სულაც არ უშლის ხელს.

# მიწისძვრას გადარჩენილ სახლს „თეთრი შველი" უქმნის საფრთხეს



სახლის ერთ-ერთი კედელი.

*არაგვის ქ.N6-ში მდებარე, მე-19 საუკუნეში აშენებულმა სახლმა შარშანდელ მიწისძვრას ვაჟკაცურად გაუძლო, არადა სახლის მობინადრე 4 ოჯახს ჭერი მაინც თავზე ენგრევა. აღნიშნული სახლის გასაჭირზე "24 საათი" უკვე წერდა, ოღონდ მაშინ, მობინადრეთა თხოვნით, პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს შევეხეთ.*

ნანა ქადაგიშვილი

არაგვის ქ.№6-ში მდებარე სახლის ნგრევა გასული წლის ზაფხულში დაიწყო. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეცგამოკვლევათა ცენტრის სპეციალისტის დასკვნის მიხედვით, ეს მეზობლად, არაგვის ქ.№4-სა და მილორავას ჩიხში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობამ გამოიწვია. ამ მშენებლობებმა არაგვის №6-ს საძირკველი ორ მხარეს გამოუთხარა. "როგორც კი მშენებლებმა საძირკვლის თხრა დაიწყეს, ჩვენი სახლის კედლებს ბზარები მაშინვე გაუჩნდა. ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ორივე მშენებლობა ჩვენ სახლს საფრთხეს უქმნიდა," - განგვიცხადეს დაზარალებულებმა. ოღონდ მაშინ გვთხოვეს, რომ მილორავას ჩიხში მიმდინარე მშენებლობაზე ჯერ არაფერი დაგვეწერა, - ამ სახლის მშენებელი (შპს "თეთრი შველის" დირექტორი ენვერ კვიჟიძე) ბინებით დაკმაყოფილებას შეგვპირდა და არ გვინდა, გავალიზიანოთო. დღეს სიტუაცია შეიცვალა - არაგვის №6-ის მობინადრენი აცხადებენ, რომ კვიჟიძე პირობის შესრულებაზე უარს აცხადებს.

შპს "თეთრმა შველმა" მილორავას ჩიხში მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ნებართვა 2002 წლის 27 დეკემბერს მიიღო და მშენებლობა წელს თებერვალში დაიწყო. "საძირკველი გაითხარა თუ არა, 16 თებერვალს ჩვენი სახლის კედელი ჩამოინგრა," - ჩივის მოსახლეობა. 2003 წლის თებერვალში არქმშენის ინსპექციამ და არქიტექტურის დეპარტამენტმა შპს "თეთრ შველს" მშენებლობის ნებართვა გაუუქმეს, მაგრამ კვიჟაძემ მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა აპრილში თვითნებურად განაახლა. დაზარალებულთა თხოვნით, არქმშენმა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის შსს-ს სამმართველოს იმავე დღესვე მიმართა, პოლიციაც მშენებლობის ადგილზე მალევე გამოცხადდა და მშენებელს ხელწერილი დაადებინა, რომ შენებას შეწყვეტდა. "კვიჟიძე ჯერჯერობით პოლიციის მოთხოვნას ასრულებს, მაგრამ დღე დღეზე ველით მშენებლების ხელახლა გამოჩენას," - აცხადებენ არაგვის №6-ის მობინადრენი.

არაგვის №4-ში მრავალსართულიანი სახლი უკვე წამოიჭიმა. როგორც "24 საათი" წერდა, არქიტექტურის დეპარტამენტმა და არქმშენინსპექციამ ამ სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შეაჩერეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. სახლის შენება დღესაც გრძელდება. არქმშენინსპექცია აცხადებს, რომ 4 მარტს მათ საქმე გადასცეს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანას რატომღაც არ ჩქარობს.

# საკრებულო ახალშობილებს ასაჩუქრებს

ნანა ქადაგიშვილი

დღეიდან თბილისში დაბადებული ყოველი ახალშობილი 50 ლარს მიიღებს. მომავალ წელს კი ეს თანხა გაორმაგდება.

საკრებულომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება გადაწყვიტა და წლევანდელი წლის ბიუჯეტში 750 ათასი ლარი ჩადო. ყოველი ახალშობილის ოჯახს 50-50 ლარი საკუთარი რაიონის გამგეობაში დაურიგდება.

თბილისის მეხუთე სამშობიაროში დაბადებულმა ახალშობილებმა კი 50-ლარიანი ვაუჩერი თვით საკრებულოს თავმჯდომარის ხელიდან მიიღეს. 11 ჩვილიდან სააკაშვილმა 6 მოინახულა და ვაუჩერებთან ერთად მათ მშობლებს ყვავილების თაიგულიც მიართვა. დანარჩენ 5 ახალშობილის დედებს კი საჩუქარი ექიმებმა გადასცეს.

სააკაშვილი იმედოვნებს, რომ საკრებულოს საჩუქარი მშობლებს ცოტათი მაინც წაახალისებს.



სააკაშვილი სამშობიაროში.

# მოშიმშილე ჯანდაცვის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსის მოადგილე ტარიელ ლომინაშვილი უკვე მეხუთე დღეა შიმშილობს. ის მერიის რამდენიმე მოხელის განთავისუფლებას, აგრეთვე ჯანდაცვის მინსტრთან და პარლამენტის ვიცე-სპიკერთან გიგი წერეთელთან შეხვედრას ითხოვს. მოშიმშილეს ჯერ-ჯერობით არავინ გამოხმაურებია. დაახლოებით ერთი თვის წინ ამ სამსახურის უფროსი თინათინ ნადირაშვილიც შიმშილობდა და აქცია მას შემდეგ შეწყვიტა, როცა ქალაქის მერი მას პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა. დღეს ლომინაშვილი აცხადებს, რომ მერმა დანაპირები არ შეასრულა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელობასა და მერიას შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა, როცა მერიამ ძველი ჯანდაცვის ცენტრის ლიკვიდაცია გამოაცხადა და პარალელურად ახალი, იმავე დანიშნულების სამსახური დაამტკიცა ახალი ხელმძღვანელითურთ. **"მათ ძველი სამსახურის ახლით შეცვლა კი არ აინტერესებთ, არამედ ძველი ხელმძღვანელობის თავიდან მოცილება უნდათ,"** - აცხადებს ლომინაშვილი.

ძველი ხელმძღვანელები ცენტრს არ ტოვებენ და არც საკადრო თუ ფინანსურ დოკუმენტაციას თმობენ. მერიის იურიდიულმა სამსახურმა ქალაქის მთავრობას გამოსავლის სახით შემდეგი ურჩია - ეთხოვოს პოლიციას იძულების წესით დოკუმენტაცია და ინვეტარი გამოიტანონ ცენტრიდან. მერმა ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილებისგან თავი შეიკავა.

უფრო დიდ გაურკვევლობაში არიან ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები. დიდმა ნაწილმა უკვე დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით, რათა შემდეგ განახლებულ სამსახურში მოხვედრა შეძლონ. ცენტრის უფროსს თინათინ ნადირაშვილს მათი განცხადებები ჯერ არ დაუკმაყოფილებია. ლომინაშვილი აცხადებს, რომ მას და ნადირაშვილს ამ ხალხის სამსახურიდან გათავისუფლების უფლება არ აქვთ, რადგან ცენტრი ჯერ კიდევ მოქმედად ითვლება და თანამშრომლების გარეშე ის თავის დანიშნულებას სათანადო დონეზე ვერ შეასრულებს.

# ქაღალდთა ღაღადი

## სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ

*ბოლო პერიოდში მოვლენები ისე განვითარდა, რომ, ერთ დროს ყველაზე სტაბილური, სამედიცინო საზოგადოება სასამართლო დარბაზებიდან არ გამოდის. ექიმები უჩივიან ყველას, ყველაფერს და ერთმანეთს მაშინაც კი, როცა სადაო, თითქოს, არაფერია.*

*ერთ ასეთ საქმეს საოლქო სასამართლო განიხილავს. მოსარჩელე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ითხოვს, შეჩერდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დაწყებული სამი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრივატიზაცია. ესენია: "ნეიროქირურგიული ცენტრი", "პროქტოლოგიური ცენტრი", "ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრი".*

ზაზა ფაჩუაშვილი

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა სსრკს-ს დაშლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პრივატიზაცია სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. მაგალითად მოვიყვანთ დასახელებული სამი ცენტრიდან ერთ-ერთის მიერ განვლილ გზას, რომელიც დანარჩენი ორის შემთხვევაშიც ანალოგიურია.

1983 წელს რესპუბლიკურ საავადმყოფოში შეიქმნა პროქტოლოგიური განყოფილება, რომელსაც რესპუბლიკური ცენტრის სტატუსი მიენიჭა. 1995 წლის სამედიცინო რეფორმის შემდეგ ჯანდაცვაში მართვის პოლიტიკა შეიცვალა და სისტემაში დაიწყო ცალკე იურიდიული პირების ჩამოყალიბება. მათ შორის იყო პროქტოლოგიური განყოფილებაც, რომლის ბაზაზე, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით (337/ო – 16.08.96), შეიქმნა ცალკე იურიდიული პირი საკუთარი ბეჭდითა და ბუღალტერიით.

ბრძანებაში ვკითხულობთ:

"- პროქტოლოგიური განყოფილების ბაზაზე შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდურ-ორგანიზაციულ-პრაქტიკული და პროქტოლოგიური ცენტრი.

- ცენტრს მიენიჭოს სახელმწიფო სახაზინო საწარმოს სტატუსი.

- დაევალოს ცენტრის დირექტორს და კლინიკის ხელმძღვანელს, გააფორმონ ხელშეკრულება.

- ცენტრს უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით სარგებლობაში გადაეცეს პროქტოლოგიური განყოფილების მიერ ამჟამად დაკავებული ფართობი, აპარატურა, ინვენტარი."

ამრიგად, რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა რამდენიმე სახაზინო საწარმო – ერთი თავად რესპუბლიკური საავადმყოფო იყო, სხვები კი - ის იურიდიული პირები, რომლებსაც ეს სტატუსი მიენიჭათ.

იმავე წლის 30 აგვისტოს ცენტრი რეგისტრაციაში გაატარა საბურთალოს რაიონის სასამართლომ. მოსამართლე გეგიძე წერს: "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, განვახორციელე საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

სამი წლის შემდეგ სახელმწიფომ ისევ განახორციელა ცვლილება და ყველა სახაზინო საწარმომ შეიცვალა თავისი სამართლებრივი მოწყობა – შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები და საჯარო სამართლის სუბიექტები. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, 1999 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით სახაზინო საწარმო "პროქტოლოგიური ცენტრი" გარდაიქმნა შპს "პროქტოლოგიურ ცენტრად".

იმავე წლის დეკემბერში თსსუ-ს რექტორმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, რომ აღნიშნული შპს-ები მისთვის მართვის უფლებით გადაეცა, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო: **"თქვენს შორის შეიძლება დამყარდეს მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობები სახელშეკრულებო პრინციპით, ვინაიდან აღნიშნული ცენტრები ინარჩუნებენ დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლებებს."**

ამის შემდეგ თსსუ-ს რექტორი წერილს გზავნის ქონების მართვის სამინისტროში და მინისტრს სთხოვს მისი 1999 წლის 30 სექტემბრის ბრძანების გაუქმებას, რომლის თანახმად, სახაზინო საწარმო "პროქტოლოგიური ცენტრი" შპს-დ გარდაიქმნა. ბრძანების გაუქმების მოტივად დასახელებულია ის გარემოება, რომ იმავე წლის 16 სექტემბერს რესპუბლიკური საავადმყოფო დროებითი სარგებლობის უფლებით გადაეცა თსსუ-ს.

ამ თხოვნაზე ქონების მართვის მინისტრი, მიხეილ უკლება პასუხობს: **"გაცნობებთ, რომ შპს "ნეიროქირურგიული ცენტრი," შპს "პროქტოლოგიური ცენტრი" და შპს "ენდოქირურგიისა და ლითოტრიფსიის ცენტრი" დაფუძნებულია ანალოგიური დასახელების სახაზინო საწარმოს ბაზაზე. შესაბამისად, სახაზინო ქონება, რომელიც ჩაიდო აღნიშნული შპს-ების საწესდებო კაპიტალში, შპს-ების დაფუძნებამდე იყო დასახელებული, როგორც სახაზინო საწარმოების ბალანსზე რიცხული განკერძოებული ქონება და არ წარმოადგენდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ქონებას."**

ეს, ფაქტობრივად, იმ დეტალის კიდევ ერთი განმარტებაა, რომელიც გაუგებრობას მხოლოდ ერთი შეხედვით იწვევდა. კერძოდ, სახელმწიფომ თსსუ-ს დროებით სარგებლობაში გადასცა რესპუბლიკური საავადმყოფო და არა აღნიშნული შპს-ები, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უკვე ცალკე სახაზინო საწარმოებს წარმოადგენდნენ.

რამდენიმე ხანში გამოვიდა ბრძანება თბილისის საავადმყოფო ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ოპტიმიზაციის შესახებ, რომლის საფუძველზე, ქონების მართვის სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციით აღნიშნული შპს-ები საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანა. ამრიგად, როგორც ქაღალდები ღაღადებენ, სადაო არაფერია, მაგრამ მოსარჩელე მხარე ასე არ ფიქრობს. აი, რას წერს მისი ადვოკატი, დავით დეკანოიძე: **"...ხსნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა პრივატიზება და გაყიდვა პარალიზებით ემუქრება ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიული დანიშნულების მატარებელი სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებას, რაც ნიშნავს ათასობით პაციენტის და აქ დასაქმებულ მრავალრიცხოვან მედიცინის მუშაკთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას, საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის ეფექტურობის არსებული დონის დაცემას, ვინაიდან კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო უმსხვილესი, უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტია.**

**ზემოაღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა პრივატიზება მზადდებოდა საიდუმლოდ, უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, სახელმწიფოს ინტერესების აშკარად საწინააღმდეგოდ, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის პირადი გამორჩენის მიზნით და ეს ფაქტები ჩვენთვის ცნობილი გახდა შემთხვევით, რის გამოც, მივმართეთ სასამართლოს. ამ ქონების ხელში ჩაგდებას ცდილობს რამდენიმე კერძო პირი, რათა სამედიცინო დარგს გამოაცალონ სპეციფიკური აპარატურა ქვეყნის უდიდესი საავადმყოფოს პარალიზების საშიშროების პირობებში.**

**ზემოაღნიშნული შპს-ების, ან თუნდაც მათგან ერთ-ერთის, გაყიდვისთანავე შედეგი იქნება არა მარტო თვით ამ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა, არამედ ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ფუნქციონირების საგრძნობლად შეფერხება, რაც გამოიწვევს, დაახლოებით, 500-მდე სტაციონარული ავადმყოფისა და, სულ მცირე, ორჯერ მეტი ამბულატორიული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ შებრუნებას საუარესოდ; ამას ვეღარ უშველის სარჩელზე გადაწყვეტილების მიღება..."**

ადვოკატი სასამართლოსგან ითხოვს აღნიშნული შპს-ების პრივატიზაციის შეჩერებას და ამით სურს, დაღუპვისაგან იხსნას ათასობით ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მთლიანად საქართველოს ჯანდაცვის სისტემა. ამრიგად, მოსარჩელე ისეთ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე მიუთითებს, რომელიც სადამ ჰუსეინსაც კი შეშურდებოდა და, რომლის გამოც, დღევანდელი მსოფლიოს გუნებაგანწყობილებიდან გამომდინარე, ახი იქნებოდა ჩვენი "რესპუბლიკური საავადმყოფოს" წერტილოვანი დაბომბვაც.

ამ საკითხების თაობაზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ ადვოკატ დავით დეკანოიძეს.

- ბატონო დავით, მართლა მიგაჩნიათ, რომ სამი შპს-ს პრივატიზაცია ასეთ სავალალო შედეგებს გამოიწვევს?

**- თქვენ ეს გადაჭარბებული გგონიათ?**

- ამხელა საავადმყოფოს შემთხვევაში "გადაჭარბებული" რბილი ნათქვამი იქნებოდა.

**- ეს ჩემი აზრი არა არის. ეს არის საავადმყოფოს ექიმების შეფასება, მათ თავისი პოზიცია აქვთ და სათანადო კომპეტენციაც გააჩნიათ.**

- დოკუმენტაციისა და მიწერმოწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სადაო არაფერია და პრივატიზაციაც კანონიერია.

**- ადრე ეს შპს-ები ერთიანი "რესპუბლიკური საავადმყოფოს" შემადგენლობაში იყვნენ და საკმაოდ წარმატებულადაც მუშაობდნენ, მაგრამ რატომღაც ქონების მართვის სამინისტრომ ისინი ცალკე გამოყო. ჯერ ჯანდაცვის სამინისტრომ შექმნა სახაზინო საწარმოები, მერე ქონების მართვის სამინისტრომ - შპს-ები და დაიწყო პრივატიზაცია...**

- კი, მაგრამ, ასეთი იყო სახელმწიფოს პოლიტიკა და დღეს უკვე უამრავი პრივატიზებული კლინიკა არსებობს. რა არის აქ სადაო?

**- სხვაგან პრივატიზაციის საფუძველი შეიძლება იყო. ჩვენ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ასე არ არის. აღნიშნული შპს-ების პრივატიზაცია, შეიძლება, ფორმალურად კანონიერი იყოს, მაგრამ ქონების მართვის სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს, რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია მისი ასეთი გადაწყვეტილება. ჩვენ ამას ვითხოვთ.**

სასამართლო, რომელიც, მოსარჩელე მხარის მიზეზით, რამდენჯერმე გადაიდო, 28 აპრილს გაიმართება.

## ინფორმაცია

### ოპტიმისტი მეამბოხე

კლუბ "სარდაფში" გაიმართა მორიგი "აპოლიტიკური ოთხშაბათი", რომლის სტუმარიც მასპინძლებმა საქართველოს უახლესი ისტორიის თარიღს – 9 აპრილს დაუკავშირეს. კლუბის გუშინდელი სტუმარი გახლდათ თამარ ჩხეიძე.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრას "აპოლიტიკური" ჰქვია, გუშინდელი სტუმრის საუბრის მთავარი თემა მაინც პოლიტიკა იყო. მან არ ისურვა საკუთარ ბავშვობაზე საუბარი. აღნიშნა, რომ სკოლის პერიოდიდანვე პროტესტის გრძნობით იყო განმსჭვალული საბჭოთა რეჟიმის მიმართ. "16 წლისამ არალეგალური იატაკქვეშა ორგანიზაცია შევქმენი, რომლის მეშვეობითაც პროკლამაციებს ვავრცელებდი. იმ პერიოდში ამას სახიფათოდ არ აღვიქვამდი. მაშინ უფრო იყო ანტირუსული განწყობა და საზოგადოებას, დღევანდელობასთან შედარებით, იმუნიტეტი დაკარგული არ ჰქონდა," – განაცხადა მან. ტრადიციისამებრ, შეხვედრის ბოლოს კლუბის სტუმარმა გააკეთა პროგნოზი, თუ რა იქნება ერთი წლის შემდეგ. იგი ოპტიმისტი აღმოჩნდა და განაცხადა: "მიუხედავად იმისა, რომ ისევ "შევარდნაძისტები" იქნებიან მთავრობაში, მაინც უნდა ვიქონიოთ კარგი მომავლის იმედი". კლუბის შემდეგი სტუმარი იქნება საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე.

*"24 საათი"*

### უტუბერკულოზო კავკასიისათვის

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ძალისხმევით, თბილისში მეორედ ჩატარდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა ერთობლივი კონფერენცია ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ეს არის გერმანელთა კავკასიური ინიციატივა, რომლის მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონში ტუბერკულოზის კონტროლი.

საქართველო, ამ მხრივ, თავის მეზობლებზე გაცილებით წინ დგას, ვინაიდან GTZ-ი ჩვენთან 1995 წლიდან მუშაობს (აზერბაიჯანსა და სომხეთში GTZ ორი წლის წინათ შევიდა) და ამ ხნის განმავლობაში უმნიშვნელოვანეს დახმარებას გვიწევს. ეს არის მედიკამენტებით სრული მომარაგება, რომლის წყალობითაც, საქართველოში ტუბერკულოზის მკურნალობა უფასოა; სადიაგნოსტიკო აპარატურის, რენტგენის ფირებისა და რეაქტივების მოწოდება, რაც უმაღლესი ხარისხის გამოკვლევებს უზრუნველყოფს და ფართო საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოსახლეობის გათვიცნობიერებისთვის არის აუცილებელი. ცხადია, საქართველოში ტუბერკულოზთან ბრძოლა მხოლოდ GTZ-ის ანაბარა არ დარჩენილა - 1996 წლიდან მოქმედებს სახელმწიფო პროგრამაც. წელს მისი ბიუჯეტი 3,2 მილიონი ლარით განისაზღვრა. სპეციალისტების განცხადებით, ეს თანხა საკმარისი არაა, მაგრამ GTZ-თან ერთად ამ მძიმე სენთან წარმატებული ბრძოლის საშუალებას იძლევა.

*"24 საათი"*

### ჩვენთან მეგობრობა აღარ უნდათ

ქუთაისის ერთ-ერთ დიდ და მჭიდროდ დასახლებულ უბანს, რომელსაც ბერძნების პატივსაცემად ნიკეა ჰქვია, შესაძლოა, სახელი გადაარქვან. ამის მიზეზი გახდა ქუთაისის მერის, ნუგზარ ფალიანის საბერძნეთში ვიზიტი, რომლის დროსაც ქალაქ ნიკეას მერმა ნუგზარ ფალიანს ქუთაისთან თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განუცხადა. "ნიკეას ქუჩას, ალბათ, სახელს გადავარქმევთ", - განუცხადა ჟურნალისტებს ქუთაისის მერმა უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ. ქუთაისში ნიკეას ქუჩა 1983 წლიდან არსებობს - მას შემდეგ, რაც ქალაქს საბერძნეთის წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობდა და ქუთაისისა და საბერძნეთის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი.

*ინტერ-პრესი*

## მოკლედ

**თბილისი.** რამდენიმედღიანმა წვიმამ გუშინ ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულში, ბუაძეების უბანში მეწყერის დაძვრა გამოიწვია. ამჟამად მეწყერი შეჩერებულია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს მომავალში დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში ეკლესიის მშენებლობა დაიწყება. არქიტექტორ რეზო ჯანაშიას მიერ დაპროექტებული ტაძარი ჯვარგუმბათოვანი იქნება და წითელი აგურით აშენდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი მეფეების - ვახტანგ VI და თეიმურაზ II ნეშტების ასტრახანიდან გადმოსვენება ჭიანურდება. საქართველოს დელეგაციის წევრები ასტრახანში გუშინ უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ ვიზიტი თვის ბოლომდე გადაიდო. **ინტერ-პრესი**

# სტრასბურგის სასამართლო ჩეჩენ პატიმრებს შეიძლება მხსნელად მოევლინოს

თამარ კაკიტაძე

არ არის გამორიცხული, რომ გირევის საგუშაგოზე საქართველოს საზღვრის დარღვევისთვის დააპატიმრებული და რუსეთის მიერ მიმდ დანაშაულებისთვის ძებნილი სამი ჩეჩენი პატიმარი უახლოეს მომავალში პატიმრობიდან კანონის ძალით გათავისუფლდეს. გუშინ ამის ეჭვი უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესზე თავად გენპროკურატურის საერთაშორისო განყოფილების უფროსმა პაატა მსხილიძემ გამოთქვა.

ქართული კანონმდებლობით, პატიმარი წინასწარ პატიმრობაში შეიძლება მხოლოდ ცხრა თვის განმავლობაში იყოს. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი იგი პატიმრობიდან ავტომატურად თავისუფლდება. ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიციის პროცესის გადადების შემდეგ სწორედ ამ "საშიშროებაზე" მიანიშნებდა ბრალდების მხარის წარმომადგენელი. დაცვის მხარე კი ამ "კოზირს", ალბათ, ბოლომდე გამოიყენებს. ყოველ შემთხვევაში, უზენაეს სასამართლოში გუშინ დანიშნულ პროცესზე ადვოკატებმა სწორედ ამგვარი ტაქტიკა აირჩიეს.

უზენაეს სასამართლოს გუშინ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ორმაგი საჩივარი უნდა განეხილა. გენერალური პროკურატურა მართლმსაჯულების მიერ ლტოლვილად გამოცხადებული ხუსეინ ალხანოვის გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა. დაცვის მხარე კი პირიქით, ქვემდგომი სასამართლოს მიერ „ლეფორტოვოს" ციხეში გამწესებულ რუსლან გელოგაევის და რუსტამ ელიხაჯიევის, როგორც ლტოლვილების, საქართველოში დარჩენას მოითხოვს.


ადვოკატებმა პროცესის გადადებას მიაღწიეს.

თუმცა, უმაღლეს მართლმსაჯულებაში გადანაცვლებული ე.წ. ჩეჩნების პროცესი დაწყებისთანავე 14 აპრილისთვის გადაიდო. გადადების მიზეზი გახდა - ჯერ ერთი ის, რომ პროცესზე პატიმრები არ მიიყვანეს. როგორც გაირკვა, სასამართლომ პროცესის დანიშვნის შესახებ ციხის ადმინისტრაციას დაგვიანებით გაგზავნა და მეორეც - სამი დღის წინ სტრასბურგის სასამართლოდან ჩეჩენ პატიმრებთან დაკავშირებით რამდენიმე თვის წინ გაგზავნილ მასალებზე პასუხი მოვიდა. დაცვის მხარემ საქმის განხილვის გადადება სწორედ სტრასბურგიდან მოსული მასალების თარგმნამდე მოითხოვა. მათი განცხადებით, ევროპის სასამართლოს მასალებში შეიძლება ბოლომდე გაადათლოს ის დოკუმენტები, რომლებიც რუსეთის მხარემ საქართველოს პროკურატურას მოაწოდა და რომლებზე დაყრდნობითაც ისინი ჩეჩნების ექსტრადიციას მოითხოვენ.

ადვოკატ ლია მუხაშავრიას განცხადებით, რუსეთიდან გადმოგზავნილ მასალებში სამივე ჩეჩენის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები ჩეჩნეთში აღძრულა; იქვეა გაცემული დაკავების ბრძანება და ბრალდების დადგენილებაც. არადა, ევროსასამართლოდან მოსული მასალების თანახმად, 1996 წლიდან შექმნილი გარდამავლობლი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ჩეჩნეთში პროკურატურა და სხვა სამართალდამცველი ორგანოები ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებს. **„აქედან გამომდინარე, რუსეთიდან გამოგზავნილი მასალები ანულირებულად უნდა ჩაითვალოს"**, - მიიჩნევენ ჩეჩენი პატიმრების ინტერესების დამცველნი.

სასამართლო პროცესის გადადების წინააღმდეგი გამოვიდა ბრალდების მხარე, რომელიც მიიჩნევს, რომ ადვოკატებს ევროსასამართლოს დოკუმენტების თარგმნის საკითხი დასამ პროცესის გასაჭიანურებლად დასჭირდათ.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა უზენაეს სასამართლოს ჩეჩნების საკითხის განხილვის დაჩქარებას სთხოვდა, რადგან განსასჯელებს აპრილის ბოლოს ცხრათვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ეწურებათ, სასამართლომ ადვოკატების შუამდგომლობა დააკმაყოფილა. პროცესი რამდენიმე დღით გადადო და დაცვის მხარეს დაავალა ევროსასამართლოდან გამოგზავნილი ინგლისურენოვანი დოკუმენტების თარგმნა.

**„ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ქართულ კანონმდებლობაზე ზევით დგას, ამიტომ მოსამართლეები ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ სტრასბურგიდან მოსული მასალები"**, - ამბობს მუხაშავრია.

მსხილიძე კი ირწმუნება: **„თუ ჩეჩნების გადაცემა არ მოხდება, მაშინ საქართველოს გამოცხადებენ ტერორისტების მფარველ სახელმწიფოდ, რაც საერთაშორისო იმიჯის შელახვას ნიშნავს".**

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას. ვნახოთ, რომელი მხარის პოზიციას გაითვალისწინებს ქართული მართლმსაჯულება.

# ხანძარი მკვლელობის დასაფარად

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

4 მარტს, ღამის 10 საათზე, ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის პირველი შესახვევის ერთ-ერთ სახლში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც 15 წლის თეონა ლორთქიფანიძის სიცოცხლე შეიწირა. ხალხმა ხანძარი, რატომღაც მოწყობილად მიიჩნია. თუმცა, სამართალდამცველებმა აღნიშნული ფაქტი უბედურ შემთხვევად მონათლეს. მათ აზრი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეიცვალეს და ხანძრის მომწყობის (იმავე მკვლელის) კვალს მიაგნეს. იგი აღმოჩნდა თეონა ლორთქიფანიძის დედის - მარინე ჯინჭარაძის მეგობარი - ნოდარ ადეიშვილი.

გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ ხანძრის შემდეგ შემთხვევის ადგილი დეტალურად იქნა დათვალიერებული ექსპერტ-კრიმინალისტის, სამედიცინო ექსპერტისა და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სპეციალისტთა მონაწილეობით. დამწვარი გოგონა საძინებელი ოთახის საწოლში იწვა და გვამს მთელ სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა. გარდაცვლილის ახლო ნათესავების კატეგორიული წინააღმდეგობის გამო გვამის გაკვეთა არ შედგა; შესაბამისად, გოგონას სიკვდილის გამომწვევი უშუალო მიზეზის დადგენა შეუძლებელი გახდა. ამას ისიც დაერთო, რომ ხანძრის მიზეზად, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მოკვლევით, ჩართული ტელევიზორი დასახელდა. ამის შემდეგ ძიება პრაქტიკულად შეჩერდა; თუმცა, 20 მარტს, ქუთაისის საქალაქო პროკურატურაში გამოცხადდა გარდაცვლილი თეონა ლორთქიფანიძის დედა - მარინა ჯინჭარაძე, რომელმაც ხანძრის წარმოშობის მიზეზებზე გარკვეული ეჭვი გამოთქვა. კერძოდ, მან მიუთითა, რომ ხანძრის გაჩენის შემდეგ მეზობლებმა კიბეებზე ჩამომავალი ოჯახის მეგობარი ნოდარ ადეიშვილი შენიშნეს.

22 მარტს სამართალდამცველებმა ადეიშვილი საკუთარ ბინაში დააკავეს. მან აღიარა რომ 6 წელი ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა თეონა ლორთქიფანიძის დედასთან, ხშირად დადიოდა მასთან სახლში და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის ნათესავებთან.

ადეიშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ბოლო პერიოდში მეგობარ ქალზე ეჭვიანობდა. 4 მარტს კი მასთან სახლში მთვრალი მისულა. შინ მარინა ჯინჭარაძის უფროსი ქალიშვილი - თეონა ლორთქიფანიძე დახვდა, რომლისგანაც შეიტყო, რომ დედა სტუმრად იყო წასული. მან სარწმუნოდ არ მიიღო თეონას ნათქვამი და განაწყენებულმა ხელი ჰკრა. გოგონა წაიქცა და თავი კორიდორში მდგარ კომოდის კუთხეს დაარტყა. წაქცევისთანავე თეონამ გონება დაკარგა და ხროტინი დაიწყო. ადეიშვილის ნაამბობის თანახმად, მას დახმარების გაწევა უცდია, მაგრამ 10 წუთის შემდეგ თეონამ სუნთქვა შეწყვიტა. ბრალდებულის თქმით, მან გვამი საძინებელ ოთახში გაიტანა და საწოლზე დაასვენა. შემდგომ კი, დანაშაულის დაფარვის მიზნით, კომოდიდან ქაღალდის ფურცლები გამოიღო და საძინებელ ოთახში მიმოაბნია. ამის შემდეგ ქაღალდებსა და ტანსაცმელს ცეცხლი წაუკიდა, ცეცხლის გაჩაღების შემდეგ კი იქაურობა დატოვა. კიბეებზე ჩამომავალი ადეიშვილი ერთ-ერთმა მეზობელმა დაინახა.

ბრალდებულის თქმით, შინ მისულმა თავის მოკვლა სცადა და ვენები გადაიჭრა, მაგრამ ოჯახის წევრებმა მისი გადარჩენა შეძლეს.

ნოდარ ადეიშვილი წლების განმავლობაში ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლიდა, ამჟამად კი მცირე ბიზნესით იყო დაკავებული. მიუხედავად ადეიშვილის აღიარებისა, ძიება ერთ-ერთ ვერსიად სექსუალურ ძალადობასაც განიხილავს, თუმცა, ჯერჯერობით, რაიმეს მტკიცება ნაადრევად მიაჩნიათ. საბოლოო პასუხს გამოძიება სამედიცინო ექსპერტიზისგან ელოდება, რომელსაც მუშაობა ჯერ არ დაუმთავრებია.

# ნაომარი პატიმრები მშრალი შიმშილობით იმუქრებიან

## პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ასამდე პატიმრის პრობლემებზე მსჯელობისთვის ვერ იცლის

*ხონის კოლონიაში ერთი კვირის წინ 46 პატიმრის მიერ დაწყებულ შიმშილობას გუშინ მთელი კოლონია შეუერთდა. პატიმრები, თუ მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე პასუხს სასწრაფოდ არ მიიღებენ, დღეიდან მშრალი შიმშილობის დაწყებით იმუქრებიან.*

სოფიკო ჩხაიძე

ხონის კოლონიაში ნაომარმა პატიმრებმა შიმშილობის აქცია 3 აპრილს დაიწყეს. მოშიმშილეთა მოთხოვნა უცვლელია: შესრულდეს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის სექტემბრის დადგენილება, რომელიც ნაომარი პატიმრების სისხლის სამართლის საქმეების გადახედვას და სასჯელის შემსუბუქებას ითვალისწინებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შიმშილობის აქცია უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს, თვით პატიმართა ინფორმაციით, შეწყალების კომისიას და გენერალურ პროკურატურას არათუ მათთვის სასჯელის შემსუბუქებაზე უმსჯელია, საქმეებიც კი არ გადაუხედავს.

გუშინ ყოფილ მეომარ პატიმრებს ხონის კოლონიის სხვა მსჯავრდებულებიც შეუერთდნენ. შიმშილობის აქციაში ამჟამად 99 პატიმარია ჩართული. ყველა მათგანი ადმინისტრაციული ორგანოების ყოფილი თანამშრომელია. ბევრი მათგანი აფხაზეთში იბრძოდა და ომში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის თავის დროზე მედლითაც არის დაჯილდოვებული. ამჟამად ისინი ომის შემდგომ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის იხდიან სასჯელს.

მოშიმშილე პატიმრებმა გუშინ ულტიმატუმი წაუყენეს ხელისუფლებას: იმ შემთხვევაში, თუ საღამოს მათ მოთხოვნაზე კონკრეტულ პასუხს არ მიიღებენ, ისინი მშრალ შიმშილობას გამოაცხადებენ.

მიუხედავად სიტუაციის ასე დაძაბვისა, გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე ხონის კოლონიის პრობლემებზე არ უმსჯელიათ. კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ელენე თევდორაძის და ამჟამინდელი თავმჯდომარის მოადგილის ზაზა დვალის დაჟინებულმა მოთხოვნამ, მოშიმშილე პატიმრების საკითხი განხილულიყო, არ გაჭრა - კომიტეტის თავმჯდომარემ ნანა ბიჭიაშვილმა დროის სიმცირის გამო დღის წესრიგს არ გადაუხვია და ასამდე პატიმრის პრეტენზიებზე მსჯელობას ზოგად-საპატიმრო პრობლემების მოგვარება ამჯობინა. საუბარია კომიტეტის ინიციატივითვე მომზადებულ კანონპროექტზე, რომელიც პატიმრობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას ეხება და ითვალისწინებს ბრალდებულთა ყოველდღიურად ერთი საათით ჰაერზე გასეირნებას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ეს შეღავათი, ამჟამად არსებული კანონით, მხოლოდ მსჯავრდებულებზე ვრცელდება, რაც ბრალდებულთა უფლებების შელახვაა. **„კანონში არსებული ხარვეზის გამო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას და ევროსაბჭოს შესაბამის კომიტეტს შენიშვნები არაერთხელ გამოუთქვამთ"**, — თქვა კომიტეტის თავმჯდომარემ ნანა ბიჭიაშვილმა.

წარმოდგენილი ცვლილების სამართლიანობაში ეჭვი არავის შეუტანია, მითუმეტეს, სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ეს ცვლილება არ გაართულებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპერატიულ-სარეჟიმო ვითარებას, ხელს არ შეუშლის უსაფრთხოების პირობების დაცვას და საპყრობილეში განთავსებულ პატიმართა მიმართ საგამოძიებო ქმედებათა განხორციელებას.

# დანაშაული და მასთან ბრძოლა

## ქართველი და ამერიკელი მეცნიერების ნააზრევი ერთ წიგნად

თეა ხოფერია

*გუშინ ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრისა და სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის მიერ მოეწყო ქართულ-ამერიკული წიგნის - "კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა" - პრეზენტაცია. წიგნში განხილულია კრიმინოლოგიისა და სამართალდამცავი სისტემის პრობლემატიკა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოში. წიგნის პირველი ნაწილი აშშ-ს რეალობას შეეხება და თარგმნილია ქართულ ენაზე. მეორე - ქართულ ნაწილს კი თერთმეტი ქართველი თანაავტორი ჰყავს.*

წიგნი მოიცავს ორი, განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომი, ქვეყნის სამართალდამცველი სისტემების სტრუქტურულ აღწერილობას და მათი მუშაობის სპეციფიკას.


წიგნის პრეზენტაციაზე.

"კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემის" მთავარი რედაქტორის გიორგი ღლონტის განცხადებით, თეორიულ და პრაქტიკულ მასალებზე დაფუძნებული წიგნი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სამართლისა და კრიმინოლოგიის სფეროში, რადგან საზოგადოებას კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის დღეს საქართველოში მიმდინარე ძალზე მტკივნეულ პროცესებზე. ტრეფიკინგი, ტერორიზმი, ნარკობიზნესი, ადამიანის მოტაცება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული - წიგნში ეს და სხვა აქტუალური თემებია განხილული.

**"შვიდი წელია, რაც ამ თემებზე ქართველი მეცნიერები ვმუშაობთ. თავდაპირველად წიგნის გამოსაცემად ფულადი სახსრები არ იყო, შარშან კი ამერიკის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამაში გავიმარჯვეთ და იდეა სისრულეში მოვიყვანეთ"**, - ამბობს წიგნის შექმნის იდეის ავტორი გიორგი ღლონტი. მისივე თქმით, წიგნის ამერიკელი თანაავტორები - "რადჯერის" უნივერსიტეტში მოღვაწე ფრედ ადლერი, გერჰარდ მიულერი და ვილიალმ ლაუფერი - შეერთებულ შტატებში ძალზე ავტორიტეტული კრიმინოლოგები არიან.

**"ჩვენ ვიცით, რაოდენ კარგი მეცნიერები არიან გიორგი ღლონტი და ამ წიგნის დანარჩენი ქართველი თანაავტორები. ამიტომაც გავეცით გრანტი წიგნის გამოსაშვებად"**, - განაცხადა აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა შერონ ჰედსონმა წიგნის პრეზენტაციაზე.

წიგნის თანაავტორების თქმით, ისინი მომავალშიც ითანამშრომლებენ.

## ინფორმაცია

### ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე გამოძალვაშია ეჭვმიტანილი

გორში დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულია ადრე ყაჩაღობისთვის, ფულის გამოძალვისა და სხვა დანაშაულებისთვის 4-ჯერ ნასამართლევი ალექსანდრე ქარელი, მისი თანამზრახველები დავით ბერიაშვილი და ოთარ გასიტაშვილი.

ჯგუფის წევრები, შიდა ქართლის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარესთან ვლადიმერ დოლიაშვილთან ერთად, სოფელ სოღორაშენში მურად შუბითიძეს დაესხნენ თავს და 2 ათასი დოლარის გამოძალვას შეეცადნენ, თუმცა ვერ მოახერხეს. რამდენიმე დღის შემდეგ მათ მურად შუბითიძე ქარელში "ვაზ-31" მარკის მანქანიდან გადმოსვეს, მანქანა ჩამოართვეს, თავად კი გორში წაიყვანეს და ვეტერანთა საბჭოს ოფისში მანქანის მინდობილობა ნოტარიუსს გააფორმებინეს. ალექსანდრე ქარელი, დავით ბერიაშვილი და ოთარ გასიტაშვილი დაპატიმრებულნი არიან. შიდა ქართლის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ დოლიაშვილის დასაკავებლად სამართალდამცველები მასალებს ამზადებენ.

### ზემდეგი დანაშაულის ადგილზე დააკავეს

თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სასწავლო ცენტრის დანადგარების საწყობის უფროსი, ზემდეგი ზაქარია ნათიძე ქურდობაშია ბრალდებული. იგი კოსტავას ქუჩაზე მიმავალ თემურ ბარამიძესა და გია მჭედლიძეს პოლიციელის სტატუსით გაეცნო და მობილური ტელეფონები წაართვა. ზაქარია ნათიძე სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზე, ბარამიძესა და მჭედლიძესთან მომხდარი შელაპარაკებისას დააკავეს. ბრალდებული ზემდეგის საქმეს სამხედრო პროკურატურა იძიებს.

### რუსეთის პრემიერ-მინისტრი პროკურატურაში გამოიძახეს

რუსეთის პროკურატურის განცხადებით, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ეჭვმიტანილია კორუფციაში, კრედიტების უკანონო გაცემაში და მკვლელობაშიც კი. სწორედ ამ ბრალდებებისთვის პროკურატურაში რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხაილ კასიანოვი დაიბარეს. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის ვლადიმირ კოლესნიკოვის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი პროკურატურაში დაბარებულია მაგადანის გუბერნატორის მკვლელობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. "ჩვენ უნდა დავკითხოთ რამდენიმე სერიოზული თანამდებობის პირი, მათ შორის - მიხაილ კასიანოვი. გამოძიება უნდა მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე და ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც უკანონო საქმიანობით არიან დაკავებულნი, დაისჯებიან მიუხედავად მათი რანგისა," – განაცხადა ვლადიმირ კოლესნიკოვმა.

მაგადანის ოლქის გუბერნატორის ვალენტინ ცვეტკოვის მკვლელობა პირველივე დღეებში შეკვეთილ მკვლელობად შეფასდა. სამართალდამცველთა განცხადებით, რუსეთში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცვეტკოვის რანგის მაღალჩინოსანი ასეთ ვითარებაში მოეკლათ. "მკვლელობა მაფიოზთა შეკვეთილია," – ასეთი იყო მილიციის თავდაპირველი შეფასება, რომელიც მოგვიანებით გამყარდა. პროკურატურის ინფორმაციით, ცვეტკოვი მაგადანის ოლქის ერთ-ერთი მთავარი რესურსის – თევზჭერის ბიზნესს ემსხვერპლა. გამოძიება აცხადებს, რომ ამ სფეროში მათ სერიოზულ დანაშაულებრივ დეტალებს მიაგნეს. საუბარია, თევზჭერის სფეროს განვითარებისთვის და 2 ათასი ტონა თევზის დაჭერისთვის რუსეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი 7 მილიონი დოლარის არამიზნობრივად ხარჯვაზე. კვოტების გაცემის კომისიას პრემიერ-მინისტრი მიხაილ კასიანოვი ხელმძღვანელობდა.

### რუსეთში სატელეფონო ტერორისტები მომრავლდნენ

რუსეთის სამართალდამცველთა ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით 3-ჯერ მეტი ცრუ შეტყობინების შემთხვევა დარეგისტრირდა. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, 3 თვის მანძილზე ტერორისტული აქტების შესახებ 113 სატელეფონო ზარია აღრიცხული. 88 შემთხვევისას შეტყობინება ეხებოდა რკინიგზის სადგურის დანაღმვას. ინფორმაციის მიღების შემდეგ დასახელებულ ადგილზე გადიოდა გამნაღმავთა და კინოლოგთა სპეცჯგუფი და ხდებოდა მითითებული ობიექტიდან ადამიანთა ევაკუაცია. შსს-ს განცხადებით, სატელეფონო ტერორისტთა არც ერთი ზარი არ გამართლებულა. ყველა შეტყობინების თაობაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სატელეფონო ტერორისტი ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთი ან სამ წლამდე პატიმრობით.

### ბავშვების მოწამვლის ფაქტზე საქმე აღიძრა

უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეში 150 ბავშვის მოწამვლის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ბავშვები ჯერჯერობით დაუდგენელი მომწამვლელი გაზის მსხვერპლნი გახდნენ. საქმე ისაა, რომ ზაპოროჟიის №90 საშუალო სკოლაში დაუდგენელმა პირებმა გაუშვეს მომწამვლელი გაზი, რის შედეგადაც 150 ბავშვი დაზარალდა. სამართალდამცველები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, ვერანაირ კომენტარს ვერ აკეთებენ. მათთვის უცნობია, თუ ვინ და რა მიზნით გაუშვა სკოლაში მომწამვლელი გაზი. მომხდართან დაკავშირებით საქმე ბავშვების მოწამვლის მუხლით აღიძრა.

### გერმანელ ექსპოლიციელს 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

გერმანიის სასამართლომ ყოფილ პოლიციელს, რომელიც არასრულწლოვანთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობისთვის გაასამართლეს 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 14 წლის განმავლობაში პედოფილი პოლიციელის მსხვერპლი 81 ბავშვი გახდა. მათი უმეტესობა ბიჭები იყვნენ. პოლიციელის დაპატიმრება ფოტომაღაზიის თანამშრომლის ჩვენების საფუძველზე მოხდა. მაღაზიაში პოლიციელმა გასამჟღავნებლად ის ფირი მიიტანა, რომელზეც მის მიერ არასრულწლოვანთა გაუპატიურების სცენები იყო გადაღებული.

## მოკლედ

**თბილისი.** პოლიციამ გაუპატიურებისათვის ძებნილი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, დაკავებულია 1979 წელს დაბადებული თამაზ ზარანდია.

ზარანდია დანაშაულის ჩადენისათვის სენაკის პოლიციის მიერ იძებნებოდა. მისი დაკავების ოპერაცია ამ რაიონის სამართალდამცავებმა, მარტვილელ კოლეგებთან ერთად, 9 აპრილს განახორციელეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იარაღის უკანონო ტარებისათვის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა საბჭოს მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე "კანონიერი ქურდი", თბილისში მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 29 წლის ნუკრი ცერცვაძე დააკავეს.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, დაკავებისას ცერცვაძეს აღმოაჩნდა პისტოლეტი "კაროვანი"ერთი მჭიდითა და 7 ცალი ვაზნით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იაღლუჯას სამხედრო პოლიგონიდან, სადაც წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში საჩხერის სამთო-მსროლელთა ბატალიონი ანტიტერორისტულ მომზადებას გადის, ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე 9 ჯარისკაცი გაიქცა. კონტრაქტით დაქირავებული ჯარისკაცების გაქცევის ფაქტი დაადასტურა ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორმა მამუკა ცაავამ. მისი განცხადებით, წინასწარი მოკვლევის ვადის დასრულებამდე მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება. ამჟამად მიმდინარეობს გაქცევის ზუსტი ვადების დაზუსტება და მიზეზების მოკვლევა. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, უზნაძის ქუჩა N2-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსთან, გუშინ, დაახლოებით 13 საათზე აფეთქდა "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანა. ავტომანქანის მფლობელი იქვე მცხოვრები 30 წლის თამუნა არაყიშვილია, რომელიც ავტომანქანას მუდმივად იმ ადგილზე აჩერებდა, სადაც აფეთქება მოხდა.

აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა. სამაგიეროდ, ახლო მდებარე სახლებში ჩაიმსხვრა მინები და ყველა ავტომანქანის სიგნალიზაცია ჩაირთო. აფეთქების შესაძლო მიზეზად თავდაპირველად სახელდებოდა მიწისქვეშა ელექტროგაყვანილობის დაზიანება; თუმცა, ეს ვერსია ადგილზე მისულმა სპეციალისტებმა უარყვეს. ამჯერად, პოლიცია რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, თუმცა მათი დასახელებისგან თავს იკავებს. როგორც შევიტყვეთ, ყველაზე რეალურია შურისძიების ვერსია. **„24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლნისის რაიონის პოლიციამ და შს სამინისტროს ძებნის სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილები - 27 წლის დავით პირველაშვილი და 35 წლის რამაზ რობაქიძე, რომლებიც 2003 წლის 10 თებერვალს თავს დაესხნენ ბოლნისში მცხოვრებ ლუსია არზუმანიანის ოჯახს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 47 წლის მერაბ კუპრაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდში, სახესა და მხარში დაჭრა ცოლ-ქმარი მარსელ და მანანა ტყემალაძეები. **მედია-ნიუსი**

# „მამები და შვილები"

პირველი გვერდიდან

მათი ავტორი ჯორჯ ბუში-უფროსია, რომელმაც ეს სიტყვები 1991 წლის 16 იანვარს, სპარსეთის ყურეში პირველი ომის დაწყების წინა საღამოს წარმოთქვა.

ახლა, თორმეტი წლის შემდეგ, მამა ექს-პრეზიდენტი "მოჯადოებულ" სპარსეთის ყურეში მიმდინარე მეორე ომს თვალს ადევნებს არა თეთრი სახლის სიტუაციური ოთახიდან, არამედ, როგორც თავად უყვარს ხოლმე თქმა, ბაღის სკამიდან, რადგან მას არ ძალუძს შვილის შეცვლა - ეს კონსტიტუციით არის აკრძალული. ყველაზე ხშირად უფროსი ბუშის "სკამი" ან მის ჰიუსტონისეულ სახლშია, ან საგვარეულო მამულში, რომელიც მენის შტატში, კენიბანკპორტში მდებარეობს. თეთრ სახლში მამა ბუშის ყოფილი იურისკონსულტის, ბოიდენ გრეის თქმით, **"დღეს ექს-პრეზიდენტი საკმაოდ კარგ განწყობაზეა და სატელევიზიო არხებს ათვალიერებს (იმ არხებს, რომლებიც ომს აშუქებენ – მ.ს.)"**

ამ დღეებში ჯორჯ ბუში ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. თუმცა ჩვენ არ ვიცით, რას ჩასჩურჩულებს იგი საკუთარ დიქტოფონს. არც ის ვიცით, რას ფიქრობს მამა "შვილის ომზე". თუმცა მისი უახლოესი გარემოცვა ამტკიცებს, რომ იგი ძალზე დიდ გავლენას ახდენს საკუთარ პირმშოზე. თეთრ სახლში "ნიუ იორკ ტაიმსის" კორესპონდენტის ელიზაბეტ ბამილერის თქმით, **"საომარი კონფლიქტის დაწყებისთანავე მამა აჩრდილად გადაიქცა, რომელიც, ლიბერალის, ანუ ანტქორის რანგში, უხილავად ესწრება შვილის სამხედრო საბჭოს სხდომებს და რომელსაც არასდროს ჰყვარებია თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი და ყოველთვის აღმერთებდა სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს".** ისე, ჩემი აზრით, სიტყვა "ანტიქორი" ძალიან ხმამაღლაა ნათქვამი. უფრო ზუსტია შეფასება, რომელიც პრეზიდენტ კლინტონის დროს სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილეს, ამჟამად კი ბრუკინტსის ინსტიტუტის თავკაცს სტრაუბ ტელბოტს ეკუთვნის. იგი მამა ბუშს, პაუელთან და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერთან ერთად, "კეთილშობილების ღერძის" ტყვეს უწოდებს.

ბუშის "კეთილშობილება", პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ იგი პოლიტიკაში ინტერნაციონალისტია. ამიტომაც იგი სულაც არ არის აღფრთოვანებული იმ "ქორებით", რომელიც მის შვილს ახვევია გარს. თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული მათგანი მზად არის, დამოუკიდებლად იმოქმედოს. მას, ალბათ, ისეთი ამერიკა სურდა, რომელიც არ დაუპირისპირდებოდა გაერო-ს და ევროპელ მოკავშირეებს. პირიქით – ითანამშრომლებდა მათთან, თანაც არა მხოლოდ ერაყის მშვიდობიანი მომავლის, არამედ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების საკითხებში.

"ბაღის სკამზე" მჯდომი მამა-ბუში ჩუმადაა. თუმცა მის მაგიერ ბუშის ნდობით აღჭურვილი პირი, მისი სახელმწიფო მდივანი, თითქმის მისი alter ego ჯეიმს ბეიკერი საუბრობს (რომელიც ამ თანამდებობაზე ერაყში პირველი ომის დროსაც იმყოფებოდა – მ.ს.) "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბეიკერმა განაცხადა, რომ ომის შემდგომი ერაყი არ უნდა იქცეს პოლიგონად, სადაც კვლავ დაიწყება წინასაომარი ბატალიები ერაყ-


REUTERS

ში ცენტრალური ადგილის დამკვიდრების მსურველ ამრიკის შეერთებულ შტატებსა და მოკავშირეებს შორის, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, რომელთაც სურთ, რომ ეს ფუნქცია გაერომ იტვირთოს. მაშინ ბეიკერმა ერაყის მომავალი მთავრობის საკითხის ზეპოლიტიზაციის თაობაზეც გაგვაფრთხილა. ამ დღიდან ჯეიმს ბეიკერი უარს ამბობს ინტერვიუებზე თემაზე: "რას ფიქრობს პირველი პრეზიდენტი ბუში მეორე ომზე სპარსეთის ყურეში". თუმცა ასეთი სიჩუმე სიტყვებზე მეტის მთქმელია.

მამა-შვილი ბუშის ახლობლები ამკიცებენ, რომ ისინი კვირაში რამდენჯერმე მაინც ესაუბრებიან ერთმანეთს ტელეფონით. თუმცა მამისა და შვილის მრჩევლები იმასაც აღნიშნავენ, რომ მამა არასდროს ეუბნება შვილს პირადაპირ, რა უნდა მოიმოქმედოს ამ უკანასკნელმა, იმის მიუხედავად, რომ "მამიკოს" მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვს. მინდა მოვიყვანო მამა-ბუშის ერთ-ერთი მრჩეველის სიტყვები, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა: **"ვფიქრობ, რომ იგი (მამა-ბუში – მ.ს.) ნამდვილად განიცდის გრძნობათა გაორებას. მამა-შვილის ურთიერთობები ის სფეროა, სადაც შვილს კიდევ მოუწევს საკუთარი დამოუკიდებლობის დამტკიცება. მამა ამას ინტუიციურად გრძნობს. აქედან გამომდინარე, თუკი მამა ჯიუტად ეცდება მოახვიოს შვილს საკუთარი აზრები, ამან შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს. მე, მაგალითად, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მათ შორის გაიმართოს ისეთი საუბარი, როდესაც მამა შვილს ეტყოდა: "მომისმინე, შენ სულ გააფუჭე ჩვენი ურთიერთობები საფრანგეთთან!"** (შევნიშნავ, რომ დიდი ხნის წინ, როდესაც მამა-ბუშმა შენიშვნა მისცა შვილს ავტომობილის დამტვრევის გამო, შვილმა მასზე მუშტებით გაიწია და ურთიერთობის ჩხუბით გარკვევას ითხოვდა, ანუ ისე, როგორც ეს მამაკაცებს შეშვენის – როგორც იტყვიან, mano a mano. ისინი ძლივს გააშველა ბარბარამ – მამა-ბუშის მეუღლემ და ჩხუბისთავის დედამ).

იშვიათ საჯარო გამოსვლებში მამა-ბუში, ბუნებრივია, სავსებით უჭერს მხარს "შვილის ომს". თუმცა ტაფტის უნივესიტეტში გამოსვლისას, იგი ვაშინგტონსა და დასავლეთ ევროპას შორის არსებულ უთანხმოებებს შეეხო. მან თქვა: **"ჩემი საქმიანობა ყოველთვის მიმართული იყო ამ ურთიერთობების განმტკიცებისაკენ. დარწმუნებული ვარ, რომ როცა ყველა დაწყნარდება, როცა ერაყი საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად დაიწყებს ცხოვრებას, დაინახავთ, რომ შეერთებული შტატები კვლავ იქნება გერმანიისა და საფრანგეთის მოკავშირე და მეგობარი".** ამ პასაჟის საკვანძო სიტყვა "დამშვიდებაა". შეუძლებელია მისი სხვაგვარად აღქმა, თუ არა შვილის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც საკმაოდ გამჭვირვალედ იყო შენიღბული.

როგორც ჩანს, ბუში ამას მიხვდა და იქვე დაამატა: **"მტკივა, როდესაც ადამიანები ჩემს შვილს აკრიტიკებენ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ რამდენიმე მათგანი აზრს, ანუ ინტერელქტუალურ (?) საფუძველს არის მოკლებული".**

დასასრულ მამა-ბუშმა აღნიშნა, რომ მას და მის შვილს "ძულთ ომი". ამ განცხადებაში, მინიმუმ, ორმოცდაათი პროცენტი გარკვეულ სკეპტიციზმს იწვევს, მით უფრო, თუკი გავიხსენებთ შვილი-ბუშის ჯვაროსნულ რიტორიკას **"ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის თაობაზე".**

დასასრულ მოდით, კიდევ ერთხელ ჩავრთოთ მამა-ბუშის დიქტოფონი. სპარსეთის ყურეში მისი ომის დასრულების შემდეგ მან ჩამწერ მანქანას შემდეგი სიტყვები მიანდო: **"არანაირი ეიფორია".**

მამა-ბუში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია. მისი თვითმფრინავი იაპონელებმა წყნარი ოკეანის თავზე ჩამოაგდეს. იგი სასწაულის წყალობით გადარჩა, თანაც ეკიპაჟის ერთი პილოტი სიკვდილს გადაარჩინა. მან იცის, რა არის ომი. ამერიკის დღევანდელ მთავარსარდალს კი არასდროს უტარებია სამხედრო ფორმა. მისი ნაცნობობა ომთან მხოლოდ ეროვნულ გვარდიაში ექვსთვიანი სამსახურით შემოიფარგლება.

აი, ასეთები არიან ისინი, "მამები და შვილები", ოღონდ არა ივან ტურგენევის მიხედვით.



ნომრის პერსონა

# პრიორიტეტული ბიზნესმენები არ უნდა არსებობდნენ

საკუთარ თავს გულისხმობს თემურ ჭყონია...

*ლოგიკა 1: ერაყის ომში ამერიკის გამარჯვება საქართველოში ყველაზე მეტად თემურ ჭყონიას უნდა უხაროდეს. სწორედ იგია ორი ძლიერი და პოპულარული ამერიკული კომპანიის მესვეური საქართველოში და ბრწყინვალე გამარჯვებით ფრთაშესხმული აშშ მადლიერების ნიშნად, სწორედ მის მხარდამჭერ ქვეყანაში არსებულ მისსავე კომპანიებს მიხედავს.*

*ლოგიკა 2: დღეს მოღვაწე არც ერთ ბიზნესმენს (განსაკუთრებით მსხვილს) სახელმწიფოსთან დაპირისპირება ხელს არ უნდა აძლევდეს. მათ პირველი კაპიტალი იმ დროს დააგროვეს, როდესაც საქართველოში მხოლოდ ომი, მხოლოდ არეულობა, კუპონი და ინფლაცია იყო. ამ კაპიტალს კი, ამერიკელების სრულ გამარჯვებამდე, შენარჩუნება უნდა...*

*ლოგიკა 3: საქართველოში ლოგიკური ჯაჭვები წყდებიან.*

მაია ქალაბანიძე

- ბიზნესმენი სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში ძირითადი ფიგურაა, ამიტომაც, სახელმწიფოსთან ურთიერთობის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. ხშირად ისმის მოსაზრება, რომ ბიზნესი და პოლიტიკა ერთმანეთისგან ცალ-ცალკე უნდა ვითარდებოდნენ - ასე არ შეიძლება.

პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებები ბიზნესისა და ქვეყნის განვითარებაზე მოქმედებს. ამ წლების განმავლობაში, ბუნებრივია, გამოცდილება დაგვიგროვდა. სწორად აღვიქვამთ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა – კონტრაბანდა, ფალსიფიკაცია, ბაზრის სწორი ორგანიზება და ა.შ. შესაძლებელია, ჩვენი წინადადებები გაცილებით მისაღები და ჩქარა განხორციელებადი იყოს, ვიდრე ამას დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს.

**- თქვენ, როგორც ბიზნესმენი, კონკრეტულად, რა გეგმას სთავაზობთ სახელმწიფოს კონტრაბანდასთან და ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად და რამდენად ემთხვევა თქვენი წინადადებები მთავრობის ინიციატივებს?**

- მიმაჩნია, რომ მხოლოდ გზებსა და საზღვრებზე კონტრაბანდის დაკავება შეცდომაა. ვაჭრობის სწორი ორგანიზაცია და სისტემის ჩამოყალიბება რომ მოხდეს, საქართველოში სავაჭრო წარმომადგენლობები უნდა არსებობდეს. ხშირად, კონტრაბანდას განვიხილავთ, როგორც ეკონომიკურ საბოტაჟს. ვსვამ კითხვას - ხომ შეიძლებაა ეს მომწამვლელი იყოს?! დავანებოთ თავი კოკა-კოლას, ხომ შეიძლება, ერთ ტომარა ფქვილში საწამლავი იყოს? რატომ განვიხილავთ ამ საკითხს ისე, თითქოს ამით ბიუჯეტს დააკლდა თანხა და სხვა არაფერი...

**- თქვენ გვთავაზობთ, კონტრაბანდა და ფალსიფიკაცია კრიმინალად განვიხილოთ?**

- მრავალმხრივად უნდა განვიხილოთ. როცა სავაჭრო ორგანიზაციები, ხალხი მიხვდება, რომ კონტრაბანდა მომწამვლელია, არ იყიდიან მას. არ გამოეკიდებიან იაფ ფასს. განა ჯანმრთელობაზე უფრო ძვირი რაიმე ღირს?

**- ამ შეკითხვაზე რა პასუხს იღებთ ოფიციალური სტრუქტურებიდან?**

- ჯერ პასუხი არ მიგვიღია. არ შეიძლება, ეს საკითხი მხოლოდ ბიუჯეტს უკავშირდებოდეს. ყველა საკითხი ხალხის აზრის გათვალისწინებით და ხალხთან ერთად უნდა განვიხილოთ.

ჩვენ სისტემატურად ვთავაზობთ მთავრობას ამ წინადადებებს და არასდროს ასე არ აუგორებიათ, როგორც ახლა... ჩვეულებრივად, სახელმწიფოს თანამშრომლობა შევთავაზეთ. გადამხდელთა კავშირში გამართულ შეხვედრაზე ძირითადი გამომსვლელების აზრიც ეგ იყო.

**- სახელმწიფოს ბიზნესმენები მხოლოდ საჭიროების მიხედვით ახსენდება - მაგალითად, არჩევნების დროს...**

- ცხოვრებაშიც ეგრეა - როცა ადამიანი გჭირდება, მაშინ მიაკითხავ ხოლმე... ამაში ახალი არაფერია.

**- აქ საუბარია იმ ორი სეგმენტის ურთიერთობაზე, რასაც ქვეყნის ბედი პირდაპირ უკავშირდება... დღევანდელი მდგომარეობით, ხელისუფლებასა და ბიზნესმენებს შორის ურთიერთობას დაარქმევდით თანამშრომლობას?**

- არა, ვერ ვუწოდებ. სახელმწიფოში უამრავი პრობლემა არსებობს - პოლიტიკური, ტერიტორიული და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლებამ ჩვენთან სასაუბროდ მეტი დრო უნდა გამონახოს. მხოლოდ ჩემზე არ არის საუბარი. იგულისხმებიან ის ბიზნესმენებიც, ვინც რეგიონებში მუშაობენ. ჩვენ წარმოვადგენთ მშრომელთა მასას, ადამიანებს, ვინც მეტ-ნაკლებად ქმნის კაპიტალს.

**- მოგეხსენებათ, "მრეწველები" ახალი საგადასახადო კოდექსის გამო აქტიურ კონსულტაციებს მართავენ მთავრობასთან. თუ იცნობთ ამ პროექტს და იღებთ თუ არა მონაწილეობას მის განხილვაში?**

- პროექტს დაახლოებით ვიცნობ. განხილვაზე, სამწუხაროდ, არ მიმიწვიეს. ესეც ცუდია. გერგეთზე მრეწველების ერთი ჯგუფი იკრიბება და აქ მეორე. ცუდია, რადგან იქ ჩემი მეგობრები არიან და მათთან არც ბაზარი და არც ქვეყანა გასაყოფი არ მაქვს.

ისე კი, გადამხდელი არასდროს იქნება კმაყოფილი გადასახადების დაწესებული სიდიდით. მთავარია ვგრძნობდეთ, რომ რასაც ბიუჯეტში ვიხდით, სწორად არის გამოყენებული.

**- ანუ, კონტროლის გარკვეული ბერკეტები გჭირდებათ?**

- არც დრო მაქვს, არც სურვილი და არც ცოდნა - ვაკონტროლო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. მაგრამ, ქვეყანაში ამას ნებისმიერი ჩვენგანი უნდა გრძნობდეს - ელექტროენერგია, გაზი, კულტურა, სპორტი, გზები... ამ საკითხებში უნდა ვგრძნობდეთ. ეს კი არ ხდება.

შესაძლოა, ეს ბიზნესის სიღარიბის ბრალიც იყოს - რაც ჩვენ ბიუჯეტში შეგვაქვს, საკმარისი არ არის... შესაძლოა, ისიც იყოს მიზეზი, რომ უამრავი ბიზნესმენი, რომელსაც არ სჯერა, რომ მის მიერ გადახდილ თანხას სწორად წარმართავენ, ჩრდილოვანი ბიზნესის წარმოებაზეა გადასული...

ხშირად საუბრობენ ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდეზე და ხშირად ისმის მოსაზრებები, რომ საქართველოში თეთრი ბიზნესი არ არსებობს... ეს მე მწყინს. ჩვენ ნამდვილად ვართ დაინტერესებული, რომ ბიუჯეტში ფული შედიოდეს. რადგან ჩვენი განვითარება ადამიანთა მყიდველობით უნარიანობაზეა დამოკიდებული... თუ ადამიანები არ მუშაობენ, არ აქვთ ჯამაგირი - ეს პირდაპირი გზაა გაკოტრებისაკენ.

**- ბიზნესისადმი ამგვარი დამოკიდებულება იმანაც განაპირობა, რომ დღეს მოღვაწე მსხვილ ბიზნესმენთა უმრავლესობამ კაპიტალი მაშინ დააგროვა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში იყო მხოლოდ ომები, არეულობა, ინფლაცია, კუპონი... თქვენც, დაახლოებით, იმ პერიოდში იწყებდით. ეს როგორ მოხერხდა?**

- როდესაც ფალსიფიკატორების წინააღმდეგ მთავრობას რაიმე ღონისძიებების გატარებას ვთხოვდით, ხშირად გაისმოდა, რომ მკაცრი ზომების მიღება არ შეიძლებოდა, რადგან ხალხს უჭირს და ეს სამუშაო ადგილებს ქმნისო...

**- მოდით, მხოლოდ ფალსიფიკატორებს ნუ დავაბრალებთ...**

- რა თქმა უნდა, მხოლოდ მათი ბრალი არ არის. ისინი ამ ცხოვრებას ერგებიან - ბიუჯეტში ფულს არ იხდიან, სხვა წყაროებს ეძებენ და პოულობენ კიდეც.

**- პოლიტიკურ პარტიას ბიზნესმენთა მხარდაჭერამ რა შეიძლება მოუტანოს და წაართვას არჩევნებში?**

- ჯერ არჩევანი არ გამიკეთებია. ყველა პარტიაში მყავს მეგობრები. უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ხალხი ავირჩიოთ პროგრამისა და გაკეთებული საქმეების მიხედვით.

აქ მხოლოდ მსხვილ ბიზნესმენებზე არ უნდა გამახვილდეს ყურადღება. არჩევნები მარტო თბილისში არ ტარდება. რეგიონებშიც მოღვაწეობენ ბიზნესმენები, ვისაც ადგილობრივ მოსახლეობაში ავტორიტეტი აქვს.


თემურ ჭყონია

საუბრობენ ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდეზე და ხშირად ისმის მოსაზრებები, რომ საქართველოში თეთრი ბიზნესი არ არსებობს...

თუ ბიზნესი ძლიერია, ძლიერი პოლიტიკოსი ბუნებრივად იქმნება.

ჩვენს წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ ბრძოლის დაწყება - გამოგონილი ჭორია

ბიზნესმენის მხარდაჭერას კი პოლიტიკური ძალისთვის გადამწყვეტი, სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ეს მხოლოდ დამფინანსებელი არ არის. ესაა მახრდამჭერთა გარკვეული რაოდენობაც.

**- პოლიტიკოსები რაღას აძლევენ ბიზნესმენებს?**

- წინა არჩევნების მაგალითს თუ განვიხილავთ, ერთადერთი, რასაც პოლიტიკოსებისგან მოვითხოვთ - ქვეყანაში დაძაბულობის მოხსნაა. გვინდა სტაბილურობა და არ გვინდა კანონების ასე ხშირი ცვლა.

**- როგორ გგონიათ, დღევანდელი ხელისუფლება არის ბიზნესისთვის ასე საჭირო სტაბილურობის გარანტი?**

- ჩემი სუბიექტური აზრი ის გახლავთ, რომ ამ ხელისუფლების გარანტი მხოლოდ შევარდნაძეა. პრეზიდენტზე გადის ყველაფერი. ცალ-ცალკე მინისტრების განხილვა კი არასწორი იქნება.

**- ასე რომ, მსხვილ გადამხდელებთან ერთ-ერთი შეხვედრისას თქვენს მიერ წამოყენებული წინადადება, შევარდნაძის ვადის 2 წლით გაზრდის შესახებ, ძალაშია?**

- ჩემზე დამოკიდებული არ არის... დღეს პოლიტიკოსთა შორის არასწორი კონკურენციაა, ხანდახან, როდესაც ჩავფიქრდებით, თუ ვინ იქნება საქართველოს მომავლის განმსაზღვრელი, წინამძღვარი - ძალზე ბევრი ხალხი ირევა ფიქრში. ამიტომაც ვთქვი, რომ სანამ ლიდერის როლი დიდი ფიგურა არ გამოიკვეთება, მანამდე გავუგრძელოთ ვადა პრეზიდენტს-მეთქი... ჩვენ ძალიან დაინტერესებულნი ვართ, რომ მდიდარ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ.

**- მაინც, რა არის ის მთავარი, რისთვისაც ბიზნესმენები ხელისუფლებას საყვედურობენ?**

- არ არის კონტაქტი... მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვსაუბრობ... ჯორბენაძესთანაც არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს და ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურასთანაც. დღეს ასპარეზზე მხოლოდ რამდენიმე ბიზნესმენი ჩანს. არ შეიძლება მხოლოდ ჩვენ ვჩანდეთ. თვითონ მომბეზრდა საკუთარი თავი და სხვას რაღა მოუვა?! ამიტომაც არ ვსაუბრობ იმაზე, რომ მე მიმიწვიონ საკონსულტაციოდ. არსებობს ხალხი, რომელიც არ არის მმართველობაში, მაგრამ საკმაოდ კომპეტენტურია კანონმდებლობის საკითხებში. ამ ხალხის წარმოჩენით ბევრი რამ გადაწყდება - მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ ბიუჯეტის მიმართ, სახელმწიფოს მიმართ...

**- საქართველოში ჰყავს თუ არა ბიზნესს ახალგაზრდა თაობა?**

- გვარებს ვერ დაგისახელებთ, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, მაგრამ ახალგაზრდა ბიზნესმენები სერიოზული ცოდნით მოდიან. ბევრად მეტით, ვიდრე მათ ასაკში ჩვენ გვქონდა. საქართველოში ახალგაზრდა თაობა სულ მალე ითამაშებს ძალზე დიდ როლს.

**- თქვენ მათთან გისაუბრიათ. რას ამბობენ, რა უშლით ხელს ასპარეზზე გამოსვლაში?**

- არ უნდა იყვნენ პრიორიტეტული ბიზნესმენები. ყველა თანაბარ პირობებში უნდა მოვექცეთ.

**- ეს ბიზნესმენები რატომ არიან პრივილეგირებულნი, გადასახადებში შეღავათები აქვთ?**

- უნდა წამოიწიონ ახალგაზრდებმა. ეს სახელმწიფოს იდეოლოგია უნდა იყოს. დღეს კი საერთოდ არ არსებობს ეს იდეა.

**- ხომ ვერ დაასახელებთ, ვინ არიან პრივილეგირებული ბიზნესმენები?**

- ესენი ცნობილი ბიზნესმენები არიან. მაგალითად, მე...

რა თქმა უნდა, მაგალითი უნდა არსებობდეს, მაგრამ სხვა ხალხიც უნდა წამოიწიოს. თუ დავინახე, რომ ჩემთან, სამსახურში ვინმე ახალგაზრდა კაცს, კარგი გაგებით - კარიერისტული მისწრაფებები აქვს და საქმის გაკეთება შეუძლია, რა თქმა უნდა, ხელს ვუწყობ.

**- ქართულ "კოკა-კოლას" და, კერძოდ, თქვენ უკვე რამდენიმე წელია, დავა გაქვთ თურქეთის მოქალაქე ალი გოგიტიძესთან. ის თავისი ქვეყნის სასამართლოშიც ჩივის. რა არის სადავო?**

- ეს დიდი ხნის ისტორიაა და გაზეთის საშუალებით ამის გარჩევის მომხრე არ ვარ. ექვსი წელია, შეტანილი აქვს სარჩელი თურქეთის სასამართლოში.

თურქეთის კანონებით, თურქული კრედიტი ადგილობრივ ფირმაზე უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. ასეთი იყო ალი გულდუზი. ეს მოწოდება რომ შეასრულა, მერე პრეტენზიები გაუჩნდა, რომელიც ახლა საინტერესო და სასაუბრო არ არის. რაღაცით ხომ უნდა განვსხვავდებოდე გოგიტიძისგან? მერე - ჩვენი მხრიდანაც გაჩნდა პრეტენზიები და ურთიერთობა შევწყვიტეთ.

კრედიტს ახლა მე ვიხდი. გვაქვს უმნიშვნელო გადაცილებები, რომელიც ბიზნეს კანონებით აბსოლუტურად დაშვებულია.

**- საბოლოოდ რა იქნება ის კონსენსუსი, რაზეც სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმდებით.**

- გეგმები შეხვედრის პერსპექტივები გამოგონილია, ის არ არსებობს. იმ შეხვედრაზე მთავრობას თანამშრომლობა შევთავაზეთ. თუ მიიღებს, მადლობელი ვიქნებით.

**- გამოგონილი არის თუ არა, მთავრობამ სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ, სასწრაფოდ შექმნა ბლოკი და იქ სულ სხვა ბიზნესმენები მიიწვია. ეს შეხვედრა თავად ხელისუფლებამ აღიქვა პრობლემად...**

- არც აქ მიმიწვიეს. ბლოკი იმიტომ არ შეიქმნა, რომ ჩვენი შეეშინდათ. აქ მნიშვნელოვანია ისეთი დიდი პოლიტიკოსის გათვლები, როგორიც შევარდნაძეა. ის თვლის უფრო სწრაფად, შორს და გააზრებულად, ვიდრე სხვები. ამიტომ, როდესაც დიდ პოლიტიკოსთან გაქვს ურთიერთობა, არაორდინარულ გადაწყვეტილებებს მუდმივად უნდა ელოდო.

ჩვენს წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ ბრძოლის დაწყება - გამოგონილი ჭორია, აბსოლუტურად გამორიცხულია. ახალმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ბიზნესმენთა დაპირისპირება არ უნდა გამოიწვიოს, ეს არ შეიძლება. ჩვენი დაპირისპირება კონკურენციაა. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ადგილი ბაზარზე და არა კაბინეტებში.

**- გავცდეთ საქართველოს ფარგლებს. როგორ გგონიათ, რა საინვესტიციო გარემო შეიქმნება საქართველოში ერაყის ომის საბოლოო დამთავრების შემდეგ?**

- ერაყის ომის დამთავრების შემდეგ, წესით, როგორც კოალიციის მხარდამჭერი ქვეყანა, სულ სხვაგვარ სიტუაციაში უნდა აღმოვჩნდეთ.

საქართველოში ორი ამერიკული წარმოებაა - "კოკა-კოლა" და "მაკდონალდსი". ამ წარმოებებმა თავად აშშ-ს ბიუჯეტში ითამაშეს ძალზე დიდი როლი. თბილისში მდებარე მაკდონალდსის ორი რესტორანი უფრო მეტს იხდის ბიუჯეტში (წელიწადში მილიონ ორასი ათას ლარზე ცოტათი მეტს), ვიდრე დანარჩენი 50 რესტორანი (50 000 ლარს). "კოკა-კოლას" 10 წლის განმავლობაში, დაახლოებით 40 მილიონი ლარი აქვს გადახდილი. ეს ოფიციალური სტატისტიკაა. შეგვეძლო, მეტიც გადაგვეხადა, რომ არა ფალსიფიკატორები და კონტრაბანდისტები.

მაკდონალდსის კიდევ ერთი რესტორნის აშენებას ვაპირებდით, მაგრამ ეს ვერ შევძელით - არ არის პრიორიტეტული თემა საქართველოში. მაკდონალდსის მთლიანი პროექტი 18 მილიონი დოლარის ინვესტიციას ითვალისწინებს. დაახლოებით 1200-1500 კაცამდე მარტო რესტორნების სისტემაში დასაქმდება და ამას ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა მოჰყვეს - ხორცის, კარტოფილის გადამუშავება, პლასტმასის მცირე საწარმოების შექმნა... ჩვენ სწორედ ამის ახსნა გვინდა. ახლა ცოტა საფრთხილოა, მაგრამ, ომის შემდეგ (რომელიც ჩქარა დამთავრდება) ამერიკელებისთვის საინვესტიციოდ ყოველთვის ის ქვეყნები იქნება მიმზიდველი, ვინც მათ მხარი დაუჭირა (მე ვსაუბრობ ამერიკელ კოლეგებთან და ვიცი).

ამისთვის სახელმწიფოსა და ბიზნესმენებს შორის მჭიდრო ურთიერთობა და არამც და არამც დაპირისპირებაა საჭირო. ეს გამორიცხულია.

**- როგორი იქნება თქვენი პოზიციები რუსეთის ბაზარზე ამ ფონზე?**

- დასაწყისში ოდნავ შეფერხებას კი ველით, მაგრამ ეკონომიკა და ბიზნესი ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ვითარება მალე გამოსწორდება. სულ მალე აქ ცხოვრება ძალზე საინტერესო იქნება.

**- მშვენიერი სურათი დახატეთ. რაში ვერ არწმუნებთ მთავრობას?**

- ისე არ გაიგოთ, რომ არ რწმუნდებიან. მთელი პრობლემა ის არის, რომ ეკონომიკა პოლიტიზებულია. ჩვენ უნდა შეგვაფასოთ საქმით, თორემ, როგორც მოქალაქეს - ჩემი შეხედულებები და სიმპათიები მექნება. ეს კი გადამწყვეტი არ უნდა იყოს.

ქვეყნის განვითარება სწორ და ჩქარ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული.

**- როგორი იყო თქვენი გათვლები, როცა საქმეს იწყებდით; უფრო მეტს ელოდით?**

- გაცილებით უკეთესი გათვლები მქონდა. 1997 წლამდე ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა. იმ წელს ჩვენ ბიუჯეტში 7 მილიონ 700 000 ლარი შევიტანეთ და ეს დღემდე რეკორდული თანხაა.

ჩემი აზრით, სწორედ ბიზნესის პოლიტიზება მოხდა და სახელმწიფოსთვის ფულის საკეთებლად სულ უფრო ნაკლები ხალხი მუშაობდა. ამის გამო დაბლა დავეშვით, მაგრამ მერწმუნეთ - ომის მერე ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, თავდაჭერილები ვიყოთ...

**- პოლიტიკაში გადაბარგებული ბევრი ბიზნესმენი ვნახეთ. თქვენც ხომ არ აპირებთ? ეს საკუთარი ბიზნესის მფარველობის კარგი ხერხია.**

- ეგ არ მომწონს. თუ მაგარი და სერიოზული ბიზნესმენია, სამუშაო ადგილებს, ხელფასებს, ტექნოლოგიას უნდა ქმნიდეს...

**- დასავლეთს აქვს პრაქტიკა, როცა დიდი ბიზნესმენები ქვეყანაში პოლიტიკას ქმნიან - ხელისუფლებაში მათ მოჰყავთ მთავრობა, პრეზიდენტი...**

- თუ ბიზნესი ძლიერია, ძლიერი პოლიტიკოსი ბუნებრივად იქმნება. ავანტიურული ბიზნესით კი პოლიტიკაშიც ავანტიურისტები მოდიან.

იდეალურია ის სახელმწიფო, სადაც ბიზნესი და პოლიტიკა ერთად მართავენ ქვეყანას...










# გრიგალაშვილების მომღერალი ოჯახი

## ნოდარ ანდღულაძის იუბილეს ინგლისელი და ქართველი მომღერლები აღნიშნავენ

მადი სერებრიაკოვა

**"მაესტრო ჩემთვის მასწავლებელიც არის, გურუც და მეგობარიც"** – ასე იწყებს ინგლისში გადახვეწილი ახალგაზრდა ქართველი მომღერალი ირაკლი გრიგალაშვილი თავის პედაგოგზე – ცნობილ მომღერალსა და თბილისის კონსერვატორიის პროფესორ ნოდარ ანდღულაძეზე საუბარს. წელს მაესტროს 75 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებათა რიგს, დღეს მისი ნამოწაფარის -ირაკლი გრიგალაშვილისა და მისი მეუღლის, ცნობილი ინგლისელი სოპრანოს სუზანა გლანვილის კონცერტიც შეემატება. გლანვილი – გრიგალაშვილის წყვილი დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში იტალიური მუსიკის საღამოს მაესტროს უძღვნის.

ძნელია ვინმეს აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საოპერო მომღერლისათვის პედაგოგს. წლების მანძილზე მაესტრო, ფაქტობრივად, შენს მშობლად იქცევა და შენი მომავალიც მის ხელშია. პატარა შეცდომა შეიძლება კარიერის ფასად დაგიჯდეს, სამაგიეროდ, კარგ მაესტროს სასწაულის მოხდენაც შეუძლია. თვლიან, რომ იტალიური საოპერო სკოლის ტრადიციები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ზეპირი გამოცდილებით გადადიოდა თაობებზე, დღეს იტალიაშიც კი კრიზისს განიცდის. ზეპირი ტრადიციის იშვიათ შემნახველთა რიცხვს კი, უდავოდ, ნოდარ ანდღულაძეც მიეკუთვნება, რომელიც მომღერლებთან პრაქტიკული მუშაობის გარდა, არაერთი თეორიული კვლევის ავტორია. მისი სტუდენტებისთვის მაესტროს ლექცია ინფორმაციის ზღვაა, საიდანაც მხოლოდ სიმღერისთვის თავდადებისა და უსაზღვრო მონდომების ფასად თუ ამოცურავ.

**"მე არაერთხელ შევხვედრივარ მაესტრო ანდღულაძეს,** - აღნიშნავს სუზანა გლანვილი–გრიგალაშვილი – **ჩვენ ხშირად ჩამოვდივართ და ვმუშაობთ მასთან. განსაკუთრებით, ჩემი მეუღლე, რომლის შემოქმედებაშიც მან დიდი როლი ითამაშა".**

საინტერესოა, რომ ანდღულაძის კლასთან ერთად, ირაკლი გრიგალაშვილმა სერიოზული ევროპული სკოლა გაიარა. თბილისის კონსერვატორიიდან იგი ინგლისში ჯერ გილდჰოლის, შემდეგ სამეფო მუსიკალურ სკოლაში გადავიდა სასწავლებლად. თუმცა, როგორც თვლის, ინგლისს მისთვის განსხვავებული არაფერი მიუცია. იგი კვლავ იტალიური სკოლის ერთგულია და რეპერტუარსაც ძირითადად ვერისტების და რომანტიკული სკოლის კომპოზიტორთა შემოქმედებიდან ირჩევს. წელს იგი გამოჩენილ მომღერალთან კარლო ბერგონცისთანაც სწავლობდა: **"ბერგონცი უდიდესი მუსიკოსი, პედაგოგია,** - აღნიშნავს ირაკლი - **თუმცა, ის ადამიანური სიახლოვე, რაც ბატონ ნოდართან მაკავშირებს ევროპაში თითქმის წარმოუდგენელია"**.


ირაკლი გრიგალაშვილი


სუზან გლანვილი

სუზანა გლანვილიცა და ირაკლი გრიგალაშვილიც ევროპასა და ამერიკაში თავისუფალი საკონტრაქტო სისტემით მუშაობენ. მათ მცირეწლოვანი შვილები (მაქსიმილიანი და იაკობი) ჰყავთ, რის გამოც სუზანა ბოლო დროს უფრო მოკლევადიან კონტრაქტებს არჩევს. სუზანას რეპერტუარი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია: პამინა ("ჯადოსნური ფლეიტა"), ლიზა ("პიკის ქალი"), ლუიზა მილერი, ტოსკა, ჟანა დ`არკი, მიქაელა ("კარმენი"), ფიორდალიჯი ("ასე იქცევა ყველა ქალი"), გრაფინია ("ფიგაროს ქორწინება") და სხვა. სუზანაზე არაერთი სტატია დაწერილა და მის მიერ შესრულებული პარტიების შეფასებისას "ბრიტანელი ვარსკვლავის" განსაკუთრებულ "თბილ და ძლიერ ხმას" და "დამაჯერებელ სცენიურობაზე" საუბრობენ. ამჟამად სუზანა უფრო ხშირად "ტოსკაში" ჩნდება. მომავალ წელს კი ბარსელონასა და ვაშინგტონში "დონ კარლოსითა" და "ბალმასკარადით" წარდგება.

ირაკლი გრიგალაშვილი, შეიძლება ითქვას, ახლა იწყებს კარიერას. 1998 წლამდე იგი ბარიტონის პარტიებს მღეროდა. თუმცა, მეტ წარმატებას ტენორის პარტიებით მიაღწია. იგი, ძირითადად, "ინგლისის კამერულ ოპერასთან" მუშაობს. ეს კომპანია სპექტაკლებს ევროპის სხვადასხვა თეატრებში მართავს. გარდა მნიშვნელოვანი თეატრალური გამოცდილების, იგი ფესტივალებზეც მღერის. ცოტა ხნის წინათ, იგი სამეფო ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად ჰოლანდ-პარკ ფესტივალზე გამოვიდა. 1995 წელს ჰაიმე არაგილის (ბარსელონა) კონკურსის გამარჯვებულია. გასულ წელს კი უფრო მნიშვნელოვანი, უმბერტო ჯორდანოს კონკურსის მე-2 პრემია მოიპოვა.

მიუხედავად ძალზედ დაახლოვებული რეპერტუარისა, სუზანა და ირაკლის ოჯახური წყვილი სცენაზე არცთუ ხშირად ხვდება ერთმანეთს. კონსერვატორიის დიდ დარბაზში დღევანდელ კონცერტზე კი, გარდა ვერდის, პუჩინის, ბელინის, ლეონკავალოს ცალკეული არიებისა, ისინი ორ დუეტსაც შეასრულებენ.

# მკითხველი ამ მწერალს ხელახლა აღმოაჩენს

თამარ სუხიშვილი

ერთხელ მასწავლებელს მოსწავლისთვის საყვედურით უთქვამს: "მგზავრის წერილები რატომ არ წაიკითხეო". მოსწავლეს უხუმრია: "მასწ., მე ჯენტლმენი ვარ და სხვის წერილებს არ ვკითხულობო". მაშინ ჯერ არავინ იცოდა, რომ ეს მოსწავლე ოდესმე მწერალი გახდებოდა...

რაც დრო გადის, მონატრებას უფრო მეტი ფასი ედება, - ამბობს ლაშა თაბუკაშვილი. დღეს მეგობარ-ახლობლები უკვე სევდით იგონებენ ნაადრევად წასულ მწერალს - ჯემალ თოფურიძეს. გუშინ კლუბ "სარდაფში" ჯემალ თოფურიძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. საღამოს ტრადიციული ხუთშაბათობების წამყვანი ზაალ სამადაშვილი და ლაშა თაბუკაშვილი უძღვებოდნენ.

"მე მგონი, ამ კეთილ და გულწრფელ მოთხრობებს რომ წაიკითხავ, ოდნავ უკეთესი მაინც გახდები, - ასე წარუდგინა ახალი წიგნი აუდიტორიას ზაალ სამადაშვილმა.

ჯემალ თოფურიძის პირველი მოთხრობა "ნუციკო ემხვარი" 1974 წელს დაიბეჭდა ჟურნალ "ცისკარში". აქედან მოყოლებული ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა მის მოთხრობებს. 1979 წელს გამომცემლობა "მერანმა" ჯემალ თოფურიძის მოთხრობების პირველი კრებული გამოსცა - "დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია"; 1994 წელს ჯემალ თოფურიძის მოთხრობები გამომცემლობა "საქართველომ" დასტამბა.


ლაშა თაბუკაშვილი და ზაალ სამადაშვილი "სარდაფში"

ახალი კრებული "გამოუსწორებელი" გამომცემლობა "მერანში" დაიბეჭდა. კრებული მწერლის მეუღლემ მანანა დუმბაძემ შეადგინა. მას უძღვის ანდრო ბუაჩიძის წინასიტყვაობა "თეთრი და სისხლიანი პერანგი", რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე იცნობს ლიტერატურული დამატებიდან. წიგნში 29 მოთხრობაა შესული, ძველ მოთხრობებთან ერთად აქ ხუთ გამოუქვეყნებელ მოთხრობასაც შეხვდებით.

მანანა დუმბაძე იგონებს, როცა ჯემალმა თავისი მოთხრობა "გოგია" წასაკითხად ნოდარ დუმბაძეს მისცა, ნოდარს უთქვამს: "იცი, რას გეტყვი, ეგ შენი "გოგია" პატარა შედევრია. შემშურდა კიდეც, ჩემი დაწერილი რომ არააო." ამ აღიარების შემდეგ ჯემალი თურმე სამი დღე ქეიფობდა. მერე მოთხრობა "ცისკრის" რედაქციაში წაიღო, მაგრამ მის გამოქვეყნებას ველარ მოესწრო...

მე ვფიქრობ, დღეს ქართველი მკითხველი ამ მწერალს ხელახლა აღმოაჩენსო, - თქვა ანდრო ბუაჩიძემ. ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ გუშინ "გამოუსწორებელის" პრეზენტაციაზე ჯემალ თოფურიძის ნაცნობ-მეგობრებთან ერთად ბევრი უცნობი მკითხველიც, მათ შორის ბევრი "გამოუსწორებელი" ახალგაზრდა მოვიდა, მოვიდნენ და მაშინვე ჩარგეს თავი ახალ წიგნში.

# კაკი საქართველოში

## "ჯეოსელისა" და ქართველი მხატვრების აქცია მცხეთაში

ვერა ნეფარიძე

კვირას მცხეთაში ხეებს დარგავენ. აქციის ორგანიზატორები არიან ქართველი მხატვრები, კომპანია "ჯეოსელი" და ძეგვის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. ეს არ არის "მწვანე აქცია", რომელსაც კომპანია "ჯეოსელი" მესამე წელიწადია აწყობს. კაკის ხის დარგვის პროექტი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში დიდი ხანია ხორციელდება, საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში კი – პირველად. ჩვენში მისი დამკვიდრების იდეა მხატვარ მამუკა ჯაფარიძეს ეკუთვნის.

კაკი (kaki deospyros, ქართულად ხურმა) 1945 წელს ნაგასაკის დაბომბვის ეპიცენტრში გადარჩენილი ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია. გადარჩენილ ნარგავს მიაგნო და უმკურნალა დოქტორმა მასაიუკი ებინუმამ და მისი გამრავლება გადაწყვიტა. 1996 წელს მხატვარმა ტაციუ მაიაჯიმამ ბავშვებთან ერთად დარგო ხის მეორე თაობის ნერგები. წორედ აქედან იღებს სათავეს კაკის ხის დარგვის ცერემონიალიც. ნაგასაკიში არსებობს კიდეც "გადარჩენილი დრო კაკის ხის კომიტეტი", რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში მხატვრების დახმარებით აგრძელებს ხის დარგვის ტრადიციას. ამ ტრადიციის საქართველოში დამკვიდრების სურვილი გამორჩეული აქციებით ცნობილ მხატვარს, მამუკა ჯაფარიძეს გაუჩნდა. ამ პროექტს მხატვარი ოთხი წლის წინათ ვენეციის ბიენალეზე ყოფნისას გაეცნო და შარშან კაკის ხის კომიტეტს განცხადებით მიმართა, გამოეგზავნათ რამდენიმე ნერგი საქართველოში. წელს მხატვარმა იაპონიიდან კაკის ორი ნერგი მიიღო; ქართული თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტში კი არსებობს კაკის ხის დარგვის საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პროექტზე აქტიურად მუშაობს.

გუშინ საინიციატივო ჯგუფის წევრები მცხეთაში კვირას დაგეგმილი აქციის სამზადისში იყვნენ. საქმე ისაა, რომ, ტრადიციისამებრ, ამ პროექტის განხორციელება მხოლოდ ბავშვებთან ერთადაა მიზანშეწონილი. იაპონელები საქართველოში ხის ნერგების გამოგზავნას იმ პირობით დათანხმდნენ, თუ ინიციატორები მათ ბავშვებთან ერთად დარგავდნენ. მხატვარმა მამუკა ჯაფარიძემ გვითხრა, რომ მან არჩევანი ძეგვის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე შეაჩერა, რადგან იქაური სიტუაცია მისთვის მახლობელია; ხეების დარგვის ადგილად კი მცხეთა და მის ახლოს მდებარე სოფელი კარსანი შეირჩა. ამ არჩევანს ორგანიზატორები სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ – მცხეთაში ხომ ხე მნიშვნელოვანი სიმბოლოა; გავიხსენოთ, თუნდაც, სვეტიცხოვლის ისტორია ან ბაღი, სადაც წმინდა ნინო მებაღემ შეიფარა და ა.შ. "იმედი გვაქვს, რომ ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, კაკის ხე ომსა და ნგრევაზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლოდ ჩვენშიც იქცევა", - ამბობენ აქციის ორგანიზატორები.

კაკის გარდა, კვირას მცხეთასთან ახლოს, "ბაგინეთთან" (სოფელ კარსანის გადასახვევთან) აქციის მონაწილეები ადგილობრივი ენდემური ხურმის სამასამდე ნერგს დარგავენ. "რამდენიმე წელიწადში ეს ადგილი გადაიქცევა ოქროსფერ ბაღად, სადაც ადამიანები და ფრინველები სიცოცხლეს იზეიმებენ", - ვარაუდობენ ორგანიზატორები. ვინც მამუკა ჯაფარიძის აქციების მრავალწლიან გამოცდილებას იცნობს, ყველა აღნიშნავს, რომ ყველაზე მოწესრიგებული კაკის ხის დარგვის პროექტია, რაც, თავისთავად, კომპანია "ჯეოსელის" დამსახურებაცაა: ორგანიზატორებს არ უწევთ ათას წვრილმანზე სირბილი და პრობლემებთან ჭიდილი; ისინი უფრო პროექტის შემოქმედებით მხარეზე ზრუნავენ - მაგალითად, გამოფენაზე, რომელსაც ქართველი მხატვრები კვირას ძეგვის აღსაზრდელებთან ერთად წარუდგენენ მცხეთის აქციის მონაწილეებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# შტეფან ეფენბერგს გამოსათხოვარი მატჩის გამართვა სურს



*შტეფან ეფენბერგი*

ნინო პირველი

"ვოლფსბურგიდან" წასვლის შემდეგ ძალიან კი იმუქრებოდა "ბაიერნის" ექს-კაპიტანი შტეფან ეფენბერგი, ბუნდესლიგაში აღარასოდეს ვითამაშებო, მაგრამ, როგორც ახლახან გაირკვა, გერმანელმა ფეხბურთის მოყვარულებმა, შესაძლოა, "ეფე" კიდევ ერთხელ იხილონ სტადიონზე და კატარში გადასვლამდე გამოსათხოვარი ავტოგრაფებიც ჩამოართვან "ბაიერნის" ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ ვარსკვლავს.

საქმე ის გახლავთ, რომ ეფენბერგს არ უნდა, კარიერა ასე შეუმჩნევლად დაასრულოს და გამოსამშვიდობებელი მატჩის მოწყობა განიზრახა. "ბაიერნის" ექს-კაპიტანი იმდენად პატივმოყვარეა, რომ, პირადი უსიამოვნებების მიუხედავად, სურს, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს თავი. შესაძლოა, ეფენბერგმა კიდევ ერთ სკანდალს გამოჰკრას ხელი - ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარ მატჩთან დაკავშირებული ფინანსური სკანდალი ხომ ახლაც გრძელდება...

სად უნდა გაიმართოს ეს მატჩი? ვოლფსბურგში ნამდვილად არა. "ეფემ" თავის ბოლო ბუნდესლიგურ კლუბში ერთი სეზონიც კი ვერ გაძლო - მთავარ მწვრთნელთან უთანხმოების გამო ვადაზე ადრე გაიქცა გუნდიდან. ალბათ, არც მიუნხენში, მიუხედავად იმისა, რომ შტეფან ეფენბერგი თავის დროზე ბავარიული კლუბის კაპიტანი იყო და კარიერის საუკეთესო წლებიც ამ გუნდში გაატარა. "ბაიერნის" ბოსებმა ხომ ეფენბერგი თითქმის გააგდეს გუნდიდან "პლეი ბოიში" გამოქვეყნებული დაუფიქრებელი ინტერვიუს გამო...

ამ ორი კლუბის გამორიცხვის შემდეგ რჩება ერთადერთი გუნდი, რომელშიც "ეფე" თამაშობდა და რომლის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი არ მოსვლია - ეს გახლავთ მიონხენგლადბახის "ბორუსია", რომელშიც ეფენბერგმა თავისი სკანდალური კარიერა დაიწყო. გამოსათხოვარი მატჩის გამართვა ფეხბურთელს სწორედ გლადბახის ბიოკელბერგის სტადიონზე სურს.

"მატჩის ჩატარება მომავალი სეზონის ბოლოსთვის მაქვს განზრახული. მინდა, რომ შეხვედრა გლადბახში გაიმართოს, "ბორუსია" ხომ ჩემი პირველი კლუბი იყო. ამ გუნდის ხელმძღვანელობასთან და ფანებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს", - აღნიშნა "ეფემ". "ბორუსია" ნამდვილად ბედნიერი გამონაკლისია. ეს ერთადერთი კლუბია, რომლიდანაც ეფენბერგი უჩხუბრად წავიდა. ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, ნაკლებად ცნობილი და დიდება თავში არ ჰქონდა ავარდნილი. "ბაიერნში" გადასვლის შემდეგ კი "ეფეს" ჭირვეულობას საზღვარი არ ჰქონდა...

ამჟამად ეფენბერგი ფლორიდაშია კლაუდია შტრუნცთან ერთად, რომელიც დიდ გაწამაწიაშია ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებული პრობლემების გამო. კლაუდია თომას შტრუნცს ბრალდებას უყენებს, ბავშვებზე საერთოდ არ ზრუნავს და მათთვის ფული არ ემეტებაო. კლაუდია გაყრის პროცესის წამოწყებას აპირებს და წინასწარ იცის, რომ შტრუნცის სიჯიუტის გამო სასამართლოში ნერვიულობა და უსიამოვნება არ ასცდება.

"ეფე" კი მაიამის მცხუნვარე მზით ტკბება. "ბაიერნის" ექს-კაპიტანი ჯერ კიდევ ფრანკფურტის აეროპორტში ოცნებობდა იმ წუთზე, როცა ფლორიდაში ჩაფრინდებოდა და თავის სამ შვილს გადაეხვეოდა. როგორც იქნა, თავისუფლად ამოვისუნთქე და თავს ბედნიერად ვგრძნობო, - ამბობდა "ეფე" "ვოლფსბურგიდან" წასვლის შემდეგ. ამერიკაში მას ახლა ველარავინ შეაწუხებს. შეუძლია, მშვიდად ისეირნოს მაიამის ქუჩებში და თან კატარში გადასვლის პერსპექტივაზე იფიქროს. იმის მიუხედავად, რომ დოჰაში "ეფეს" მილიონები ელოდება, 34 წლის ფეხბურთელს ჯერაც არ მიუღია გადაწყვეტილება აზიაში წასვლის შესახებ. კატარის ემირს ეფენბერგი სულ მალე აცნობებს, წავა თუ არა "ნავთობის სამოთხეში"...

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 30 წლის წინათ...



1973 წლის 20 ოქტომბერი. რომი.
იტალიის ნაკრების ფეხბურთელები
სანდრო მაცოლა და ჯანი რივერა.

# სათასო ლოგიკა: ნახევარფინალები იერარქიის მკაცრი დაცვით

მიხეილ აბაიშვილი

*დავით ყიფიანის თასის გუშინ გამართულმა განმეორებითმა მეოთხედფინალურმა მატჩებმა დაადასტურა, რომ დანარჩენ ევროპაში სათასო ტურნირისთვის დამახასიათებელი მოულოდნელობის ეფექტი საქართველოსგან შორსაა. ნახევარფინალში გავიდნენ გუნდები, რომლებიც ქართული საკლუბო ფეხბურთის იერარქიაში ზედა საფეხურებზე არიან. თავად განსაჯეთ: "დინამო", "ლოკომოტივი", "ტორპედო" და "სიონი" ის გუნდებია, რომლებიც ჩემპიონატში პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებს იკავებენ. სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მყოფი "ვიტ ჯორჯია" მხოლოდ იმიტომ ვერ მოხვდა ამ კვარტეტში, რომ მას მეოთხედფინალში ჩემპიონატის ლიდერთან, "დინამოსთან" მოუხდა ურთიერთობის გარკვევა.*

დავით ყიფიანის თასი
**განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| *"ვიტ ჯორჯია" - "დინამო"* | *1:1* | *(0:1)* |
| *"დილა" - "ტორპედო"* | *0:2* | *(0:1)* |
| *"სპარტაკი" - "სიონი"* | *1:2* | *(0:3)* |
| *"მილანი" - "ლოკომოტივი"* | *1:1* | *(0:0)* |

ოთხ მეოთხედფინალურ წყვილს შორის ეს ერთადერთი ძნელად პროგნოზირებადი წყვილი იყო. ბოლო წლების განმავლობაში ამ ორი გუნდის დაპირისპირებამ განსაკუთრებული ინტრიგა და ინტერესი შეიძინა. საკმარისია ითქვას, რომ ქართული ფეხბურთის გამოკვეთილმა ლიდერმა, "დინამომ", "ვიტ ჯორჯიასთან" ბოლო 12 შეხვედრაში (გუშინდელის გარდა) მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვა და 2 გამარჯვება 2003 წელზე მოდის. "ვიტ ჯორჯია" ერთადერთი გუნდია საქართველოში, ვინც "დინამოს" ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 6 შესაძლებლიდან 5 ქულა დააკარგვინა. თუ პირველ მეოთხედფინალურ თამაშსაც გავიხსენებთ, მართალია, "დინამომ" გაიმარჯვა, მაგრამ მინიმალური ანგარიშით - 1:0 (გოლი კარლოს და როჩამ გაიტანა) და განმეორებითი მატჩის წინ ამ შედეგმა მრავალი კითხვის ნიშანი დატოვა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრის განაცხადში დებულების დარღვევით ფეხბურთელის შეყვანისთვის, "ვიტ ჯორჯიას" საჩივრის საფუძველზე სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა კინაღამ გააუქმა მატჩის შედეგი და "დინამოს" წაგება ჩათვალა. საბოლოოდ, საქმეში უეფა ჩაერია და, მართალია, შედეგი უცვლელად დატოვა, მაგრამ გუნდი 1000 ლარით დააჯარიმა.

აი, ასეთი პრეისტორია ჰქონდა მატჩს, რომელიც, ყველაფერთან ერთად, ივო შუშაკისთვის სადებიუტო იყო ეროვნული ნაკრების მწვრთნელის რანგში. ამით იმის თქმა მინდა, რომ, მართალია, გუშინ ნაკრები არაფერ შუაში იყო, მაგრამ შუშაკის ახალ პოსტზე დანიშვნის დღიდან მისი კლუბის თითოეული თამაშის მიმართ ყურადღება გაათკეცებულია.

მატჩი, რომელიც "შევარდენის" სტადიონზე გაიმართა, წინა შეხვედრის შედეგიდან გამომდინარე, მასპინძლებს აქტიური მოქმედებებისკენ უბიძგებდა. "ვიტ ჯორჯია" დებიუტშივე შეეცადა, უპირატესობა მოეპოვებინა და წარმატებასაც მიაღწია. მართალია, "დინამოს" ნახევარდაცვას მოედნის ცენტრისთვის ბრძოლა არ წაუგია, მაგრამ როდესაც ვიტელები ფართომასშტაბიან შეტევაზე გადადიოდნენ, ჩემპიონატის ლიდერს უჭირდა მეტოქის თავდამსხმელთა შეჩერება. განსაკუთრებით სახიფათო იყო მასპინძელთა ფლანგური შეტევები, რასაც მე-20 წუთზე გოლი მოყვა კიდეც: შეტევის მარჯვენა ფლანგიდან კობიაშვილის ჩაწოდების შემდეგ "დინამოს" საჯარიმო მოედნის მისადგომთან ბურთი მიიღო ადამიამ, რომელმაც ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა ხიზანეიშვილი და კარგი გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა მელქაძე. მას ბურთის გატანა არ გასჭირვებია.

მიღებული გოლის შემდეგ, წესით, დინამოელები უნდა გააქტიურებულიყვნენ, მაგრამ იტალიელი ჯანი კარნევალეს მიერ გაწვრთნილმა ვეტერინარებმა პირველი ტაიმის დარჩენილ დროში, პრაქტიკულად, უშეცდომოდ ითამაშეს. მათ საკუთარ კართან მეტოქეს ერთი, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც კი არ შეაქმნევინეს, კონტრთამაშიც კარგად გამოსდიოდათ და გვარამაძის კარს ერთი-ორჯერ სახიფათოდ დაემუქრნენ.

მოგეხსენებათ, კარგი მწვრთნელი თამაშს მეორე ტაიმში იგებს. ამ მატჩში შუშაკმა დაამტკიცა, რომ ფედერაცია ნაკრების, თუნდაც დროებითი მწვრთნელის შერჩევისას არ შემცდარა. შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა "დინამო" გამოვიდა. მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე შუშაკის შეგირდებმა ხელთ იგდეს უპირატესობა. თუ პირველ ტაიმში მირზა მერლანს საქმე თითქმის არ ჰქონია, 46-ე წუთიდან იგი, თავისი გუნდის მცველებთან ერთად, თამაშის აქტიური მონაწილე გახდა. ამის მიუხედავად, "ვიტ ჯორჯია" თითქმის ძირითადი დროის დასრულებამდე წარმატებით უმკლავდებოდა დინამოელთა მოძალებას და, რომ არა კარლოს და როჩა, მეოთხედფინალის ოვერტაიმში გადაყვანასაც მოახერხებდა. სწორედ და როჩა გახლავთ ამ მატჩის გმირიც და, უდავოდ, საუკეთესო ფეხბურთელიც. იმ დროს, როცა თამაში არ წაუვიდათ დინამოელ თავდამსხმელებს ალექსიძეს, დარასელიას და მიქაძეს, მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და, გარდა იმისა, რომ მთელ რიგ ეპიზოდებში "დინამოს" იერიშების საკვანძო ფიგურა იყო, სწორედ მან მოუპოვა თავის გუნდს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება. ეს მოხდა მე-80 წუთზე. მას შემდეგ, რაც ანჩაბაძემ პენალტი გოლად აქცია, ნათელი გახდა, რომ ნახევარფინალში "დინამო" გავიდოდა, რადგან დარჩენილ 10 წუთში დემორალიზებული "ვიტ ჯორჯია" 2 გოლის გამტანი არ იყო. ასეც მოხდა: მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა, რამაც "დინამოს" ნახევარფინალისკენ გზა გაუკაფა.

ნახევარფინალების წილისყრა დღეს გაიმართება.

# რობერტო კარლოსი: „მე გავიზარდე, შევიცვალე და იმდენი რამ მოვიგე"

## ბრაზილიელ ვარსკვლავს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა

*10 აპრილს ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" მცველს, რობერტო კარლოსს, 30 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც რობერტო კარლოსი თავისი ასაკის, წარსულისა და მომავალი გეგმების შესახებ საუბრობს.*

**- გილოცავთ დაბადების დღეს!**

- უღრმესი მადლობა.

**- 30 წელი. ცოტა არ იყოს, სოლიდური ასაკია ფეხბურთელისთვის. არა?**

- სოლიდური ასაკი? ეს არაფერს ნიშნავს. ახლა კარიერის საუკეთესო პერიოდი მაქვს და უკანასკნელ მატჩებში ამის დამტკიცებას ვცდილობ. ვფიქრობ, "მანჩესტერის" წინააღმდეგ ჩემი თამაშით დარწმუნდებოდით, რომ ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

**- დავუშვათ, ასეა, მაგრამ ამ ასაკში, ალბათ, მაინც უნდა იფიქროთ იმაზე, რომ ოდესმე კარიერას დაასრულებთ.**

- ვნახოთ. ფეხბურთის თამაშს 37 წლამდე ვაპირებ. ფეხები კარგად მემორჩილება და ასაკს საერთოდ ვერ ვგრძნობ. დამიჯერეთ.

**- ესე იგი, "რეალთან" კონტრაქტს გააგრძელებ და ფეხბურთს თეთრი მაისურით დაემშვიდობები?**

- ყოველთვის ვამბობდი, რომ მინდა, კარიერა "რეალში" დავასრულო. თუ კლუბის სურვილი ჩემსას დაემთხვევა, ასეც მოვიქცევი. თეთრ მაისურაში ყოველთვის ყველაფერი კარგად გამომდიოდა.

**- რას გაჩუქებენ ოჯახის წევრები დაბადების დღეზე?**

- ჯერ არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ სიურპრიზი მელის.

**- საუკეთესო საჩუქარი "ოლდ ტრაფორდზე" გამარჯვება ხომ არ იქნება?**

- იქამდე დიდი დროა. ნახევარფინალის საგზურისთვის ფრეც ხელს გვაძლევს. ჩვენ შეგვიძლია, მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. საამისოდ კი განმეორებით მატჩშიც ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც "ბერნაბეუზე".



*რობერტო კარლოსი*

REUTERS

**- დავუბრუნდეთ თქვენს იუბილეს. რა დაემართა იმ ბიჭუნას, რომელიც 7 წლის წინათ მადრიდში გადმობარგდა?**

- მე გავიზარდე, შევიცვალე და იმდენი რამ მოვიგე, რომ ჩემი სპორტული კარიერით ძალიან ვამაყობ. ახლა უკვე ვეტერანი ვარ, კაპიტნების ჯგუფს ვეკუთვნი და ვიცი, რომ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის მაგალითად ვიქეცი. ასე რომ, ძალიან მიყვარს რჩევების მიცემა, მაგრამ არა კრიტიკის, არამედ სწავლების მიზნით.

**- გულახდილად თქვი, იფიქრებდი, რომ ამდენ ხანს ითამაშებდი "რეალში"?**

- მართალი გითხრათ, არა. არასოდეს მიფიქრია, რომ საქმეები ასე კარგად წავიდოდა. ვერ წარმომედგინა, რომ მადრიდში ამდენ წარმატებას მივაღწევდი. თავს ბედნიერად ვგრძნობ. მე ვარ პატივსაცემი ფეხბურთელი, რომელიც ჩანს საფეხბურთო მოედანზე, მას სცნობენ ქუჩაში, მაღაზიაში, კინოში...

**- რას ჩაიფიქრებ, როცა შენს საიუბილეო ტორტზე სანთლებს ჩააქრობ?**

- მე არ ვარ ეგოისტი. თითქმის ყველაფერი მაქვს: მოსიყვარულე ოჯახი, სამსახური, რომელიც ძალიან მომწონს. ერთი სიტყვით, ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, რომ მალე დამთავრდეს ომი, დაბრუნდეს მშვიდობა. მთავარი ეს არის.

**- როგორ შეაფასებდი "რეალის" გამოსვლას მიმდინარე სეზონში?**

- ყველაფერი ჩვეულებრივად არის. ბევრს ეგონა, რომ წლეულს ჩვენ არ ვიქნებოდით ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები, მაგრამ "რეალმა" ყველას აჩვენა, რომ ის ამ ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ჩვენ ჩემპიონთა ლიგისა და ესპანეთის ჩემპიონატის მოგებაც შეგვიძლია. თუ მთელი ძალით ვიბრძოლებთ, არ შეიძლება, ამ წარმატებებს ვერ მივაღწიოთ.

**- იქნებ მომავალ კვირას "ანოეტაზე"** ***("რეალ სოსიედადის" სტადიონი. - რედ.)*** **გატანილი გოლით გაგვახარო?**

- (იღიმება) შესაძლოა. ძალიან ვეცდები. თუმცა, ჯობს, "ოლდ ტრაფორდზე" გავიტანო გოლი. არა?

# მაგის რაინდობა სად თქმულა?..

## სერ ალექსს უბრალო ალექსად გადაქცევით ემუქრებიან

რაც დრო გადის, ალექს ფერგიუსონის ავტორიტეტი საფეხბურთო სამყაროში მით უფრო ეცემა. ბოლო ხანს "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, რბილად რომ ვთქვათ, რაინდის ტიტულის მქონე ადამიანისთვის შეუფერებლად იქცევა. ყველაფერი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის კრიტიკით დაიწყო. ფერგიუსონმა ინგლისური ფეხბურთის დიდმოხელეებს ბრალად დასდო ის, რომ ისინი მონაწილეობენ ფარულ გარიგებაში "მანჩესტერის" წინააღმდეგ, რომელიც ინგლისური ფეხბურთის ოლიმპიდან "მანჩესტერის" ჩამოგდებას ისახავდა მიზნად. მაშინ ფერგიუსონის განცხადება სერიოზულად არავინ აღიქვა. ასოციაციის ხელმძღვანელობაც უბრალო განცხადებით შემოიფარგლა: ჩანს, სერ ალექსი ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა. იმედი გვაქვს, ყველაფერში თავად გაერკვევაო.

ამის შემდეგ საქვეყნო განსჯის საგნად იქცა ფერგიუსონის საქციელი, როცა "არსენალთან" წაგებული თასის ნახევარფინალის შემდეგ დევიდ ბექჰემს ბუცი ესროლა. მაშინ ითქვა, რომ ფერგიუსონი რაინდის ტიტულის ტარების ღირსი არ იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მავანნი ფერგიუსონისთვის მწვრთნელის ლიცენზიის ჩამორთმევაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა, ისიც ნათელი იყო, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას ვერავინ გაბედავდა.



*სერ ალექს ფერგიუსონი*

REUTERS

რამდენიმე დღის წინ სერ ალექსმა ისევ გამოიჩინა თავი: უეფა "მანჩესტერის" წინააღმდეგ მოქმედებს და ლიგის მეოთხედფინალში "რეალსაც" სპეციალურად შეგვახვედრესო, - განაცხადა. ტიტულიანი და ავტორიტეტული მწვრთნელის მიმართ კვლავ ლმობიერება გამოიჩინეს – უეფამ მხოლოდ საქციელი დაუწუნა ფერგიუსონს, რამაც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს აღმასკომის ზოგიერთი წევრის უკმაყოფილება გამოიწვია. ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის ფრიდრიხ შტიკლერის თქმით, ფერგიუსონის საქციელი უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება: "აბსოლუტური ნონსენსია, რომ რაინდის ტიტულის მფლობელი პიროვნება ასეთ განცხადებებს აკეთებს. სერ ალექსი ცდილობს, თავისი წარუმატებლობები სხვას გადააბრალოს. აბა, ეგ რაინდული საქციელია?! ვფიქრობ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ მას ტიტული უნდა ჩამოართვას. მე არ ვიცი, როგორია პროცედურა, მაგრამ აუცილებლად გავესაუბრები ჩემს ადვოკატებს და ამ საკითხს უეჭველად დავაყენებ".

ოლიმპიზმი

# ათენი, პარიზი და აჩქარებული ტემპი

გიგა გურასაშვილი

*მოახლოებულ ათენის ოლიმპიურ თამაშებთან, მეტადრე, წლეულს, ზაფხულში, პარიზში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (სეოკ) პრესკონფერენცია მოეწყო. იგი ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებისთვის მზადებას მიეძღვნა. მზადება კი, თურმე, გაცილებით უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე ეს წინა ოლიმპიური ციკლისას იყო.*



ჯანო ბაგრატიონი და ემზარ ზენაიშვილი

სეოკ-ში სტუმრად მისულ ჟურნალისტებს გვაცნობეს, რომ ოლიმპიელთა მზადებასთან დაკავშირებით აშკარა პროგრესია. ყველა იმ სახეობაში, რომელიც ქართული სპორტის გამწევ ძალად ითვლება, არ ჩავარდნიათ შეკრებები, ესა თუ ის საერთაშორისო ასპარეზობა. ყველაფერ ამაში კი, როგორც სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა აღნიშნა, ლომის წილი მიუძღვის "ოლიმპიურ ფონდს", რომლის წყალობითაც სპორტულმა ფედერაციებმა ფინანსურად აშკარა შვება იგრძნეს. ამ მხრივ, ყურადღება, რა თქმა უნდა, საჭიდაო სახეობებზე (ძიუდო, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი) იყო გამახვილებული. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, გამოკვეთილია ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდის წევრთა სავარაუდო რაოდენობა. ათენშიც იმდენ სპორტსმენს წავიყვანთ, რამდენიც ატლანტასა და სიდნეიში გვყავდა (36-36). თუმცა, ერთით მეტი თუ ნაკლები, ალბათ, გადამწყვეტი არ იქნება, მაგრამ აქედანვე ცნობილია, რომ ძირითადი ძალა კვლავაც საჭიდაო სახეობებზე მოვა. ამასთან, სეოკ-ში იმედი აქვთ, რომ თითოეული ფედერაცია ათენში სრული გუნდით წავა. ანუ, ასე ვთქვათ, ათვისებული იქნება შვიდივე წონა. ჯანო ბაგრატიონისა და სეოკ-ის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის ვარაუდით, 2004 წლის უმთავრეს ასპარეზობებზე ქართველ ოლიმპიელთა შორის იქნებიან ძალოსნები, ტყვიის მსროლელები, მშვილდოსნები, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლები, ბატუტზე მხტომელები. გამორიცხული არ არის, სპორტსმენები გვყავდეს ჩოგბურთში, აფროსნობაში, ხუთჭიდსა და მძლეოსნობაში. რაც შეეხება იმას, თუ რამდენ მედალს მოვიპოვებთ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ გვეყოლება 10-12 სპორტსმენი, რომლებსაც მედლებისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

დავინტერესდით იმითაც, თუ ვინ შემოსავს საქართველოს დელეგაციას. როგორც ემზარ ზენაიშვილმა გვითხრა, კვლავაც მიმდინარეობს მოლაპარაკება იაპონურ ფირმა "მიზუნოსთან" და ფრანგულ "პიერ ბალმონთან". გეხსომებათ, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაცია სწორედ ამ ფირმების ნაწარმით იყო შემოსილი. "მიზუნომ" სპორტული ტანისამოსი შემოგვთავაზა, "პიერ ბალმონმა" კი ქართველი ოლიმპიელები საადლუმოდ გამოაწყო. ამ ფირმების გარდა, მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩინურ "ანტას ჯგუფთან" და ინგლისურ "ტაკა და ნაკასთან". ინგლისურ ფირმას სათავეში უდგანან ცნობილი ქართველი ჟურნალისტის მიხეილ სურგულაძის ქალიშვილები, ტყუპები ნატო და თაკო. კარგა ხანია, რაც ისინი ევროპაში მოღვაწეობენ - წარმატებები აქვთ როგორც ლონდონში, ისე პარიზსა და მილანში. ასე რომ, გამორიცხული არ არის, საქართველოს დელეგაციის ჩაცმულობაზე სწორედ მათმა ფირმამ იზრუნოს. სეოკ-ის დიდი სურვილი, ოლიმპიელთა ჩაცმულობაზე ქართულ კომპანიას ან ფირმას ეზრუნა, განუხორციელებელი დარჩა. ემზარ ზენაიშვილმა სინანულით აღნიშნა: სეოკ-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსს ქართველთაგან არავინ გამოხმაურებია. ამიტომ იძულებული გავხდით, ისევ უცხოური ფირმებისთვის მიგვემართაო.

ორიოდე სიტყვა დელეგაციის ოფიციალურ გადამყვანზეც ითქვა. სეოკ-ს ძალიან უნდა, რომ ეს იყოს "აირზენა", მით უმეტეს, რომ თავად ავიაკომპანიასაც ასეთივე სურვილი აქვს.

დასასრულ, ევროპის VII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსაც შეეხნენ. ფესტივალს (26 ივლისი - 2 აგვისტო) პარიზი უმასპინძლებს. კონტინენტის 48 დელეგაციას შორის საქართველოს გუნდიც იქნება. როგორც სეოკ-ის სპორტულმა დირექტორმა და მისიის ხელმძღვანელმა კოტე ღლონტმა გვითხრა, საფრანგეთის დედაქალაქში ასპარეზობები სპორტის 10 სახეობაში გაიმართება, აქედან ოთხი - სათამაშო სახეობებში. ქართველი ახალგაზრდები მხოლოდ ოთხ ინდივიდუალურ სახეობაში - ველოსპორტში (2 ბიჭი), ტანვარჯიშში (2 გოგო), ძიუდოში (8 ბიჭი) და მძლეოსნობაში (2 გოგო, 2 ბიჭი) მოსინჯავენ ძალებს. რაც შეეხება პერსპექტივას, მედლებისთვის პარიზშიც ვიბრძოლებთ. ანალოგიურ თამაშებზე მონაწილეობის საკმაო გამოცდილებაც გვაქვს და მედლების რაოდენობაც - 24. დელეგაციაში 28 კაცი იქნება.

ახალგაზრდულ ფესტივალს დაესწრებიან საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი. საგულისხმოა, რომ აქამდე ფესტივალს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები ერქვა. საზაფხულო ღონისძიებას კი რატომღაც სახელი შეუცვალეს.

რაგბი

# საქართველოს რუსეთის ჩემპიონი ეწვევა

პაატა თოთაძე

სანამ საფრანგეთში დაწყებულ ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე A ჯგუფის მატჩები გაიმართებოდა, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეოთხედფინალისტების გარკვევა დაიწყეს B ჯგუფის მონაწილეებმა. ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე B ჯგუფის ფავორიტებად ჩილეს, პორტუგალიისა და ურუგვაის ნაკრებებს ასახელებდნენ. ჯერჯერობით ფავორიტები ამართლებენ მათზე გაცემულ ავანსებს - ურუგვაიმ ჰონ-კონგი დაამარცხა - 47:0, პორტუგალიამ პოლონეთის ნაკრებს სძლია - 34:15, ჩილემ კი ჩეხეთს - 54:0. ამათ გარდა, კიდევ ხუთი მატჩი გაიმართა, რომლებშიც მეოთხედფინალის დარჩენილი ხუთი მონაწილის ვინაობაც გაცხადდა: უკრაინა - გერმანია 5:13, ტუნისი - ლიტვა 32:19, ესპანეთი - კოტ დივუარი 72:0, პარაგვაი - მაროკო 17:6, აშშ - ბელგია 3:16.

რაც შეეხება ქართულ ამბებს, აპრილის ბოლოდან საქართველოს რაგბის კავშირი ქვეყნის თასის გათამაშების დაწყებას გეგმავს. გეგმავს, რადგან განაცხადი ჯერ ყველა კლუბს არა აქვს წარმოდგენილი. ცხადია, არც ტურნირში მონაწილეთა ვინაობაა სრულად ცნობილი. ამის მიუხედავად, კავშირმა უკვე დაადგინა გათამაშების ფორმატი, თუმცა, ზოგიერთი საკითხი ისევ გადასაჭრელია. გადაწყვეტილია, რომ უმაღლესი და პირველი ლიგის თორმეტი გუნდი (ყველას მონაწილეობის შემთხვევაში) ოთხ ჯგუფში გადანაწილდება, რომელთაგან შემდგომ ეტაპზე პირველ-მეორე ადგილების მფლობელნი გავლენ. ეს კი გარკვეულია, მაგრამ შემდეგ როგორ დაწყვილდებიან გუნდები, ჯერ უცნობია. გამოსავალი ორია: ან კენჭისყრა, ან ბადის შედგენა. ამას კავშირი უახლოეს მომავალში დაადგენს. მთავარია, გუნდებმა განაცხადი დროულად წარადგინონ. თუ ეს არ მოხერხდა, შესაძლოა, ტურნირის დაწყება მაისის პირველი რიცხვებისთვის გადაიდოს. გათამაშების თარიღის გადაწევა შეიძლება იმანაც განაპირობოს, რომ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს რუსეთის ჩემპიონი "ენისეი-სტმ". ახლა კრასნოიარსკელები შეკრებაზე არიან კვიპროსში, სადაც, სავარაუდოდ, 20 აპრილამდე დარჩებიან, 21-ში კი საქართველოს ეწვევიან. დასაზუსტებელია მათი განთავსებისა და მათთან თამაშის საკითხებიც. ჯერჯერობით სამი მატჩის გამართვაა ნავარაუდევი - თბილისის ნაკრებთან, ქუთაისის "აიასთან" და ბათუმის "დათვებთან", თუმცა, გეგმა, შესაძლოა, შეიცვალოს. არც ისაა ცნობილი, მატჩები სად გაიმართება. ბათუმელთა ამბავი გარკვეულია - ისინი ზღვისპირეთში უმასპინძლებენ მეტოქეს. სავარაუდოდ, ქუთაისში ითამაშებს "აია". თბილისელთა ამბავი კი გაურკვეველია. შესაძლოა, ბათუმში შეხვდნენ რუსეთის ჩემპიონს, თუმცა, არც თბილისში თამაშია გამორიცხული.



"ყოჩები" - "ენისეი". მატჩის მომენტი

ბოლო პერიოდში ეს რუსეთის ჩემპიონის მეორე ვიზიტია საქართველოში. პირველად "ენისეი-სტმ" ჩვენს ქვეყანაში სამი წლის წინათ იყო (ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე). მაშინ კრასნოიარსკელებმა თბილისის "ყოჩები", ფინალში კი თბილისის "ლოკომოტივი" დაამარცხეს. სწორედ მაშინ მოეწონა კრასნოიარსკელთა მწვრთნელს ალექსანდრ პერვუხინს რატი ურუშაძე და თავის გუნდში წაიყვანა. არც შემცდარა - რატი გუნდის ლიდერად და რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა. შესაძლოა, ახლაც მსგავსი რამ მოხდეს და რომელიმე ქართველი მორაგბის მომავალ ნავსაყუდელად კრასნოიარსკი იქცეს. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი აქვს ალექსანდრ პერვუხინს, რომელმაც განაცხადა: იგორ ბუდნიკოვის, რომან შელეპკოვისა და მიხაილ გარანინის წასვლის შემდეგ, "ენისეის" ქვეყნის ჩემპიონობისთვის ბრძოლა რომ არ გაუჭირდეს, შემადგენლობა რამდენიმე მობურთალით უნდა გავაძლიეროთ. ასეთები კი საქართველოში მოიძებნებიანო.

საფრანგეთში მიმდინარე ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გუშინ პირველი მატჩი გამართა საქართველოს ნაკრებმა. ბორჯღალოსანთა მეტოქე, ისევე როგორც შარშან, უელსის ეროვნული გუნდი იყო. მაშინაც და ახლაც მატჩი ჩვენი მეტოქის გამარჯვებით დასრულდა - 24:7 უელსელებმა, შარშანდელის მსგავსად, ქართველებს ამჯერადაც მოუსპეს მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრის შანსი.

კალათბურთი

# ნამდვილი მამაკაცებისა და სწორი გადაწყვეტილებების დრო

ამერიკულმა ტელევიზიამ უკვე დაიწყო NBA-ის პლეი-ოფების რეკლამირება. დადგა ნამდვილი მამაკაცებისა და სწორი გადაწყვეტილებების დრო - მიაჩნიათ ამერიკელებს. არგუმენტებად აღარ გამოდგება: "ნახევარი გუნდი ავად გვყავდა და ამიტომ წავაგეთ" ან "გაზაფხულამდე ჯერ კიდევ შორია" და სხვა. მორჩა და გათავდა! გაზაფხული დადგა. ეს კი ნიშნავს, რომ, ცოტაც და, ვნახავთ იმას, რასაც მთელი წელიწადი ველოდით. დადგა პრაქტიკული მოქმედების დრო და თუ არ მოიგებ, კარგად ბრძანდებოდე - შვებულება გარანტირებულია. Showtime იწყება!

შევეცდები, ჩემი აზრი მოგახსენოთ დასავლეთ კონფერენციაზე, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, მაგრამ არა რადიკალურად.

"დალას მავერიქსი" ახლა თიხის ფეხებზე მდგარ კოლოსს ჰგავს. დონ ნელსონის გუნდი რეგულარული ჩემპიონატის ფინიშამდე შეიძლება პირველი მივიდეს, მაგრამ რა იქნება მომავალში, არავინ იცის. არც ერთ რეალურ კონკურენტს "დალასი" არ აშინებს. ჩემპიონატის ლიდერს, რომელიც შესაშური სტაბილურობით პირველობს, შეუძლია, NBA-ის მასშტაბით საშუალო კლასის გუნდთან წააგოს, რომ აღარაფერი ვთქვათ უშუალო კონკურენტებზე. მაშ, რას უნდა ველოდეთ პლეი-ოფის მატჩებისგან? მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა შესამჩნევად გააუმჯობესა დაცვაში თამაშის ხარისხი, მისთვის ჩავარდნები არცთუ ისე იშვიათია, მაშინ, როცა ტახტის სერიოზული პრეტენდენტის უმთავრესი ნიშან-თვისება სტაბილურობაა.

სპეციალისტთა აზრით, "საკრამენტო კინგზსა" და "სან-ანტონიო სპერსს" ფინალამდე მიღწევის უფრო რეალური შანსი აქვთ. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, მათი გზები ჯერ კიდევ მეორე რაუნდში გადაიკვეთოს. იმ სტაბილურობის, რომლითაც ეს გუნდები თავიანთ მატჩებს ატარებენ, შეიძლება მხოლოდ შეგშურდეს. ამასთან, თუ საკრამენტოელი "მეფეების" შემადგენლობაში ძნელია ლიდერის გამორჩევა, "სპერსში", ტიმ დანკანის გარდა, All Star-ის დონეს ვერც ერთი კალათბურთელი ვერც კი მიუახლოვდება. ამ ფონზე უაღრესად თვალშისაცემია არგენტინელი მანუ ჟინობილის პროგრესი, რომელმაც, მართლაც, დაიმკვიდრა ბირთვის მოთამაშის რეპუტაცია. ახალბედის კვალობაზე, ჟინობილი მოედანზე დიდ დროს ატარებს, შემოდგომასთან შედარებით გააუმჯობესა თამაშიდან ზუსტი ტყორცნის პროცენტი და, რაც მთავარია, გუნდის მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი გადამწყვეტ მომენტებში ხშირად ენდობა თავის არგენტინელ ლეგიონერს.

მეორე წყვილის გუნდები, "მინესოტა ტიმბერვულვზი" და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი", შინაგანი მდგომარეობით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ეს კლუბები პლეი-ოფის პირველ ეტაპზე, მართლაც, ღირსეული მეტოქეები იქნებოდნენ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, მათ "დალასს" წინააღმდეგობა გაუწიონ. "მინესოტას" ჰყავს კევინ გარნეტი, რომლის ხარისხი თამაშის ყველა კომპონენტში საგრძნობლად ამაღლდა და MVP-ს (საუკეთესო მოთამაშის პრიზი) ტიტულზე რეალურ პრეტენზიას აცხადებს, მაგრამ "მავერიქსის" ტრიო - ნოვიცკი-ფინლი-ნეში გარნეტისგან ქვას ქვაზე არ დატოვებს. "პორტლენდში" კი კვლავ აკიაფდა "ძველი ახალი" ვარსკვლავი სკოტი პიპენი. სწორედ ის იქცა "ბეიზერსის" იმ შემდულაბებელ მექანიზმად, რომელსაც ორეგონული გუნდის კოლექტიური თამაშისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კარგად ვიცით, რამდენი გულშემატკივარი ჰყავს ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოში. ყველას ძალიან აინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს თუ არა 40 წლის "მფრინავი მაიკლი", თავის შეგირდებს ნორმალური თამაში შეასწავლოს და აღმოსავლეთში დარჩენილ პლეი-ოფის ერთადერთ საგზურს ჩაეჭიდოს, მაგრამ ყველას რატომღაც ავიწყდება ლიგის ვეტერანი კარლ მელოუნი. საინტერესოა, რომ 39 წლის "ფოსტალიონს" უკეთესი სტატისტიკური მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ჯორდანს. ამასთან, საშუალო შემადგენლობით დაკომპლექტებულ გუნდს მელოუნი მხრებით იჭერს დასავლეთ კონფერენციის მეექვსე საფეხურზე, რაც აღმოსავლეთ კონფერენციაში სამეულს უთანაბრდება. მელოუნი იყო, არის და, ალბათ, იქნება კიდეც ის კალათბურთელი, რომლის გათვალისწინება აუცილებლად მოუწევთ NBA-ის ახალგაზრდა ვარსკვლავებს.

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" შეიძლება უკანასკნელი წლების "მინესოტას" შევადაროთ. ეს არის კერკეტი გუნდი ამბიციებით, რომელსაც შეუძლია, ერთი შესანიშნავი თამაში გამოაცხოს და ლიდერი გაამწაროს, მაგრამ სერიოზულ მიზნებს ვერ წაეპოტინება. ამ პრობლემას ორი მიზეზი აქვს: დაცვაში ცუდი თამაში და უმოტივაციობა. შედეგი კი ბევრია: უსახური თამაში. უუნარობა, თავის სასარგებლოდ წარმართოს თანაბარი მატჩი, რაც "ლეიკერსისთვის" ჯერ კიდევ დამახასიათებელია. ასეთი სენისგან განკურნება კი ისე ადვილია.

უკვე ერთი თვეა, პლეი-ოფის უკანასკნელი საგზურისთვის, სამ კლუბს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. "ფინიქსსა" და "ჰიუსტონს", იმის გათვალისწინებით, რომ დაახლოებით ერთნაირი სირთულის კალენდარი დარჩათ, თანაბარი შანსი აქვთ. კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც თეორიულად მაინც შესწევს პლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლის უნარი, "გოლდენ სტეიტია". ოკლენდის წარმომადგენელთა მთავარი პრობლემა დაცვის სრული ქაოსია. 117, 119, 124, 138 - ამდენ ქულას აგროვებენ "გოლდენ სტეიტის" მეტოქეები მასთან შეხვედრისას. ასეთი ციფრები კი თანამედროვე კალათბურთში, მართლაც, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

თუ მოვლენებს გულშემატკივრის თვალით გადავხედავთ, უკეთესი იქნება, "დალასი" პირველ რაუნდში გადაეყაროს "ფინიქსს", რომელიც განსაკუთრებული სტაბილურობით არ გამოირჩევა. "მზეებს" შეუძლიათ, სუსტთან დამარცხდნენ, ხოლო ძლიერ მეტოქეს დიდი ბრძოლა გაუმართონ. შეიძლება პლეი-ოფის მატჩებს "მავერიქსის" წინააღმდეგ სწორედ "მზეების" ამ ხასიათმა შესძინოს ინტრიგა.

კაჭკაჭი



ნინო I

## ზიბილე ბეკენბაუერი: „ფრანცი ისევ მოდის ჩემს სანახავად"



ის თხუთმეტი წლის განმავლობაში "კაიზერის" მეუღლე იყო და არაჩვეულებრივად იფერებდა დედოფლობას. "ბაიერნის" ყველა მნიშვნელოვან მატჩზე ზიბილე ბეკენბაუერი საპატიო ლოჟაში იჯდა. ოპერატორები შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, კაიზერის მეუღლის რეაქციები ეჩვენებინათ მაყურებლისთვის. სათვალის თხელი მინებიდან დაკვირვებით მომზირალი ფრანც ბეკენბაუერი და სანდომიანი ქერა ზიბილე "ბაიერნის" ფეხბურთელებისთვის ლამის წარმატების სიმბოლოდ იქცნენ. ზიბილე ლოჟაში იჯდა მიუნხენში, მანჩესტერში, მადრიდში, მილანში... არასოდეს ტოვებდა "ბაიერნის" საერთაშორისო მატჩებს და მეუღლესთან ერთად თავდავიწყებით ზეიმობდა ჩემპიონთა ლიგის თასის მოპოვებას, მაგრამ...

ფრანც ბეკენბაუერი სულაც არ აღმოჩნდა ერთგულების განსახიერება და თავისი ზიბილე, რომელსაც მთელი გერმანია კეთილშობილ ქალბატონად მიიჩნევდა და დიდ პატივს სცემდა, გაცვალა ახალგაზრდა საყვარელში, რომლთანაც "კაიზერს" შვილიც შეეძინა. პრესაში ერთი ამბავი ატყდა, გულნატკენმა ზიბილემ კი უხმოდ დატოვა მიუნხენი. მეუღლე არ გაუკრიტიკებია, არც კომენტარი გაუკეთებია მომხდართან დაკავშირებით. ისე ჩუმად და მოულოდნელად გაქრა, რომ დიდხანს არავინ იცოდა, სად იყო და რას აკეთებდა.

ფრანც ბეკენბაუერი თავისი ცხოვრების ახალ ქალთან თავს შესანიშნავად გრძნობდა. ბავშვს თავს დაჰფოფინებდა და საჯაროდ აცხადებდა, კიდევ ერთი შვილი მინდაო. უფროს ვაჟებს შემწყნარებლურად ეღიმებოდათ ასაკოვანი მამის ახალგაზრდულ გატაცებებზე. ყველას კარგად ესმოდა, რომ ბეკენბაუერი დაგვიანებული მამობის განცდით ტკბებოდა - უფროსი შვილები ხომ ისე გაიზარდნენ, ბეკენბაუერს არც კი გაუგია. არ ეცალა მათთვის. მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო და, ძირითადად, კარიერაზე ფიქრობდა. ბავშვებთან ურთიერთობა რას ნიშნავდა, ბეკენბაუერმა შორეულ სამოციან წლებში ხეირიანად არც კი იცოდა. ახლა "კაიზერი" ამ დანაკლისის ანაზღაურებას ცდილობს...

ბეკენბაუერი ძალიან ბედნიერია, მიტოვებული ზიბილე კი - სევდიანი და მელანქოლიური. ახლა ის ცნობილ ავსტრიულ ზამთრის კურორტ კიცბიულში ცხოვრობს და ნელ-ნელა ივიწყებს წარსულს. ზიბილე ბეკენბაუერი გერმანიაში ჯერ კიდევ ბევრს აინტერესებს. ყოველკვირეული ჟურნალი "ბუნტე" პირველი აღმოჩნდა, ვინც მთებში განმარტოებული ზიბილესგან ინტერვიუს აღება შეძლო. "კაიზერის" ექს-მეუღლე მთელი საუბრის განმავლობაში ცდილობდა, მხიარული ტონი შეენარჩუნებინა. ბედს არ უჩიოდა და ახალი ცხოვრებით თითქოს კმაყოფილიც კი ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უნდოდა, "ბუნტეს" კორესპონდენტი ამაში დაერწმუნებინა...

"კიცბიულში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. არაფერი მაკლია, არც არაფერი მენატრება. სევდიანიც ნამდვილად არ გახლავართ. დილით რვა საათზე ვდგები და ჩემს ძაღლთან ერთად დავრბივარ. ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. ბევრს ვკითხულობ: წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს. ტელევიზორსაც ვუყურებ და ახლობლებს ტელეფონით ვუკავშირდები", - ამბობს ზიბილე.

მაგრამ საზოგადოებას მის ავსტრიულ იდილიაზე მეტად ბეკენბაუერთან დაკავშირებული დეტალები აინტერესებს. ზიბილემ იცის, რომ ამ საკითხზე ლაპარაკს თავს ვერ დააღწევს და, ჟურნალისტის კითხვას არც კი ელოდება, თავად იწყებს საუბარს ყოფილი მეუღლის შესახებ: "ფრანცს და მე ჰარმონიული ურთიერთობა გვქონდა. შესაძლოა, ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება არ გვქონდა, მაგრამ არასოდეს გვიჩხუბია, საერთო ენას ყოველთვის ვპოულობდით. ახლაც ისე კარგად გვესმის ერთმანეთის, როგორც დიდი ხნის წინ. ჩვენი ურთიერთობა თხუთმეტ წელიწადს გრძელდებოდა. ცხადია, ამან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ორივეს ცხოვრებაში. ამ წლებს ასე იოლად ვერ დავივიწყებთ. ფრანცი ახლაც მოდის ჩემს სანახავად. ჩვენ მოვახერხეთ მეგობრობის შენარჩუნება", - თითქოს საკუთარ თავს ესაუბრება ზიბილე.

ჟურნალისტს ძალიან აინტერესებს, ყოფილ მეუღლეებს ჰქონდათ თუ არა საუბარი გაყრის თაობაზე, რაზეც ზიბილე მშვიდად პასუხობს: "უახლოეს მომავალში ეს ნამდვილად არ მოხდება. საჩქარო არაფერი გვაქვს. ნელ-ნელა ყველაფერს მოვაგვარებთ. როდესაც მამაკაცი დიდსულოვანია და ცდილობს, ტკივილი არ მოგაყენოს, გაყრა ისე ძნელი აღარ არის. ფრანცი ყოველთვის კეთილშობილი ადამიანი იყო და ახლაც ასეთად რჩება", - ამბობს ზიბილე და იმედი აქვს, რომ აბეზარი ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა, მეტს აღარაფერს ჰკითხავს, მაგრამ მთავარი უსიამოვნო შეკითხვა თურმე ჯერ წინა აქვს "კაიზერის" ყოფილ მეუღლეს: "ბუნტეს" კორესპონდენტს აინტერესებს, რას ფიქრობს ზიბილე ფრანც ბეკენბაუერის ახლანდელი მეგობარი ქალის შესახებ. სხვა რა გზაა, ზიბილემ ამასაც უნდა გაუძლოს. ჰაერს ღრმად ისუნთქავს და ჟურნალისტს ეუბნება: "მე მას არ ვიცნობ და, არა მგონია, ოდესმე ერთმანეთს შევხვდეთ. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში ამის სურვილი ნამდვილად არ მექნება."

რა გასაკვირია, თუ 55 წლის ზიბილეს თავისი ახალგაზრდა მეტოქის დანახვაც არ უნდა. მისთვის ხომ ახლა საოცრად ძნელი იქნება ცხოვრების თავიდან დაწყება. "ბუნტემ" ისიც დაადგინა, რომ ზიბილეს ცხოვრებაში ჯერ არ გამოჩენილა ახალი მამაკაცი და, ალბათ, კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება, თუ ზიბილე ავსტრიის მთებიდან არ დაეშვება ბარში...

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შედგენისათვის:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან იცვლება საცხოვრებელი 104 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ; ეზო - 400 კვ.მ. ორი მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება "ყავლაშვილის" გარემონტებული 2-ოთახიანი ბინა 9(3) ბ/აირით მეუნარგიაზე. ფასი 14 000. 95 79 13

იყიდება კერძო სახლი ბელეტაჟზე მუხიანის მებაღეობაში, 600 კვ.მ. ნაკვეთით.ფასი 5000. 63 29 26

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული კერძო სახლი 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფ. გლდანში. 63 29 26

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საზგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში7 ფასი 30 000. 23 59 18

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილში იყიდება ახალი აშენებული სამსართულიანი სახლი. 30 54 44 მზია

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული სახლი, 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფელ გლდანში. 63 29 26, 63 32 39

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

**სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება**

**4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ( პარლამენტის სახლში ) მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

ქირავდება 2-ოთახიანი სახლი ეზოთი უშ. ჩხეიძის ქუჩაზე. 200 $. 96 42 37 თამრიკო

## მანქანები

**იყიდება !**

**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

სასწრაფოდ იყიდება BMW-520. 1997 წლის. 8(99) 55 00 06 გიზო

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

სწრაფი, კვალიფიციური კითხვის ტექნიკას შევასწავლი ინტელექტუალური საქმიანობის პირებს. გაიზრდება კითხვის სიჩქარე, ყურადღება, გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი. 32 32 75

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

სწრაფი, კვალიფიციური კითხვის ტექნიკას შევასწავლით ინტელექტუალური საქმიანობის პირებს. გაიზრდება კითხვის სიჩქარე, ყურადღება, ტექსტის გაგებისა და დამახსოვრების ხარისხი. 32 32 75

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

## სხვადასხვა

ვარ 43 წლის მამაკაცი, უმაღლესი განათლებით. ვეძებ სამუშაოს. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 99 54 84 ავთო




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

ვყიდი ახალ, შავი ფერის ტყავის ქალის იტალიურ ჩანთას. 39 75 68 ქეთი

იყიდება გერმანული საკერავი მანქანა "ვერიტაზი", პედლიანი "ტექსიმა", "ელექტრორუბანოკი" და ელექტრობურღი. 95 79 13

გვესაჭიროება თურქი ადვოკატი, ქართული ენის მცოდნე. პირადი პრობლემების მოსაგვარებლად. ანაზღაურება სოლიდური. 63 38 32

გვესაჭიროება მაღალკვალიფიციური მკერავები. 91-28-72 10.00-დან 19.00 სთ-მდე.

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**










# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

■ **კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ვოკალური მუსიკის კონცერტი
ეძღვნება ნოდარ ანდღულაძის დაბადებიდან 75 წლისთავს
სოლისტები: სუზანა გლანვილი-გრიგალაშვილი (სოპრანო, დიდი ბრიტანეთი), ირაკლი გრიგალაშვილი (ტენორი)
დას: 19:00 სთ

## თეატრები

■ **სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

■ **მარჯანიშვილის თეატრი**
"სასიყვარულო ბარათები", რეჟ: თემურ ჩხეიძე, მთავარ როლებში: გია ბურჯანაძე, ნანი ჩიქვინიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

■ **თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

■ **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

■ **თეატრალური სარდაფი**
პრემიერა ჯონათან გარაფილკი "ქართული ექსპედიცია", რეჟ. პოლ ტომპსონი (ინგლისურ ენაზე)
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

■ **პანტომიმის თეატრი**
"კიდევაც დაიზრდებიან", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

■ **„ქარვასლა„**
"...კვალი კაცისა", დავით ფალავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

■ **ძველი გალერეა**
იური მეჩითოვის ფოტოგამოფენა

■ TMS
"თაობები", ქიქოძეების ფოტოგამოფენა

■ **ეროვნული გალერეა**
მამია მალაზონიას ნამუშევრების პესონალური გამოფენა

■ **უნივერსი - ორშაბათობით მუშაობს**
ლეილა შელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

■ **ორიენტი**
მიშა გოგრიჭიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## კინოთეატრები

■ **"ამირანი"**
"8 მილი"
დას: 15:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7-9 ლარი
ანიმაციური ფილმი "ტიხიროს სულების სამყაროში"
დას: 17:00; ფასი 5,6 ლარი

■ **"რუსთაველი"**
"ჩიკაგო"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:30 სთ; ფასი 5 ლარი
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 21:40 სთ; ფასი 9 ლარი

■ **"ელისო"**
"ტაქსი 3"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 17:30; 20:45 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 19:30 სთ; ფასი 7 ლარი

**ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებული ორთვიანი კურსები პირველი მაისიდან.**
**ტელ: 34-41-15, 34-67-50**
**etv@ip.osgf.ge**

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**დღეს საღამოს მაღაზია "პარნასში" შედგება ახალგაზრდა მეცნიერის გიზო ვაშაკიძის მონოგრაფიის პრეზენტაცია – "პერსონალური ტორნადო ფარაონის სულისათვის". ავტორი აცხადებს პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მისი მონოგრაფია იძლევა სრულ პასუხს მსოფლიოს პირველი საოცრების – პირამიდების, საიდუმლო დანიშნულების შესახებ. დაინტერესებულ პირებს მასთან გასაუბრების საშუალება მიეცემათ დღეს, "პარნასში", 16 სთ-დან 19 სთ-დე.**

გაზეთი 24 საათი

[illegible]

11.04.03 N-99

# TV პროგრამა 11 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
19.00 სერიალი „მაშველები"
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „სპარტაკი" მთ. რ-ში: კირკ დუგლასი
02.10 მხ. ფილმი „ძალიან საშიში კინო" მთ. რ-ში: ჯონ აბრაჰამსი
04.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით"
11.45 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.00 „მხოლოდ კლასიკა"
15.15 მხ. ფილმი „ფარაონი"
16.30 დოკ. სერიალი „ეგვიპტოლოგიის პიონერები"
16.55 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.10 50-50
17.50 „ზუმი"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.30 გასტი-ბუზუ
18.50 პრეს-ეკრანი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 დოკ. ფილმი „ლიანა ისაკაძე"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „დიდიე"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ჩემი ცისფერი ცა" მთ.რ-ში სტივ მარტინი.
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 რუსული მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „ნუ გამიტეხ გულს"
01.45 ფილმი ღამურა „სიყვარული, სექსი და ლორი"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „რვაფეხა"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 დოკ. ფილმი
21.30 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „სიყვარულის ხიფათები"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ხმა"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „ქორწილი წვიმების სეზონში"
17.20, 18.45, 19.45, 21.55, 23.30, 00.55 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
20.00 მხ.ფ. „კოლუმბი"
22.00 დიალოგი
00.55 მხ. ფილმი „ვალენტინო ბრუნდება"
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 სალონი
13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „მომავალი"
20.00 ტელესერიალი „დაბრუნება ედენში"
21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
22.30 „გამარჯობა"
23.15 მუსიკალური პაუზა
23.40 ძველი კინოკლასიკა. მხ.ფილმი „თავგარუსხევა"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.45 მხ. ფილმი „ვაშინგტონის მოედანი"
14.15 „ჩემი ქვეყანა".
14.45 მულტფილმი „სამყაროს შექმნა"
15.05 მხ. ფილმი „მთავარი ეჭვმიტანილი"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 დოკ. ფილმი „სალვადორ დალის თეატრი მუზეუმი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ. ფილმი „კანონის დამცველი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „მაილო"

### იმედი

17.00, 01.05 იმედის მელოდიები
17.55, 20.57, 00.55 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „ლაბირინთი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 თამაში „ლარის მახე"
21.00 სერიალი „მოქალაქე უფროსო" 1-ლი ს.
22.45 არტ. ფილმი „ზიზლი" (ბ. ბარდო)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიული ფილმი „ატილა"
10.35 სათავგადასავლო ფილმი „ჩემი ძაღლი ბინგო"
12.10 კომედია „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა"
14.15 დრამა „მკაცრი ადამიანები"
16.10 მულტფილმი „ტარზანი"
17.50 კომედია „ოქროს ხბო" 1 ს.
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.20 „ნოვოსტი"
19.30, 22.50 „Пресс-папье"
19.40 ფილმი-ფანტასტიკა „უფსკრულის პირას"
21.50 „გალერეა"
23.00 „ალტერნატივა"
00.35 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.45 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
00.55 მელოდრამა „ემა"
03.40 მხატვრული ფილმი „ვინ ვარ მე"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.35 „აჩიკუდა"
10.00 კომპიუტერული ტექნიკა
10.40 „ბიორითმი" - .
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 მობილურები
12.25 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
13.25 „მელოდია"
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.00 „მელოდია"
14.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 კომპიუტერული თამაშები
19.45 „ობიექტივი" -სტუმარი
20.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
21.00 მელოდია
21.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.10 რაგბი - ზე12: ველინგტონი-სიდნეი.
23.50 „კინოკლუბი „ - „მოსისხლე მტერი".
01.15 მობილურები
02.00 ბიორითმი" - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.50 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
12.10, 17.25, 22.35 „Фабрика звезд-2"
12.40 „Твинисы"
13.15 Худ. фильм „ГОЛУБАЯ СТРЕЛА"
15.00 „Новый день". Ударная сила.
15.30 „Новый день". Искатели.
16.15 Худ. фильм „ЮНЫЙ ГЕРКУЛЕС"
18.00 „Большая стирка"
19.25 Док. детектив „Декорация для преступления"
20.50 „Поле чудес"
22.00 Время
23.55 Худ.фильм „МОЙ ЛЮБИМЫЙ МАРСИЯНИН"
01.50 Триллер „НЕЗАБЫВАЕМОЕ"
03.50 Комедия „СЦЕНЫ В МАГАЗИНЕ"
05.10 Триллер „ШАРАДА"
06.40 „Новый день". „Сканер".

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.25 Док. драма „Преступление и наказание"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Национальная безопасность: мертвые души"
13.05 Худ. фильм „ШОФЕР НА ОДИН РЕЙС"
14.30 „Натуральный рай". „Профессия - репортер"
14.50 Криминал
15.05 „Без рецепта"
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.05 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Команда.ru
20.35 „Свобода слова"
21.55 Боевик „ОСЬМИНОЖКА"
00.30 „Все сразу!"
01.05 Худ. фильм „КОД НЕИЗВЕСТЕН"
03.15 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# Jedem das Seine - კეისარს კეისრისა...

## წიფლის ტყე - ბუხენვალდი

ტიურინგიაში, პოეტებისა და მოაზროვნეების ქალაქ ვაიმარიდან რვა კილომეტრის მოშორებით მშვენიერი ბორცვი დგას, მუხნარითა და წიფლის ტყით დაფარული- ეტერსბერგი. ეტერსბერგის ხშირი სტუმარი იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეც იყო – აქედან გასცქეროდა ხოლმე საყვარელი მხარის მშვიდობიან პეიზაჟს, აქ ფიქრობდა თავის უკვდავ ქმნილებებზე. ვაიმარელებს ძალიან უყვარდათ ეტერსბერგი.

მაგრამ 1937 წლის ზაფხულში იდილიას ბოლო მოეღო: ნაცისტებმა ტყის გაჩეხვა დაიწყეს და საკონცენტრაციო ბანაკი ააშენეს – რეჟიმის მოწინააღმდეგეების, უსახლკაროების, ჰომოსექსუალისტების, ბოშებისა და ებრაელების "არიელთა საზოგადოებისგან" იზოლირებისთვის. ჰაინრიხ ჰიმლერმა ბანაკს რომანტიკული სახელი, "წიფლის ტყე" (ბუხენვალდი) დაარქვა, და მისი შესასვლელი ციტატით დაამშვენა: „კეისარს კეისრისა". ერთიმეორეზე კარგი წარწერები ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკებს...

ჩანაფიქრის თანახმად, ბუხენვალდი სიკვდილის ბანაკი არ ყოფილა, მაგრამ ბუნკერებში წამებამ, გაუსაძლისმა შრომამ თუ შიმშილმა 56 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მრავალი ებრაელი სამედიცინო ექსპერიმენტების მსხვერპლი გახდა. საშინელი ადგილი იყო ბუხენვალდი.

ბუხენვალდის "გამგებლები" კარლ და ილზე კოხები იყვნენ, ნაცისტურ გერმანიაშიც კი გამორჩეული წყვილი. კარლი კომენდანტი იყო, მაგრამ ამ სახელმოხვეჭილ სადისტზე მეტად ყველას "ქალბატონ აბაჟურის", ილზე კოხისა ეშინოდათ. ესესელ კოლეგებსაც კი ცუდად ხდიდა ქალბატონ კოხის ხელით ადამიანის კანისგან დამზადებული აბაჟურები, ხელთათმანები თუ საცვლები – ამ საქმისთვის ის ტატუირებულთა კანს იყენებდა. ოდესღაც მოკრძალებული ბიბლიოთეკარი ურჩხულად იყო ქცეული, თავადაც ბოშა მამაკაცის კანისგან დამზადებული საცვალი ეცვა: უბედურს ორიგინალური სვირინგი ჰქონია, ამიტომ თავისი ნახელავით ამაყი ლუიზა, სიამოვნებით ახდენდა ხოლმე მის დემონსტრირებას.

თუკი ოსვენციმის უფროსს, რუდოლფ ჰესსაც კი ჰქონდა სათქმელად, ჩემი ხელით არავინ მომიკლავსო, კოხები თავადაც ჯალათები იყვნენ, რომელთაც მთელი გამომგონებლობის უნარი და ნიჭი ტყვეთა წამებისკენ ჰქონდათ მიმართული. კოხები ნაცისტებმაც კი სასამართლოს წინაშე წარადგინეს, "მეტისმეტი სისასტიკისა და ზნეობრივი გახრწნის" ბრალდებით, და საბოლოოდ კარლი მისივე "მამულის", ბუხენვალდის ეზოში დახვრიტეს – მოკავშირეთა ჯარების შესვლამდე სულ რამდენიმე დღით ადრე. რა გაეწყობა: კეისარს კეისრის.

დღეს კი სახელწოდება "ბუხენვალდი" არამარტო ადამიანის დაუნდობლობის, არამედ უბადლო გმირობის სიმბოლოცაა. სწორედ ამ დღეს, 58 წლის წინათ, 1945 წლის 11 აპრილს, როდესაც ამერიკელთა ჯარები ვაიმარს უახლოვდებოდა, ბუხენვალდში აჯანყებამ იფეთქა, და შიმშილისაგან სიკვდილის პირას მყოფმა და ნატანჯმა 20 ათასამდე ტყვემ, რომელსაც ბედმა გაუღიმა და "სიკვდილის მარშით" სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში არ მოუწია გადასვლა, თავად შეძლო ბანაკის გათავისუფლება.

ბანაკის ტერიტორიაზე შესულ ამერიკელ ჯარისკაცებს, რომელთაც თითქოს აღარაფერი უკვირდათ, შემზარავი სურათი დახვდათ – დასახიჩრებული გვამების მთები და ადამიანები, რომელთაც ადამიანის სულიღა შერჩენოდათ...

ეს ამბავი ყველამ იცის, ვისაც მეორე მსოფლიო ომის ისტორიისა რამე გაეგონა. ნაკლებად ცნობილი კი ისაა, რომ ამერიკელი ჯარისკაცების მიერ გადარჩენილი ტყვეების გამგზავრებისა და საკონცენტრაციო ბანაკ ბუხენვალდის გაუქმების შემდეგ ეს "სიკვდილის ზონა" საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ "აითვისა". 1945-დან 1950 წლამდე ბუხენვალდში 28 ათასი ადამიანი იმყოფებოდა - ფაშისტების მიერ ამოხოცილთა რიცხვის მხოლოდ ნახევარი. ეს ნაცისტი ფუნქციონერები იყვნენ, და, ცხადია, უდანაშაულო ადამიანებიც. მათი მეოთხედი ავადმყოფობით, სიცივისაგან თუ შიმშილით გარდაიცვალა. ეს ისტორია მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ გახდა ცნობილი.

ეტერსბერგის ბორცვი კვლავინდებურად ტიურინგიაშია – სად წავიდოდა. თუმცა, კვლავ გამწვანებულია, რომანტიკული შარავანდედი აღარ ადგას. ახლა ეს გლოვის ადგილია, სადაც დუმილს მხოლოდ ბუხენვალდის ზარის ხმა არღვევს. ის იმისთვის რეკს, რომ არავის დაავიწყდეს, რა იოლია ადამიანის მხეცად გადაქცევა, და რომ რეჟიმი, ნაცისტური თუ კომუნისტური, ყოველთვის რეჟიმად რჩება...



ჭიშკარი


ბუხენვალდის ტყვეები



ტყვეები სტოვებენ ბუხენვალდს - 1945 წელი

## კროსვორდი












წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში